



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
იურიდიული ფაკულტეტი

ანი კვანტალიანი

„პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა-გამონწვევა ქართული  
სადაზღვევო სამართლისთვის“

სამაგისტრო ნაშრომი მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად.

ხელმძღვანელი: ნატალია მონონელიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი.

თბილისი, 2019 წელი.

# სარჩევი

I. შესავალი.....	4
II. პასუხისმგებლობის დაზღვევის ისტორიული მიმოხილვა, მისი არსი და მიზანი.....	5
1. პასუხისმგებლობის დაზღვევის სახეები.....	10
2. პასუხისმგებლობის დაზღვევით სარგებლობის სტატისტიკა საქართველოში და საზღვარგარეთის ქვეყნებში.....	14
III. პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის დოქტრინის არსი.....	17
1. შესავალი.....	17
2. პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის წარმოშობის ისტორია .....	19
3. პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის შინაარსი, მისი მიზნები და ამოცანები..	22
3.1 პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა- როგორც დამზღვევის ასევე დაზარალებულის ფინანსური რისკებისგან დაცვის მექანიზმი.....	24
3.2 პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულების დაფარვის ფარგლები.....	26
4. სავალდებულო და ნებაყოფლობითი პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა	35
4.1. სავალდებულო და ნებაყოფლობითი პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა საქართველოში და საზღვარგარეთ.....	35
IV. პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის გამიჯვნა (სამენარმეო) იურიდიული პირის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევისგან.....	41
1. საწარმოს პასუხისმგებლობის დაზღვევის შინაარსი.....	41
2. საწარმოს და პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის საერთო და განმასხვავებელი ნიშნების გამოყოფა.....	43
V. ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის არსი და მისი წარმოშობის ისტორია.....	44
1. ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა, მისი მიზნები და ამოცანები .....	46
2. ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისით ზიანის დაფარვის სამართლებრივი საფუძვლები .....	48
3. ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა საზღვარგარეთის ქვეყნებში...54	
4. ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის გავრცელების ფარგლები საქართველოში.....	59
5. შეჯამება .....	61

VI.დასკვნა.....	62
ბიბლიოგრაფია .....	64

აბრევიატურები  
ქართულ ენაზე:

იხ.	იხილეთ
სსკ.	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
გსკ.	გერმანიის სამოქალაქო კოდექსი
მლნ.	მილიონი
მშპ.	მთლიანი შიდა პროდუქტი
სქ.	სქოლიო

უცხოურ ენებზე:

Rn.	Randnummer
VVG	Versicherungsvertragsgesetz

აბსტრაქტი:

სტატიაში განხილულია სადაზღვევო სფეროს ერთ-ერთ სახე-პასუხისმგებლობის დაზღვევა. აგრეთვე მისი ქვესახეობა-პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა როგორც ცალკე, ასევე ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ჭრილში. სტატიის განხილვის სფეროს წარმოადგენს აღნიშნული სადაზღვევო პროდუქტის მიზნების და ამოცანების შესწავლა, მისი დადებითი და უარყოფითი ასპექტები, საზღვარგარეთის ქვეყნებში პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის აქტუალურობა და ამ ტიპის სადაზღვევო პოლისის გამოყენების სტატიკა. ვინაიდან საქართველოში სადაზღვევო ბაზარი ჯერ კიდევ არ არის სრულად ათვისებული და ბევრი სადაზღვევო პროდუქტი ნოვაციაა, შესაბამისად კვლევის საგანია ის, თუ რამდენად ინფორმირებულია საქართველოში პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის შესახებ მოსახლეობა და რამდენად დგას ამ ტიპის სადაზღვევო პოლისით სარგებლობის აუცილებლობა. აგრეთვე განხილულია პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის წინაპირობები და სადაზღვევო პოლისის დაფარვის ფარგლები. დეტალურად არის განხილული ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა, გამომდინარე იქედან, რომ მისი ქმედებით გამოწვეული ზიანი შეიძლება იყოს არამხოლოდ მატერიალური, არამედ ფიზიკური და მორალური. შესაბამისად, პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის უპირატესობები ექიმის მაგალითზე უფრო თვალსაჩინოა.

საკვანძო სიტყვები: პასუხისმგებლობის დაზღვევა, პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა, ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა, სადაზღვევო პოლისი, ზიანი.

## I. შესავალი

ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანს უამრავი პასუხისმგებლობა აკისრია. ეს შეიძლება იყოს როგორც ოჯახური, ასევე საზოგადოებრივი, მორალური, პროფესიული და ა.შ. საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ადამიანის რისკებიდან თავდაცვის მოთხოვნილება მუდმივად იზრდებოდა.<sup>1</sup> რასაკვირველია, ყველასთვის სასურველია ჰქონდეს გარანტიები, რათა თავი უფრო მშვიდად იგრძნოს იმ შემთხვევისთვის, თუ მის მიერ განხორციელებული ქმედებით ან უმოქმედობით დაუშვებს შეცდომას და ამით ზიანს მიაყენებს სხვის ჯანმრთელობას ან ქონებას. სწორედ ამ მიზნით სადაზღვევო კომპანიები, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, სთავაზობენ პირებს პასუხისმგებლობის დაზღვევას.

საკითხი, რომელსაც ნაშრომი შეეხება არის პასუხისმგებლობის დაზღვევის ერთ-ერთი სახე-პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა, რომელიც აზღვევს პროფესიული საქმიანობის განმახორციელებელ პირებს სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან. ამავდროულად, იცავს იმ მესამე პირთა მატერიალურ ინტერესებს, რომლებმაც ზიანი განიცადეს დაზღვეული პირის მიერ პროფესიული საქმიანობის განხორციელების დროს, რაც გამოწვეული იყო მისი მოქმედებით ან უმოქმედობით.

აღნიშნული განმარტებიდან გამომდინარეობს ის, რომ პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა ფინანსური გარანტია არამხოლოდ დაზღვეულისთვის არამედ, მესამე პირებისთვისაც, რომლებსაც მიაღდათ ზიანი. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს ნამყვან ქვეყნებში (მგ: ამერიკა, გერმანია), დიდი პოპულარობით სარგებლობს პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა, ამ საკითხთან დაკავშირებით მაინც არსებობს არაერთგვაროვანი მოსაზრებები.

---

<sup>1</sup> *ჯანელიძე დ.*, დაზღვევის ფორმირების და მართვის სრულყოფის მიმართულებები საერთაშორისო ბიზნესში, 2018, 9.

რომლებსაც ნაშრომში დეტალურად განვიხილავთ.

რაც შეეხება პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევას საქართველოში, უნდა აღინიშნოს, რომ ის ჯერ კიდევ ნოვაციაა ქართული სადაზღვევო ბაზრისთვის. შესაბამისად, ჩვენი ქვეყანა არც ხელშეკრულებების სიმრავლით და არც სასამართლო პრაქტიკის მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. აღნიშნულს ადასტურებს ნაშრომში განხილული სტატისტიკა, საქართველოში პროფესიული პასუხისმგებლობის სადაზღვევო პოლისით სარგებლობის შესახებ. რაც შეიძლება განპირობებული იყოს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობით ვინაიდან, სადაზღვევო პოლისების გამოყენებს სიხშირე ქვეყნის ეკონომიკურ მდგრადობასა და განვითარების პირდაპირპროპორციულია. შესაბამისად, აუცილებელია პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პოპულარიზაცია, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეების მკაფიოდ წარმოჩენა, რაც დააფიქრებს სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს, თუ რაოდენ დიდია მათი პასუხისმგებლობა და რამდენად მნიშვნელოვანია გქონდეს ფინანსური გარანტიები, მოსალოდნელი ზიანს თავიდან ასაცილებლად.

ნაშრომში განხილული იქნება პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა ექიმის მაგალითზე. ვინაიდან, მედიცინის მუშაკის მიერ დაშვებულმა შეცდომამ შეიძლება გამოიწვიოს არა მხოლოდ მატერიალური, არამედ ჯანმრთელობის და მორალური ზიანი. აგრეთვე განხილული იქნება სავალდებულო და ნებაყოფლობითი დაზღვევის დადებითი და უარყოფითი ასპექტები. მათ შორის, ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ჭრილშიც.

II. პასუხისმგებლობის დაზღვევის ისტორიული მიმოხილვა, მისი არსი და მიზანი სადაზღვევო სამართალი დაზღვევის სახეებს მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რაც თავის მხრივ გამომდინარეობს იქედან, რომ სადაზღვევო სამართალურთიერთობის აუცილებელი ელემენტია მისი ობიექტი, რაც გულისხმობს ნებისმიერი ტიპის ქონებრივ ან პირად ინტერესს, რომლის მიმართაც ხორციელდება დაზღვევა.<sup>2</sup> დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად, დაზღვევის ობიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ქონებრივი ან პირადი არაქონებრივი ინტერესი, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს

<sup>2</sup> საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაცია, სადაზღვევო ტერმინთა განმარტება, ხელმისაწვდომია: <http://www.insurance.org.ge/index.php?a=main&pid=238&lang=geo>.

კანონმდებლობას.<sup>3</sup> დაზღვევის სახეების ჩამოყალიბება, იმ ფორმით რა ფორმითაც დღეს გვაქვს, საუკუნეების განმავლობაში ხდებოდა. დაზღვევის კლასიკურ სახეებთან- საზღვაო, ხანძრის, სიცოცხლის დაზღვევასთან ერთად გაჩნდნენ დაზღვევის სხვა სახეები: უბედური შემთხვევისგან დაზღვევა, სიცოცხლის დაზღვევა, პასუხისმგებლობის დაზღვევა.<sup>4</sup> სწორედ ამ უკანასკნელს განვიხილავთ ნაშრომში, რომელიც თავის მხრივ კიდევ იყოფა ქვესახეებად. პასუხისმგებლობის დაზღვევა სადაზღვევო ბიზნესის მნიშვნელოვანი განხრაა, რადგან საბაზრო ეკონომიკის მკაცრი პირობების არსებობისას მოაქალაქეებს და იურიდიულ პირებს აქვთ მუდმივი პასუხისმგებლობა მათ მიერ განხორციელებული ქმედებებისთვის.<sup>5</sup>

პასუხისმგებლობის დაზღვევა ზიანის დაზღვევის განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენს.<sup>6</sup> მისი ობიექტია იმ პირის ეკონომიკური ინტერესი, რომლის სასარგებლოდაც არის დადებული დაზღვევის ხელშეკრულება, მეორეს მხრივ პასუხისმგებლობის დაზღვევის ობიექტად შეგვიძლია მივიჩნიოთ თავად პირის პასუხისმგებლობა.<sup>7</sup> პასუხისმგებლობის დაზღვევა, თავისი სამართლებრივი ბუნებით კომპლექსური ინსტიტუტია და მას სსკ სისტემურად, ქონების (ზიანის) დაზღვევის ნაწილში აწესრიგებს.<sup>8</sup> “დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონი კი პასუხისმგებლობის დაზღვევას მკვეთრად მიჯნავს როგორც ქონების, ისე პირადი დაზღვევისგან.<sup>9</sup>

ერთხელ ერთმა გამოჩენილმა დაზღვევის სპეციალიტმა თქვა, რომ: „პასუხისმგებლობის სისტემა არის სადაზღვევო სისტემის ძრავი“.<sup>10</sup> პასუხისმგებლობის დაზღვევის ისტორია ამერიკის შეერთებულ შტატებში

<sup>3</sup> კაპანაძე თ., „ახალგაზრდა ადვოკატები“ სამეცნიერო ჟურნალი, ქ.თბილისი, დეკემბერი N6, 2016 ,10. <http://www.barristers.ge/public/uploads/docs/Jurnali-N6.pdf>.

<sup>4</sup> ვერულავა თ., დაზღვევის ისტორია, 21.

<sup>5</sup> Страхование профессиональной ответственности врачей. Страховой ликбез <http://smile-center.com.ua/ru/articles/straxovanie-professionalnoi-otvetsvet-vrachey-straxovoi-likbez>

<sup>6</sup> Кулагин М.И., Предпринимательство и право: опыт запада. М., 1992, 97. ციტირებული: მონონელიძე ნ., სუბროგაცია, როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება, მერიდიანი, თბილისი, 2016. თავი VI, ნაწილი 3.2, 131.

<sup>7</sup> ქეცბაია ე., დაზღვევის სამართალურ თეორიის სუბიექტები და ობიექტი, სამართლის ჟურნალი “მართლმსაჯულება და კანონი“ N4.43, 92, [http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/266172/1/Martlmsajuleba\\_Da\\_Kanoni\\_2014\\_N4.pdf](http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/266172/1/Martlmsajuleba_Da_Kanoni_2014_N4.pdf)

<sup>8</sup> ირემაშვილი ქ., მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 112.

<sup>9</sup> იქვე.

<sup>10</sup> Eugene R.A. Jordan S. Stanzler, Lorels S. Masters, insurance coverage litigation, 1-3,

ხელმისაწვდომია: <https://books.google.ge>.

ამტვიცებს ამ მოსაზრებას.<sup>11</sup> სულ მცირე ერთი საუკუნის წინ ქვეყნების სასამართლოებმა გააფართოვეს დელიქტის ტრადიციული კონცეფცია, აგრეთვე გაფართოვდა აშშ-ს სადაზღვევო ინდუსტრიაც, რათა დაეცვა დაზღვეულები ახალი პასუხისმგებლობებისგან.<sup>12</sup> ზოგადი პასუხისმგებლობის დაზღვევის ისტორიაც ფაქტობრივად არის მნიშვნელოვანი ძალისხმევა, რეაგირება მოეხდინა ამ ახალ პასუხისმგებლობებზე.<sup>13</sup> დაზღვევის სხვა ფორმებთან შედარებით, პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისი უფრო ახალია. ძალიან ცოტა რამ არის დაწერილი 1890 წლამდე ამ ტიპის დაზღვევის შესახებ.<sup>14</sup> თუმცა ავტომობილების გამოყენებამ ხელი შეუწყო ამ ტიპის დაზღვევის სწრაფ განვითარებას.<sup>15</sup>

ისტორიამ აჩვენა, რომ ზოგადი პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისები განვითარდა, ჩამოყალიბდა და შესაძლებელი გახდა მისი დამზღვევთათვის გადაცემა რათა, მომხდარიყო ფართო დაცვა ჯერ კიდევ უცნობი პასუხისმგებლობებისა, რომლებიც გამონვეული იყო ქონების თუ ადამიანის სხეულის დაზიანებით.<sup>16</sup> სადაზღვევო პოლისები შეიქმნა, რათა დაეფარა ყველა პასუხისმგებლობა, გარდა განსაზღვრული გამონაკლისებისა.<sup>17</sup> შესაბამისად, 1966 წელს მიიღეს ე.წ „შეკვეთით დამზადებული“ პოლისი, რათა დაეცვათ დაზღვეულები მწარმოებლის პასუხისმგებლობისგან, დისკრიმინაციულ, სახელმეკრულებო და სხვა პასუხისმგებლობებისგან.<sup>18</sup> პასუხისმგებლობის დაზღვევის კომპანიები მუშაობენ მოქმედებენ მაღალ დონეზე რეგულირებულ გარემოში. ეს რეგულაციები მიმართულია პოლისის მფლობელთა ინტერესისადმი და ინარჩუნებს საჯარო მშვიდობას და პასუხისმგებლობის დაზღვევის სისტემის გამართულად ფუნქციონირებას.<sup>19</sup>

პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელმეკრულების ფარგლებში მონაწილეობს სამი პირი: მზღვეველი, დამზღვევი, რომელიც არის აგრეთვე ზიანის მიმყენებელი

---

<sup>11</sup> იქვე.

<sup>12</sup> იქვე.

<sup>13</sup> იქვე.

<sup>14</sup> Lotha G., Enciclopedia Britannica, 13.10.2016, <https://www.britannica.com/topic/liability-insurance>

<sup>15</sup> იქვე.

<sup>16</sup> Anderson R.E., Stanzler S. J., Masters S. L., insurance coverage litigation, 1-3, ხელმისაწვდომია:

<https://books.google.ge>.

<sup>17</sup> იქვე.

<sup>18</sup> იქვე.

<sup>19</sup> American Insstitute of Certified Public Accountants. Audit and Accounting Guide: Property and Liability Insurance Entities, 2.01.09.2018, 53.



და დაზარალებული მხარე.<sup>20</sup> შედეგად, დამზღვევი არ არის ის პირი, ვისაც მიადგა ძირითადი ზარალი, არამედ მესამე პირი, რომელიც იქცა დამზღვევის დაუდევრობის მსხვერპლი.<sup>21</sup> შესაბამისად, სამი მხარის კონსტელაცია არის შესანიშნავი საფუძველი იმისა, რომ არსებობდეს სხვადასხვა ტიპის ინტერესთა კონფლიქტი. დამზღვევს და დაზღვეულს აქვთ საერთო ინტერესები, მესამე დაზარალებული პირის წინააღმდეგ, მაგ: როდესაც დაზარალებული ამტკიცებს სადაზღვეო შემთხვევა მოხდა თუ არა.<sup>22</sup> თავის მხრივ დამზღვევის ინტერესი შეიძლება უპირისპირდებოდეს მზღვეველის ინტერესს. მაგალითად მაშინ, როდესაც მზღვეველს სურს საქმის დეტალური გამოძიება, რაც წინააღმდეგება დამზღვევის სურვილს.<sup>23</sup> აგრეთვე, დაზღვეულს (ზიანის მიმყენებელ პირს) და დაზარალებულ მესამე პირს შესაძლოა ჰქონდეთ საერთო ინტერესები მზღვეველის ინტერესების საწინააღმდეგოდ, მაგალითად, როდესაც დამზღვევს სურს გამოიყენოს პასუხისმგებლობის დაზღვევა, რათა დაფაროს მესამე პირის დანაკარგები, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ის ზიანის გამომწვევი და მასზე პასუხისმგებელი პირი.<sup>24</sup> სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევაში, რომელიც შედგება სამკუთხოვანი ურთიერთობებისგან, მზღვეველის ფუნქცია არის ის, რომ დაზღვეული პირის მიმართ არსებული, მესამე პირის დასაბუთებული და დაუსაბუთებელი მოთხოვნა დაიცვას.<sup>25</sup> ამას ახორციელებს დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში-დაკმაყოფილებით, ხოლო დაუსაბუთებელის შემთხვევაში-სათანადო დაცვის გზით.<sup>26</sup> დაუსაბუთებელი მოთხოვნის დაცვის ვალდებულება არის მზღვეველის არაფულადი ვალდებულების ყველაზე მნიშვნელოვანი შემთხვევა. აღნიშნულ ვალდებულება გათვალისწინებულია გერმანიაშიც, დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ კანონის პარ.101.-ში.<sup>27</sup>

პასუხისმგებლობის დაზღვევის მიზანი არის, დაიცვას პირი და ბიზნესი ისეთი დელიქტური შემთხვევების დროს, როდესაც პასუხისმგებლობის ნეგატიური შედეგი არის სახეზე. იგი ფარავს იმ ფინანსურ ვალდებულებებს, რაც გამომწვეული იქნა დამზღვევის გაუფრთხილებელი ქმედებით. დიდი ხნის განმავლობაში,

---

<sup>20</sup> Van der sluijs J., Moral Hazards within Liability Insurance- A Problem Inventory, 302.

<sup>21</sup> იქვე.

<sup>22</sup> იქვე.

<sup>23</sup> იქვე.

<sup>24</sup> იქვე.

<sup>25</sup> Meixner/Steinbeck, Das neue Vericherungsvertragsrecht, 1. Auflage 2008. Rn.2.2.

<sup>26</sup> იქვე.

<sup>27</sup> Beckmann/Matusche-Beckmann/Johannsen Meixner/Steinbeck, §24 Rdnr.3.

Meixner/Steinbeck, Das neue Versicherungsvertragsrecht, §3. Haftpflichtversicherung Rn.2.

პასუხისმგებლობის დაზღვევა მხოლოდ დამზღვევის ინტერესების დასაცავად შექმნილ სადაზღვევო პროდუქტად განიხილებოდა. თუმცა, დროთა განმავლობაში, ამ ტიპის ხელშეკრულებებით მესამე პირთა ინტერესის დაცვამაც არსებითი მნიშვნელობა შეიძინა.<sup>28</sup> პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისის არმქონე პირები, დელიქტური სამართალდარღვევის დროს ყოველთვის აწყდებიან დიდ ფინანსურ პრობლემებს, რომელთან გამკლავებაც თავად ზოგჯერ არც შეუძლიათ.<sup>29</sup> კომპენსაციის გადახდის ვალდებულება წარმოიშობა მაშინ, როდესაც ცხადი ხდება, რომ ზიანის მიმყებლის ქმედებით მესამე პირს მიადგა ფიზიკური ან/და მორალური ზიანი ან ამ ქმედებამ გამოიწვია სიკვდილი, სულიერი აშლილობა და სხვა ფსიქოლოგიური პრობლემები.<sup>30</sup> პასუხისმგებლობის დაზღვევის სადაზღვევო კვალიფიკაცია დამოკიდებულია დამზღვევის საქმიანობის სფეროზე, სპეციფიკაზე და პასუხისმგებლობის დაზღვევის კონკრეტულ მიმართულებაზე.<sup>31</sup>

როგორც წესი, სადაზღვევო პოლისით იფარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოიშვა პოლისის შესაბამისი წესით გააქტიურების შემდეგ. აღნიშნული საკითხი საკმაოდ ჩახლართულია პასუხისმგებლობის დაზღვევის შემთხვევაში, მესამე პირების მიერ განხორციელებული საჩივრების დროს. ვინაიდან ცალკე განხილვის საგანი ხდება დამზღვევის ზიანისმომტანი ქმედებიდან როდის გამოვლინდა შედეგი, როდის ეცნობა ამის შესახებ დამზღვევს და სადაზღვევო კომპანიას. თუ ზიანი ქონებას მიადგება, აქ გაურკვევლობები არ არსებობს მაშინაც კი თუ ზიანის სრული მოცულობა ჯერ კიდევ არ არის ცნობილი.<sup>32</sup> თუმცა გაურკვევლობები არის როდესაც ვერ ხერხდება განსაზღვრა წარმოშობს თუ არა კონკრეტული ქმედება სასარჩელო საფუძვლებს.<sup>33</sup> აგრეთვე ისიც არ არის ყოველთვის ნათელი, თუ რამდენი არის ზარალი და რა იცოდა მზღვეველმა. ზარალი კი არის მნიშვნელოვანი ელემენტი ზიანის ანაზღაურების დაზღვევისას.<sup>34</sup> ხოლო რაც შეეხება ზიანის ანაზღაურების მნიშვნელობას, ამაზე ერთ-ერთ ცნობილ საქმეში *Castellain v Preston*, ზიანის ანაზღაურების პრინციპი

<sup>28</sup> *მონონელიძე ნ., მონონელიძე ნ.*, სუბროგაცია, როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება, მერიდიანი, თბილისი, 2016. თავი VI, ნაწილი 3.2, 132.

<sup>29</sup> <https://tort.laws.com/liability-insurance/>.

<sup>30</sup> იქვე.

<sup>31</sup> <https://alpha.ge/ka/319/>.

<sup>32</sup> *Ginders K.*, Insurance Law and the principle of Indemnity in Light of Ridgecrest NZ LTD v IAG New Zealand LTD, 74, ხელმისაწვდომია: <https://www.victoria.ac.nz/law/research/publications/vuwlr/prev-issues/volume-47,-issue-1/Ginders-.pdf>.

<sup>33</sup> იქვე.

<sup>34</sup> იქვე.

აღწერილი იყო როგორც ფუნდამენტური სადაზღვევო სამართლისთვის. მაგრამ საეჭვოა თანამედროვე შეედულებები და განაცხადები ამ პრინციპთან დაკავშირებით ეთანხმება თუ არა ზემოაღნიშნულ მოსაზრებას.<sup>35</sup> თავის მხრივ კი ზიანის ანაზღაურების ცნება სადაზღვევო სამართალში გულისხმობს იმას, რომ დაზღვეული უფლებამოსილია მიიღოს სრული კომპენსაცია მისი დანაკარგებისთვის. არც უფრო მეტი და არც უფრო ნაკლები.<sup>36</sup> ზემოაღნიშნულმა და სხვა დანარჩენმა ბუნდოვანმა დეტალებმა, პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულების ფარგლებში, შესაძლოა წარმოიშვას რიგი პრობლემები. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რაც შეიძლება პასუხისმგებლობის დაზღვევის ურთიერთობიდან აღმოცენდეს, დაკავშირებულია შესაძლებლობებთან, მოგვარდეს ის პრეტენზიები, რომლებიც მიმართულია დამზღვევის წინააღმდეგ.<sup>37</sup> ვინაიდან, ამ შემთხვევაში დაზარალებულ მესამე პირს არ შეუძლია პირდაპირ სადაზღვევო კომპანიიდან მოითხოვოს კომპენსაცია, ანუ მესამე პირი ვერ იმოქმედებს პირდაპირ დამზღვევის სადაზღვევო კომპანიის წინააღმდეგ.<sup>38</sup> რაც შეეხება პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისის მიერ ზიანის დაფარვის ფარგლებს, პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისის მიერ დაფარვის ფარგლები ბევრად ფართოა, ვიდრე მაგალითად, უძრავი ქონების დაზღვევის პოლისის.<sup>39</sup> პასუხისმგებლობის დაზღვევით შეიძლება დაიფაროს უცნობი და მოულოდნელი რისკები, რაც ზოგ შემთხვევაში მოიცავს მნიშვნელოვან ზარალს.<sup>40</sup>

## 1. პასუხისმგებლობის დაზღვევის სახეები

გამომდინარე იქედან, რომ ადამიანთა შორის არსებული სამართალურთიერთობები განსხვავებულია, შესაბამისად პასუხისმგებლობის სახეები და მოცულობა სხვადასხვაგვარია. ეს კი თავის მხრივ არის წინაპირობა იმისა, რომ შეიქმნა პასუხისმგებლობის დაზღვევასთან დაკავშირებული პოლისები, რომლებიც ადამიანებზე დაკისრებულ სამოქალაქო სამართლებრივ

<sup>35</sup> იქვე.

<sup>36</sup> იქვე, 73.

<sup>37</sup> Keeton E. Robert, Liability insurance and Responsibility for settlement, Harvard Law Review, Vol.67, No 7, (May 1954), 1136. ხელმისაწვდომია:

[https://www.jstor.org/stable/1337021?seq=1#metadata\\_info\\_tab\\_contents](https://www.jstor.org/stable/1337021?seq=1#metadata_info_tab_contents).

<sup>38</sup> იხ. სქ. 27.

<sup>39</sup> Sigma, published by Swiss Re LTD, Economic research and Consulting, No4/2014, pg.2

, ხელმისაწვდომია: [https://media.swissre.com/documents/sigma4\\_2014\\_en.pdf](https://media.swissre.com/documents/sigma4_2014_en.pdf)

<sup>40</sup> იქვე.

პასუხისმგებლობებთან მოდის შესაბამისობაში და ფარავს პასუხისმგებლობის შეუსრულებლობით ან არასრულფასოვანი შესრულებით გამოწვეულ ზიანს. დღეისთვის არსებული პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისები მრავალფეროვანია და მორგებულია კლიენტთა მოთხოვნაზე. სადაზღვევო კომპანიები გვთავაზობენ დაფარონ ბიზნესის მფლობელებზე, თვით-დასაქმებულებზე, პროფესიონალებზე დაკისრებული კომპენსაციები რაც გამოწვეული იყო დაუდევრობით და პირის დაზიანებით.<sup>41</sup> მენარმეებს აკისრიათ ბევრი და დიდი პასუხისმგებლობები, ყველა მათგანს უნდა ჰქონდეს ქონების დაცვის გეგმა, რომლის შემუშავებაც შეუძლიათ სხვადასხვა ტიპის პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისების მეშვეობით.<sup>42</sup>

1. **კომერციული ზოგადი პასუხისმგებლობის პოლისი (CGL)**-იგი იცავს ბიზნესს იმ სარჩელებიდან, რომელიც ეხება ადამიანის ჯანმრთელობას და ქონებრივ ზიანს, რაც გამოწვეულია პროდუქტის, განხორციელებული ქმედებისა და უკვე დასრულებული ოპერაციებისგან.<sup>43</sup> იგი აგრეთვე ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც პირმა მიიღო პირადი დაზიანებები.<sup>44</sup> პრაქტიკული მაგალითით რომ განვიხილოთ: კლიენტი მივიდა სამშენებლო კომპანიაში, რათა ენახა ახალაშენებული კორპუსი. ვიზიტის დროს კლიენტმა დაიზიანა ფეხი. კომერციული ზოგადი პასუხისმგებლობის პოლისით, რომლითაც ეს კომპანია იყო დაზღვეული, მზღვეველმა აანაზღაურა ყველა ფინანსური ხარჯი, რაც საჭირო იყო დაზიანებული ფეხის მკურნალობისთვის.<sup>45</sup>

2. **ღირექტორებისა და მმართველების პასუხისმგებლობის დაზღვევა**-ამ ტიპის დაზღვევა ფარავს ღირექტორებისა და ხელმძღვანელების მიმართ მათი თანამშრომლების, მომხმარებლების, აქციონერების, მიმწოდებლების სარჩელებიდან გამომდინარე დაკისრებულ კომპენსაციებს.<sup>46</sup> დაზღვევის ამ ტიპის გამოყენებამ მიაღწია განსაკუთრებით დიდ მაჩვენებელს ამერიკის შეერთებულ შტატებში.<sup>47</sup>

<sup>41</sup> Know what is insurance liability policy? Types of liability insurance, 13.09.2018, ხელმისაწვდომია: <https://insurancerooms.com/known-what-is-liability-insurance-policy-types-of-liability-insurance/>.

<sup>42</sup> იქვე.

<sup>43</sup> <https://securenow.in/insuropedia/different-types-liability-insurance/>.

<sup>44</sup> იქვე.

<sup>45</sup> იქვე.

<sup>46</sup> იქვე.

<sup>47</sup> Michaelides N., Hooker N., Laurin P., Lockyer J., Maher G., Tomlison D., General Insurance Study Group Report Of the Liability Insurance Working Party to the 1989 Conference, Brighton, 3.7.21.

**3. პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა**- ეს არის იმ ტიპის პასუხისმგებლობის დაზღვევა, რომელიც აზღვევს ბიზნესს ან ფიზიკურ პირებს, რომლებიც ახორციელებენ პროფესიულ საქმიანობას, მომხმარებელს უწევენ პროფესიულ დახმარებას ან აძლევენ რჩევებს.<sup>48</sup> სადაზღვევო კომპანია იხდის დაზღვეულის ნაცვლად კომპენსაციას იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა შემდეგი წინაპირობები: ა) ზიანის მიმყენებელ პირსა და სადაზღვევო კომპანიას შორის არსებობს მოქმედი პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულება. ბ) ხელშეკრულებაში გათვალისწინებული პროფესიული საქმიანობის განხორციელების დროს, პირმა, გაუფრთხილებლობით, თავისი ქმედებით ან უმოქმედობით დაუშვა შეცდომა, რომლითაც ზიანი მიაღწა მესამე პირს. ანუ დაზღვეულის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის არსებობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. გ) დაზარალებული მესამე პირი მოითხოვს დამზღვევისგან ზიანის ანაზღაურებას.

თუ ეს ზემოაღნიშნული პირობები კულმულატიურად კმაყოფილდება, ამ შემთხვევაში გავრცელდება პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა სადაზღვევო შემთხვევაზე.

**4. კიბერ რისკის დაზღვევა**- კიბერ რისკის პასუხისმგებლობის დაზღვევა ფარავს იმ ფინანსურ ზარალს, რომელიც არის სხვადასხვა კიბერ ქმედებების შედეგი. პოლისების უმრავლესობა ფარავს ორივეს- პირველი პირის და მესამე პირის ზიანს. პირველი პირის ზიანის დაფარვა გულისხმობს იმ ზიანს, რომელიც პირდაპირ კომპანიამ განიცადა. მაგალითად, როდესაც კომპანიის პირადი მონაცემები გატეხილი იქნა ჰაკერის მიერ. მესამე პირის დაზღვევა კი განხორციელდება მაშინ, თუ მესამე პირებს მიაღწებათ ზიანი დაზღვეულის ქმედებით ან შეცდომით.<sup>49</sup> მაგალითად, მაშინ როდესაც კლიენტი უჩივლებს დაზღვეულს, ვინაიდან დაზღვეულის გაუფრთხილებლობის გამო კლიენტის პერსონალური მონაცემები მოპარული იქნა დამზღვევის კომპიუტერიდან და მოხდა მისი გავრცელება.<sup>50</sup>

**5. კომერციული დანაშაულის დაზღვევა**-სთავაზობს დაზღვეულს, რომ დაიცავს ბიზნესს იმ დანაკარგებისგან, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს მესამე მხარის

<sup>48</sup> იქვე.

<sup>49</sup> Bonner M., What does cyber liability policy cover?, updated: 22.10.2018, <https://www.thebalancesmb.com/what-s-covered-under-a-cyber-liability-policy-462459>.

<sup>50</sup> იქვე.

თაღლითობამ.<sup>51</sup> იგი იცავს ბიზნესს დასაქმებულის არაკეთილსინდისიერებისას, თანხის მოპარვისას, დოკუმენტის გაყალბებისას, ძარცვისას, კომპიუტერული თაღლითობისას.<sup>52</sup>

**6. პროდუქტის პასუხისმგებლობის დაზღვევა**-პროდუქტის პასუხისმგებლობის დაზღვევა იცავს ბიზნესს იმ სარჩელებისგან, რომელიც დაკავშირებულია მის პროდუქტთან და მომსახურებასთან.სარჩელი შეიძლება ეხებოდეს როგორც პირად ღაზიანებას, აგრეთვე ქონების ღაზიანებასაც.<sup>53</sup>

**7.საფაჭრო საკრედიტო დაზღვევა**-ამ ტიპის დაზღვევა იცავს ბიზნესის მფლობელებს დაიცვან მათი ანგარიშები დანაკარგებისგან.რაც შეიძლება გამონვეული იყოს კრედიტის გადაუხდელობით, გაკოტრებით.<sup>54</sup> მაგალითად:ფოლადის ქარხანა აწოდებს ფოლადს კომპანიას, რომელიც ამზადებს ნივთებს და შემდგომ ის გააქვს ბაზარზე. თუ მოხდება ისე, რომ კომპანია გაკოტრდება და ვეღარ შეძლებს ფოლადის ქარხანას გადაუხადოს მიწოდებული ფოლადის საფასური, ამ შემთხვევაში სადაზღვევო პოლისით დაიფარება ის ზიანი, რაც მიაღვა ქარხანას კომპანიის გაკოტრებით.<sup>55</sup>

**8.“ქოლგის“ყოვლისმომცველი პასუხისმგებლობის დაზღვევა**-იცავს მენარმეს და მის ბიზნესს მხოლოდ მაშინ, თუ სხვა პასუხისმგებლობის დაზღვევა დასრულდა.ეს არის პირადი პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისი, რომელიც გვთავაზობს კატასტროფულად დიდი და მძიმე ზიანის დაზღვევას.<sup>56</sup> კანადაში იცნობენ ე.წ ქოლგის პოლისს, რომელიც ფარავს ცილისწამებით გამონვეულ ზიანს.<sup>57</sup>ის ნაკლებად გავრცელებული და გაყიდვადი იყო 1960 წლამდე.<sup>58</sup> ბევრ ბიზნესმეს ეს პოლისი არ ჰქონდა შექნილი ჯერ 1970 წლამდე.<sup>59</sup>

**9. საჯარო პასუხისმგებლობის დაზღვევა**- იცავს პირის სამართლებრივი

<sup>51</sup> What are the different types of liability insurance?, <https://securenow.in/insuropedia/different-types-liability-insurance/>.

<sup>52</sup> იქვე.

<sup>53</sup> იქვე.

<sup>54</sup> იქვე.

<sup>55</sup> იქვე.

<sup>56</sup> Know what is insurance liability policy? Types of liability insurance, 13.09.2018,ხელმისაწვდომია:<https://insurancerooms.com/know-what-is-liability-insurance-policy-types-of-liability-insurance/>.

<sup>57</sup> Michaelides N., Hooker N., Laurin P., Lockyer J., Maher G., Tomlison D., General Insurance Study Group Report Of the Liability Insurance Working Party to the 1989 Conference, brighton, .Types of liability insurance, 3.4, 19.

<sup>58</sup> Robertson J., How umbrella policies started Part 1.,Earli liability coverage, March 2000, ხელმისაწვდომია: <https://www.irmi.com/articles/expert-commentary/how-umbrella-policies-started-part-1-early-liability-coverage>.

<sup>59</sup> იქვე.

პასუხისმგებლობისგან როდესაც მესამე პირს მიადგება ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი მოულოდნელად.<sup>60</sup> სარჩელების უმრავლესობა გამომდინარეობს „გულგრილობიდან“, რაც გულისხმობს იმას, რომ პირს რაღაც უნდა გაეკეთებია და არ გააკეთა.<sup>61</sup>

10. კანონით განსაზღვრული პასუხისმგებლობის დაზღვევა- იცავს დირექტორებს და კომპანიას კანონით დადგენილი სამოქალაქო ჯარიმებისა და სახდელისგან.<sup>62</sup>

11. სამოგზაურო დაზღვევა- ამ ტიპის პოლისის მეშვეობით ხდება დაზღვეულთა სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევა მოგზაურობის განმავლობაში.<sup>63</sup> ჩამოთვლილი სადაზღვევო ტიპები ყველაზე გავრცელებულია, მაგრამ არ არის სრული, პასუხისმგებლობების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე.

## 2. პასუხისმგებლობის დაზღვევით სარგებლობის სტატისტიკა საქართველოში და საზღვარგარეთის ქვეყნებში

პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისთა მრავალფეროვნება და ეფექტურობა განაპირობებს იმ ფაქტს, რომ სტატისტიკურად პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისის მქონე პირთა რიცხვი საკმაოდ მაღალია. 2013 წლის მონაცემებით, ამერიკა არის მონინავე ქვეყანა პასუხისმგებლობის დაზღვევის ბაზრის სიდიდით, 51% გლობალური პასუხისმგებლობის პრემიებიდან სწორედ ამერიკაში მიიღეს. ეს გამომდინარეობს ამერიკის ეკონომიკის სიდიდით და ქვეყანაში პასუხისმგებლობის დაზღვევის მაღალი შეღწევადობით. (0.5% მშპ-ის).<sup>64</sup> 2013 წლის სტატისტიკის მიხედვით პასუხისმგებლობის დაზღვევის პრემიების 33% მიიღეს კომპანიებმა ზოგადი პასუხისმგებლობის დაზღვევისგან, 4% - პროდუქტის, 7% - დირექტორების და ხელმძღვანელების, 17% - პროფესიული პასუხისმგებლობის, 12% - სამედიცინო პასუხისმგებლობის, 8% ე.წ. „ქოლგა“

<sup>60</sup> Guide to professional liability, pg.8, <http://www.professionalsaustralia.org.au/contractors-consultants/wp-content/uploads/sites/42/2014/07/Guide-to-Professional-Liability-27-9-2017.pdf>.

<sup>61</sup> იქვე.

<sup>62</sup> იქვე, 10.

<sup>63</sup> Michaelides N., Hooker N., Laurin P., Lockyer J., Maher G., Tomlison D., General Insurance Study Group Report Of the Liability Insurance Working Party to the 1989 Conference, brighton, 3.4., 19.

<sup>64</sup> Sigma, published by Swiss Re LTD, Economic research and Consulting, No4/2014, 5

, ხელმისაწვდომია: [https://media.swissre.com/documents/sigma4\\_2014\\_en.pdf](https://media.swissre.com/documents/sigma4_2014_en.pdf)

გადამეტებულ პასუხისმგებლობის დაზღვევაზე, 16% - კომერციულ მრავლობით დაზღვევაზე, 3%- გარანტიაზე.<sup>65</sup> კონტინენტურ ევროპაში ყველაზე დიდი პასუხისმგებლობის დაზღვევის ბაზარი არის გერმანიაში,საფრანგეთში, იტალიასა და ესპანეთში.<sup>66</sup> ყველა ზემოჩამოთვლილი ქვეყნის მიერ პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისისთვის შეტანილი პრემიების ოდენობამ 2013 წელს შეადგინა 22 მილიარდი დოლარი.<sup>67</sup> კანადის პასუხისმგებლობის დაზღვევის ბაზარი არის სიდიდით მეექვსე მსოფლიოში. 5.2 მილიარდი პრემიების ოდენობით 2013 წლის მონაცემებით. აზიაში, იაპონიას და ავსტრალიას აქვს ყველაზე დიდი პასუხისმგებლობის დაზღვევის ბაზარი, 6 მილიარდით და 4.8 მილიარდი პრემიების ოდენობით.<sup>68</sup> დიდი ბრიტანეთი არის მსოფლიოს მეორე, ყველაზე დიდი ბაზარი მსოფლიოში პასუხისმგებლობის დაზღვევის კუთხით.<sup>69</sup> მისი წლიური პრემიების ოდენობამ 2013 წელს შეადგინა 9.9 მილიარდი დოლარი. მათი დიდი ნაწილი მიღებული იქნა საჯარო და პროდუქტის, აგრეთვე პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევიდან.<sup>70</sup> რაც შეეხება საქართველოს, ბოლო დროს აქაც შეინიშნება თიზიკურ პირთა და მენარმეთა მიერ სადაზღვევო ხელშეკრულებების დადებისა და სადაზღვევო პოლისების გამოყენების ზრდის ტენდენცია. ამას მოწმობს 2011 წლის კვლევა, რომლის დროსაც შერჩევის პრინციპით გამოკითხული იქნა 485 რესპოდენტი.<sup>71</sup> კვლევის თანახმად გამოკითხული მოქალაქეების თითქმის 22 % სარგებლობს სამედიცინო დაზღვევით. ავტომობილს აზღვევს 8.6%,რაც თავისთავად დაბალი მაჩვენებელია თბილისისთვის. სიცოცხლის დაზღვევით მოქალაქეთა მხოლოდ 7% სარგებლობს. მოქალაქეები, რომლებიც არცერთი ტიპის დაზღვევით არ სარგებლობენ, გამოკითხულთა 55%-ს შეადგენს.<sup>72</sup> არცერთი პროდუქტით ვინც არ სარგებლობს, მათი 54.5% ასე იქცევა, რადგან არ აქვს შესაბამისი ფინანსური

<sup>65</sup> იქვე.

<sup>66</sup> იქვე.

<sup>67</sup> იქვე, 7.

<sup>68</sup> იქვე.

<sup>69</sup> იქვე.

<sup>70</sup> იქვე.

<sup>71</sup> სადაზღვევო კომპანიების რეიტინგი და ბაზრის კვლევის შედეგები:

<https://daezgvie.wordpress.com/2011/02/28/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%96%E1%83%A6%E1%83%95%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9D-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A0/>

<sup>72</sup> იქვე.



საშუალება. 25.6% უბრალოდ არ ენდობა სადაზღვევო კომპანიებს.<sup>73</sup> 2016 წლის მონაცემებით სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევიდან მიიღეს კომპანიებმა პრემიის სახით 25.19 მილიონი ლარი.<sup>74</sup> ხოლო 2017 წელს კი შემცირდა პრემიების ოდენობა პასუხისმგებლობის დაზღვევისთვის და შეადგინა 20.62 მილიონი ლარი.<sup>75</sup> 2018 წლის მეორე ნახევარში ჩატარებული კვლევის თანახმად სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის პრემიებით მიღებული შემოსავალი ფაქტობრივად განახევრდა და შეადგინა მხოლოდ 12.86 მლ.ლარი.<sup>76</sup> აღნიშნული სტატისტიკა გვაფიქრებინებს, რომ პასუხისმგებლობის დაზღვევა საქართველოში ჯერ კიდევ არ არის დამკვიდრებული და მოთხოვნადი მოსახლეობის მიერ. შესაბამისად, აუცილებელია პასუხისმგებლობის დაზღვევით სარგებლობის აუცილებლობის შესახებ მოსახლეობას მიეწოდოს ინფორმაცია, მოხდეს ამ პროდუქტის პოპულარიზაცია, რათა აღმიანებმა შეძლონ დაფიქრდნენ და გააცნობიერონ, მათი ყოველდღიური საქმიანობა რა მოცულობის რისკებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული. რაოდენ მნიშვნელოვანია ფინანსური გარანტიების არსებობა რათა, სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობების წარმოშობის შემთხვევაში, თავი მშვიდად იგრძნონ. თუმცა საქართველოში, განსხვავებით სხვა განვითარებული ქვეყნებისგან, სადაზღვევო კულტურა ჯერ კიდევ დაბალია. ამას ემატება ისიც, რომ ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების ნელი ტემპია, მოსახლეობის უმრავლესობას ყოფითი პრობლემების ფონზე არ შეუძლია იფიქროს მომავლის უზრუნველყოფაზე. გამოკითხულთა 66.4% თვლის, რომ საქართველოში სადაზღვევო პროდუქტები არ არის ხელმისაწვდომი.<sup>77</sup> ეს გარემოფაქტორები კი იწვევს იმას, რომ ჩვენს ქვეყანაში სადაზღვევო სისტემა არ არის იმდენად ძლიერი, როგორც მაგალითად

<sup>73</sup> იქვე.

<sup>74</sup> სადაზღვევო ბაზრის მიმოხილვა 2017წ.

<http://insurance.gov.ge/getattachment/Statistics/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%96%E1%83%A6%E1%83%95%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9D-%E1%83%91%E1%83%90%E1%83%96%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%95%E1%83%90-2017.pdf.aspx>

<sup>75</sup> იქვე.

<sup>76</sup> სადაზღვევო ბაზრის მიმოხილვა 2018 წლის II კვარტალი,

[http://insurance.gov.ge/getattachment/Statistics/Sadazgvevo\\_Bazris\\_Mimoxilva\\_2018\\_IIQ.pdf.aspx](http://insurance.gov.ge/getattachment/Statistics/Sadazgvevo_Bazris_Mimoxilva_2018_IIQ.pdf.aspx)

<sup>77</sup> სადაზღვევო კომპანიების რეიტინგი და ბაზრის კვლევის შედეგები:

<https://daezgvie.wordpress.com/2011/02/28/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%96%E1%83%A6%E1%83%95%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9D-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A0/>

ამერიკაში, გერმანიაშია თუ ინგლისში. მაგრამ მზარდია, რასაც მონაწილეს 2019 წლის მონაცემები, რომელსაც დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური ავრცელებს.<sup>78</sup>

### III. პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის დოქტრინის არსი 1. შესავალი

ადამიანი დაზღვევის გამოყენებას იწყებს მაშინ, როდესაც მას გაცნობიერებული აქვს მოსალოდნელი რისკები და საფრთხეები. ასეთ დროს იგი განსაზღვრავს, უღირს თუ არა იხადოს ყოველთვიური პრემია იმ გარანტიების სანაცვლოდ, რომელსაც მას სადაზღვევო კომპანია სთავაზობს. გამომდინარე იქედან, რომ ადამიანების უმრავლესობა თვლის, რომ საკუთარი და ოჯახის წევრების ჯანმრთელობა უპირველესი და ღირებულია, ყველა ქვეყანაში მათ შორის საქართველოშიც დიდი პოპულარობით სარგებლობს ჯანმრთელობის დაზღვევა. თუმცა, მხოლოდ ეს არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ადამიანმა თავი მშვიდად იგრძნოს. ევროპის ბევრ ქვეყანაში ასევე პოპულარულია პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა. კარგი განათლების, პროფესიონალიზმის მაღალი დონის, გულმოდგინე შრომის და დაკვირვების მიუხედავად, არც ერთი ადამიანი არ არის დაზღვეული შეცდომისგან. სწორედ ამიტომ, ამ ტიპის დაზღვევა განსაზღვრულია პროფესიებისთვის, რომლის განხორციელების დროსაც არსებობს ქონებრივი და ფიზიკური ზიანის დადგომის მაღალი რისკი. ამ ტიპის დაზღვევა უზრუნველყოფს სრულ პასუხისმგებლობას, ყოვლისმომცველ დაზღვევას, რაც გამომდინარეობს პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისიდან, მაშინ როდესაც მესამე პირის მიერ განხორციელებული იქნება დამზღვევის წინაშე სასარჩელო მოთხოვნა.<sup>79</sup>

პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა ქმნის შესაძლებლობას, პროფესიის მიქონე პირმა დაიცვას საკუთარი თავი კლიენტთა სარჩელებით გამოწვეული ფინანსური ხარჯებისგან. პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა არის პასუხისმგებლობის დაზღვევის ქვესახეობა და იგი ზოგ ქვეყანაში სავალდებულოა, ზოგიერთი პროფესიისთვის სტატუტის თანახმად (მაგალითად ადვოკატების შემთხვევაში) და კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში (მაგალითად

<sup>78</sup> <https://commerciant.ge/ge/post/saqartveloshi-kerdzo-samedicino-dazgvevit-mosaxleobis-15-procenti-sargeblobs>.

<sup>79</sup> *Marrinson Th.*, Professional Liability Insurance, <https://www.bookdepository.com/Professional-Liability-Insurance-Thomas-Marrinson/9781588521521>.

სადაზღვევო ბროკერებისა და ფინანსური მრჩეველებისთვის).<sup>80</sup> ამ ტიპის დაზღვევა ეხმარება არა მხოლოდ ცალკეულ ფიზიკურ პირებს, არამედ მნიშვნელოვანია მისი გამოყენება ბიზნესისთვის. პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა ზოგადად პასუხისმგებლობის დაზღვევის მსგავსად, არ ფარავს პირის მიერ სისხლისსამართლებრივი დანაშაულით გამოწვეულ ზიანს, ვინაიდან საჯარო წესრიგის კონცეფცია გამორიცხავს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევის შესაძლებლობას.<sup>81</sup> იგი ვრცელდება მხოლოდ იმ სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, რომელიც გამოწვეული იქნა მესამე პირისათვის ზიანის მიყენებით და განსაზღვრულია სადაზღვევო ხელშეკრულებაში.<sup>82</sup>

პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევასთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი მოსაზრებები არსებობს იურიდიულ ლიტერატურაში. იგი ერთის მხრივ არის გარანტი, მეორეს მხრივ კი შეიძლება აღმოჩნდეს მესამე პირისთვის ზიანის მიყენების ნახალისების საშუალება. მაგალითად: “ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევაზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ პასუხისმგებლობის დაზღვევამ შეიძლება მნიშვნელოვნად შეამციროს ექიმის მიერ პაციენტზე ზრუნვის ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მოტივაცია”.<sup>83</sup> აღნიშნული მსჯელობა არ არის ლოგიკას მოკლებული ვინაიდან, დამზღვევი, რომელმაც იცის, რომ ზიანის მიყენების შემთხვევაში მას არ დაეკისრება კომპენსაციის გადახდა, შეიძლება ნაკლებად გულისხმიერი იყოს პროფესიული საქმიანობის დროს. რა დროსაც ნეგატიური შედეგების დადგომის რისკი იმატებს. თუმცა ამ მოსაზრების კონტრარგუმენტად მოჰყავთ ის ფაქტი, რომ პრემიის გადახდა შეახსენებს დაზღვეულს საკუთარი პასუხისმგებლობის შესახებ.<sup>84</sup> გარდა ამისა, პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისს სხვა უარყოფითი მხარეებიც აქვს. მაგალითად, ის რომ ასეთი სადაზღვევო პოლისი სტანდარტულია,

<sup>80</sup> Jackson V., Professional Indemnity Insurance, Overview, last updated: 13.10.2018 <https://www.cii.co.uk/learning/knowledge-services/reference-resources/classes-of-insurance/professional-indemnity/>.

<sup>81</sup> Lawry J., Rawlings, 156. ციტირებულია: *ირემაშვილი ე.*, მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 113.

<sup>82</sup> Kagan J., Professional Liability Insurance, updated: 23.02.2018, <https://www.investopedia.com/terms/p/professional-liability-insurance.asp>.

<sup>83</sup> Faure M., Bergh R., 316. ციტირებულია: *ირემაშვილი ე.*, მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 115.

<sup>84</sup> Boccara S., Medical Malpractice, Tort law and Economics, Encyclopedia of law and Economics, Editor Faure M., Second edition, Volume 1, Edward Elgar Publishing, 2009, 348. ციტირებულია: *ირემაშვილი ე.*, მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, გვ. 115.

და შესაბამისად აუცილებელია მისი ყურადღებით წაკითხვა რათა დამზღვევი დარწმუნდეს, რომ პოლისი მის პოტენციურ სადაზღვევო შემთხვევას შეესაბამება.<sup>85</sup> მეორე უარყოფითი მხარე შეიძლება იყოს ის, რომ სადაზღვევო პოლისის პრემია და ხარჯები არ არის დამოკიდებული დამზღვევზე და ეფუძნება ისეთ ფაქტორებს, რომელიც მის კონტროლს არ ექვემდებარება.<sup>86</sup> მიუხედავად ნაკლოვანებებისა, პროფესიული პასუხისმგებლობის სადაზღვევო პოლისის საჭიროება ყველა განვითარებულ თუ განვითარებად ქვეყანაში დგას.

## 2. პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის წარმოშობის ისტორია

ქრისტეს შობამდე პირველ ათასწლეულში, როდემის მაცხოვრებლებმა ჩამოაყალიბეს „ძირითადი საშუალო“.<sup>87</sup> რაც აძლევდა გამყიდველთა ჯგუფებს უფლებას, გადაეხადათ საგარანტიო თანხა და ერთად მომხდარიყო მათი პროდუქციის გადაზიდვა.<sup>88</sup> შვედროვებული თანხა გამოყენებული იქნებოდა იმ ვაჭრისთვის, რომლის პროდუქტიც განადგურებული იქნებოდა ტრანსპორტირების დროს, ტორნადოს გამო.<sup>89</sup> ლ. გოლდშმიტის შეხედულებით, დაზღვევის ხელშეკრულების დადების პრაქტიკა უკვე არსებობდა ძველ რომში. იმავეს ამტკიცებს დოქტორი მორითც კუნი, რომელიც დაზღვევის ინსტიტუტის საწყის ფორმებს პოულობს ძველ საბერძნეთსა და ძველ რომში.<sup>90</sup> ცალკეული სადაზღვევო ხელშეკრულებები (სადაზღვევო პოლისები, რომლებიც არ მოიცავს ფინანსებს ან სხვა ტიპის კოტრაქტებს) განვითარდა გენუაში, მე14-ე

<sup>85</sup> Measom C., Advantages and Disadvantages of Having Professional Liability Insurance. ხელმისაწვდომია: <https://smallbusiness.chron.com/advantages-disadvantages-having-professional-liability-insurance-37946.html>.

<sup>86</sup> იქვე.

<sup>87</sup> Johncom Insurance explores Professional Indemnity Insurance, 22.02.2017, <https://www.johncom.co.za/johncom-insurance-explores-professional-indemnity-insurance/>.

<sup>88</sup> იქვე.

<sup>89</sup> იქვე.

<sup>90</sup> Golschmidt L., Handbuch des Handelsrechts. 3. Aufl. B.I, 1891. Abt: Universalgesnsichte des Handelsrechts. ციტ: კაპანაძე თ., „ახალგაზრდა ადვოკატები“ სამეცნიერო ჟურნალი, ქ.თბილისი, დეკემბერი N6, 2016, 7. <http://www.barristers.ge/public/uploads/docs/Jurnali-N6.pdf>.

საუკუნეში. პირველი სადაზღვევო ხელშეკრულებების დადება მოხდა გენუაში 1347 წელს, და მთელი საუკუნის განმავლობაში ფართოდ იყო გავრცელებული საზღვაო სადაზღვევო ხელშეკრულებები.<sup>91</sup> პასუხისმგებლობის დაზღვევა არის სადაზღვევო ინდუსტრიის პასუხი იმაზე, რომ საჭირო არის ამ ტიპის დაცვა. იგი აღმოცენდა მას შემდეგ, რაც ცვლილებები შევიდა ინგლისურ და ამერიკულ საერთო სამართალში, რომელიც დაიწყო მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში. მას შემდეგ რაც მიიღეს დამსაქმებელთა პასუხისმგებლობის შესახებ კანონი გერმანიაში 1871 წელს, 1880 წელს ინგლისის პარლამენტმაც მიიღო ზუსტად იგივე კანონი. ეს იყო პირველი ქმედება, რომელიც ნებას აძლევდა დაზიანებულ დასამებულებს, მიეღოთ კომპენსაცია სასამართლოში ჩივილის და იმის მტკიცების გარეშე, რომ დამსაქმებლის გაუფრთხილებელმა ქმედებამ გამოიწვია მათი დაზიანება.<sup>92</sup> ამას მოჰყვა მსგავსი კანონის მიღება აშშ-ს მიერ, რომელიც დაიწყო 1880-იან წლებში. იგი ეყრდნობოდა მე 12-ე საუკუნის ადრეული პერიოდის კანონს, რომელიც ეხებოდა მშომელთა კომპენსაციას. ამგვარად, დამსაქმებელთა პასუხისმგებლობის დაზღვევა იყო პირველი, ნამდვილი პასუხისმგებლობის დაზღვევის შემთხვევა.<sup>93</sup> ლოიდის სადაზღვევო გაერთიანების წევრები ადასტურებენ, რომ ისინი იყვნენ პირველები, ვინც შესთავაზა იურისტებს პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისი. ისინი აგრძელებენ შექმნან ბაზარი ამ დაზღვევაზე. მონრეალში არსებული შპს J.H Minet and co. იყო წამყვანი ბროკერი, რომელიც აგრძელებდა ლოიდის შეთავაზებებს იურისტებისთვის ბევრი წლის განმავლობაში. ამ გზით დაამკვიდრა პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა ყველაზე დიდმა იურიდიულმა ფირმამ აშშ-ში.<sup>94</sup> ახალი ამსტერდამის კომპანია იყო პირველი ამერიკული სადაზღვევო კომპანია, რომელიც სპეციალიზირებული იყო ამ სფეროში. ფილადელფიის სადაზღვევო ბროკერების ღირექტივების მიხედვით, ახალი ამსტერდამი მთელი მონდომებით ყიდდა ბაზარზე იურისტების პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის

<sup>91</sup>Johncome insurance explores professional indemnity insurance,22.07.2017,<https://www.johncom.co.za/johncom-insurance-explores-professional-indemnity-insurance/>.

<sup>92</sup>Robertson J.,How umbrella policies started: part1:Early Liability Coverage,Origins of Liability Insurance, ხელმისაწვდომია: <https://www.irmi.com/articles/expert-commentary/how-umbrella-policies-started-part-1-early-liability-coverage>.

<sup>93</sup> იქვე.

<sup>94</sup> იქვე.

პოლისს.<sup>95</sup> 1969 წლის *Wall street* -ის ჟურნალში გამოქვეყნდა, რომ 95 პროცენტი პრაქტიკოსი იურისტებისა ატარებდა პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევას, რაც იყო საპირისპირო მაჩვენებელი 1955 წლის შედეგებთან-რომელიც შეადგენდა მხოლოდ 5%-ს.<sup>96</sup> 1887 წელს სხვადასხვა წყაროს თანახმად, დაახლოებით 150000\$ -200 000 აშშ დოლარს შეადგენდა დამსაქმებელთა პასუხისმგებლობის დაზღვევის პრემიების ოდენობა. მას შემდეგ, 30 წლის განმავლობაში, ყველა პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისს ეძახდნენ „დამსაქმებელთა პასუხისმგებლობას“. 1915 წლისთვის ჩამოყალიბდა პასუხისმგებლობის დაზღვევის სხვადასხვა ფორმები: მენამეთა დამსაქმებლების პასუხისმგებლობის დაზღვევა, მენარმეთა საჯარო პასუხისმგებლობის დაზღვევა, ხელშემკვრელ მხარეთა საჯარო პასუხისმგებლობის,ზოგადი პასუხისმგებლობის(მოგვიანებით სახელი შეეცვალა და მოიცავს მესაკუთრის,მინის მფლობელის, უძრავი ქონების მფლობელის პასუხისმგებლობას),საავადმყოფოს, ქირურგების და ფიზიკოსები, ავტომობილის, თეატრის პასუხისმგებლობის დაზღვევა.<sup>97</sup> ამ ჩამონათვალის გარდა, 1920 წელს შეიქმნა სპეციფიური პოლისის ფორმები ავიაციისთვის, პროდუქტის და აგრეთვე შერეული პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევები.<sup>98</sup> დღესდღეობით პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ბაზარი კარგად არის განვითარებული.ამასთან,ევროპაში ექიმთა პროფესიული დაზღვევა სხვა პროფესიებთან შედარებით უფრო მეტადაა განვითარებული, ხოლო მეორე ადგილზეა არქიტექტურისა და საინჟინრო სფეროს პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა.<sup>99</sup> საქართველოში პირველი სადაზღვევო კომპანია 1990 წელს დაარსდა, ხოლო საქართველოს დაზღვევის ზედამხედველობის სამსახური 1997 წლიდან ფუნქციონირებს. ამ დროს ქვეყანაში უკვე რეგისტრირებული იყო 25 სადაზღვევო

<sup>95</sup> *Sheehan f. Th.*, the history of lawyers' professional liability insurance,808.

<sup>96</sup> იქვე, 809.

<sup>97</sup> *Robertson J.*,How umbrella policies started: part1:Early Liability Coverage,Origins of Liability Insurance, ხელმისაწვდომია: <https://www.irmi.com/articles/expert-commentary/how-umbrella-policies-started-part-1-early-liability-coverage>.

<sup>98</sup> იქვე.

<sup>99</sup> *Finnacord*,Risks in underwriting professional indemnity insurance:a European overview,2014,ციტ:დანვაძე ბ.,სოფრომაძე ლ. „ექიმთა პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა საქართველოში“.

კომპანია, 2017 წლის ბოლოს კი მათი რიცხვი 17-ს შეადგენდა.<sup>100</sup> სადაზღვევო კომპანია „ვესტის“ ღირეცტორის განცხადების თანახმად, საქართველოში სადაზღვევო ბაზარი მზარდია. რაც შეეხება საქართველოში პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის დამკვიდრებისა და განვითარების ისტორიას, ის სხვა პოლისების განვითარების პარალელურად დამკვირდა. კომპანია „ვესტის“ 2010-2011 წლის მონაცემებით დაახლოებით 5000 ადამიანი სარგებლობდა საქართველოში პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევით. <sup>101</sup>მათ შორის ძირითადად ექიმები იყვნენ, რომლებმაც ყველაზე კარგად გაიაზრეს ის საშიშროება, რაც შეიძლება მოხდეს მათი პროფესიიდან გამომდინარე.<sup>102</sup> ისტორიული მიმოხილვიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა შედარებით ახალგაზრდა ინსტიტუტია, განსხვავებით სხვა დაზღვევის სახეებისგან.

### 3. პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის შინაარსი, მისი მიზნები და ამოცანები

სპეციალისტები არაერთხელ აღნიშნავდნენ, რომ პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ინსტიტუტი, რომელიც უზრუნველყოფს ეფექტურ ორგანიზებას, სამოქალაქო სამართლებრივი ბრუნვის ფუნქციონირებას, არის ერთ-ერთი ძირითადი კონსტიტუციური უფლებების სახელმწიფოებრივი გარანტიის ინსტრუმენტი, მოქალაქეთა უფლებების, თავისუფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვისთვის.<sup>103</sup> ამ ტიპის დაზღვევა-არის სადაზღვევო მოქმედების სფერო, რომელიც განახორციელებს იმ პირების მატერიალური ინტერესების დაცვას, რომლებიც დაზარალებულნი დამზღვევის მოქმედების ან უმოქმედობის გამო პროფესიული ვალდებულებების შესრულებისას.<sup>104</sup> ამასთან ხორციელდება დამზღვევის ფინანსური ინტერესების დაცვა, რომელიც გათავისუფლებულია მატერიალურ ზარალთან დაკავშირებული ხარჯებისგან.<sup>105</sup> აგრეთვე პროფესიული პასუხისმგებლობის სადაზღვევო პოლისის

<sup>100</sup> *ჯანელიძე დ.*, დაზღვევის ფორმირებისა და მართვის სრულყოფის მიმართულებები საერთაშორისო ბიზნესში, 2.1 საქართველოს სადაზღვევო ბაზრის თანამედროვე მდგომარეობა, <https://openscience.ge/bitstream/1/79/1/Dato%20Janelidze.pdf>, გვ. 27.

<sup>101</sup> *ავლობაშვილი ა.*, პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა, <http://www.insurance.org.ge/index.php?a=main&pid=158&lang=geo>.

<sup>102</sup> იქვე.

<sup>103</sup> *Гауст В.Я.*, „страхования профессиональной ответственности“ 1.

<sup>104</sup> იქვე.

<sup>105</sup> იქვე.

ქონა პროფესიონალს ანიჭებს საიმიჯო უპირატესობას და ხდის მას უფრო კონკურენტუნარიანს.

მნიშვნელოვანია გაიმიჯნოს ერთმანეთისგან პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა და პირადი პასუხისმგებლობის დაზღვევა. ამ უკანასკნელის პოლისის ფარავს იმ ქონებრივ თუ ფიზიკურ ზიანს, რომელიც შემთხვევით დაზღვევმა მიაყენა მესამე პირს.<sup>106</sup> პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა კი უფრო დავიწროებულია და განსაზღვრავს, რომ ზიანის გამომწვევი ქმედება განხორციელებული უნდა იყოს მხოლოდ პროფესიული საქმიანობის დროს. ყოველდღიური პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, რაც ძირითადად პასუხისმგებლობებთან არის დაკავშირებული, მაღალია რისკი იმისა, რომ უნებლიედ, პირის მიერ გამოწვეული იქნეს ზიანი. რა თქმა უნდა გონივრულია ასეთი რისკები წინასწარვე ჰქონდეს პირს გათვალისწინებული და შესაბამისად დაზღვეული, რაც იქნება მისთვის ფინანსური გარანტი. ხოლო დაზარალებული მესამე პირისთვის შესაძლებლობა, აღადგინოს პირვანდელი მდგომარეობა კომპენსაციის გზით მაშინაც კი, თუ დაზღვევს არ გააჩნია საჭირო ფინანსები. პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის „გული“ არის სადაზღვევო შეთანხმების არსებობა.<sup>107</sup> ამ გზით ხდება სადაზღვევო დატარვის ფარგლების დადგენა, იმ პერიოდის განსაზღვრა, რომლის მანძილზეც იმოქმედებს დაზღვევა. აგრეთვე გათვალისწინებული იქნება ის შემთხვევები, რომლებზეც გავრცელდება სადაზღვევო პოლისის მოქმედება.<sup>108</sup>

პირველ რიგში უნდა განისაზღვროს, თუ რა არის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ობიექტი: ეს არის იმ პირის ქონებრივი ინტრესი, რომლის სასარგებლოდაც არის დადებული დაზღვევის ხელშეკრულება და რომელიც არ ეწინააღმდეგება კანონს.<sup>109</sup> ძირითადი სარჩელები, რომელიც პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს იფარება, გამოწვეულია დაზღვევის გაუფრთხილებლობით, შეცდომაში შეყვანით, არაკეთილსინდისიერი და უსამართლო ქცევით, მცდარი რეკომენდაციებით.<sup>110</sup> მაგალითად: თუ კომპიუტერული პროგრამა ვერ უზრუნველყოფს სრულფასოვან მუშაობას, იგი არ გამოიწვევს ფიზიკურ ან პირად ზიანს. ამ დროს ზოგადი პასუხისმგებლობის

<sup>106</sup> <https://www.nationwide.com/what-is-personal-liability-insurance.jsp>.

<sup>107</sup> Jay, J. Price, Professional Liability Insurance: The Doctors Dilemma 1976, pg.465, <https://lawcommons.luc.edu/cgi/viewcontent.cgi?article=2304&context=lucj>.

<sup>108</sup> იქვე.

<sup>109</sup> Professional Indemnity Insurance, objects of Insurance,

<https://www.aig.ru/en/business/products/liability/professional-indemnity>



დაზღვევა არ იმოქმედებს. თუმცა ამან შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური დანაკარგები, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს პროგრამული დეველოპერების შეცდომით.<sup>111</sup> ასეთ შემთხვევაში ყველა წინაპირობა იქნება დაკმაყოფილებული, რომ პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევით მოხდეს ზიანის დაფარვა. პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის განმასხვავებელი კრიტერიუმი სხვა ტიპის დაზღვევის პოლისისგან არის ისიც, რომ სადაზღვევო შემთხვევის დადგომა არ არის დამოკიდებული გარემო ფაქტორებზე. არამედ, დამზღვევზე და მის მიერ განხორციელებულ ქმედებაზე. რაც გულისხმობს იმას, რომ სადაზღვევო რისკის რეალიზაცია დამზღვევის გავლენის სფეროშია მოქცეული.<sup>112</sup> თუ დაზღვევის სხვა სახეებზე შეთანხმებისას სადაზღვევო შემთხვევად გარემო ფაქტორების გავლენით გამოწვეული ხდომილება განისაზღვრება, პასუხისმგებლობის დაზღვევისას ზიანს თავად დამზღვევის ქმედება იწვევს.<sup>113</sup> ამ თვალსაზრისით, განზრახ გამოწვეული ზიანის აკრძალვა განსაკუთრებულ დატვირთვას სწორედ პასუხისმგებლობის დაზღვევაში იძენს.<sup>114</sup>

### 3.1 პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა- როგორც დამზღვევის ასევე დაზარალებულის ფინანსური რისკებისგან დაცვის მექანიზმი

დაზღვევის კლასიფიკაციის ერთ-ერთი კრიტერიუმი იმის მიხედვით განისაზღვრება, თუ ვის სასარგებლოდ ხდება დაზღვევა. ამ თვალსაზრისით იურიდიულ ლიტერატურაში განასხვავებენ პირველი პირისა და მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ სადაზღვევო ხელშეკრულებებს.<sup>115</sup> პირველი პირის დაზღვევა გვაქვს სახეზე მაშინ, როდესაც სადაზღვევო ხელშეკრულებით ანაზღაურდება ის ზიანი, რომელიც მიაღწა პირდაპირ დამზღვევს. მგ: ქონების დაზღვევა, არის პირველი-პირის დაზღვევა. რაც გულისხმობს იმას, რომ სადაზღვევო პოლისის მეშვეობით დაიფარება პირდაპირ დაზღვეულის ზიანი. მეორეს მხრივ, პასუხისმგებლობის დაზღვევა შეგვიძლია

<sup>112</sup> ირემაშვილი ქ., მხარეთა უფლებრივი თანათარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 115.

<sup>113</sup> იქვე.

<sup>114</sup> იქვე.

<sup>115</sup> ირემაშვილი ქ., დაზღვევის კლასიფიკაცია დაზღვეული პირის მიხედვით, ბოლო დამუშავება: 16.03.2016, მუხ. 836, 1. ხელმისაწვდომია: <http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/03/Artikel-836.pdf>

განვიხილოთ როგორც, მესამე პირის დაზღვევა იმიტომ, რომ ის ინტერესი რომელიც დაცული არის ხელშეკრულებით, წარმოადგენს დამზღვევის მიერ მესამე პირისადმი მიყენებულ ზიანს.<sup>116</sup> ყველა დაზღვევა პასუხისმგებლობის დაზღვევის გარდა აღიარებულია, როგორც პირველი პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება.<sup>117</sup> დაზღვევის სხვა სახეებისგან განხვავებით, პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა იცავს არამხოლოდ თავად დაზღვეულს არამედ მესამე პირსაც. კერძოდ, დამზღვევი უზრუნველყოფილია მის მიერ განხორციელებული დელიქტის საფუძველზე წამოშობილი მოთხოვნის დაკმაყოფილებით.<sup>118</sup> მესამე პირი კი-მისი ქონების სიცოცხლისა თუ ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებით.<sup>119</sup> ამ შემთხვევაში განსხვავებული შეიძლება იყოს როგორც დამზღვევის, ასევე მესამე პირის მიერ განხორციელებული სარჩელები სადაზღვევო ურთერთობის ფარგლებში. დაზღვეულმა შეიძლება უჩივლოს პირდაპირ სადაზღვევო კომპანიას და რისი მოთხოვნის უფლებამოსილებაც აქვს, ვინაიდან მათ შორის არსებობს სადაზღვევო ხელშეკრულება. გამომდინარე იქედან, რომ ხელშეკრულება დადებულია დამზღვევსა და მზღვეველს შორის, იგი ატარებს ფიდეუციურ ვალდებულებას, რომელიც აკისრია სადაზღვევო კომპანია დამზღვევის წინაშე.<sup>120</sup> მაგალითად მზღვეველის ვალდებულება, იმოქმედოს კეთილსინდისიერად.<sup>121</sup> ხოლო რაც შეეხება მესამე პირს, მის მიერ აღძრული სარჩელი როგორც წესი, ყოველთვის მიემართება დაზღვეულს და არა სადაზღვევო კომპანიას ვინაიდან, მას არ აქვს კომპანიასთან ხელშეკრულება. შესაბამისად, მზღვეველსაც არ აქვს რაიმე ტიპის ვალდებულება მესამე პირის წინაშე.<sup>122</sup> თუ დაზარალებული პირის სარჩელი დამზღვევის მიმართ დაკმაყოფილდება სასამართლოს მიერ, დამზღვევი განიცდის „არაპირდაპირ“ ზარალს იმ გაგებით, რომ მესამე პირს მიაღდა “პირდაპირი” ზარალი.<sup>123</sup>

ხშირად ხდება სიცოცხლის დაზღვევის გაიგივება მესამე პირის ინტერესების დაცვასთან, მსგავსად პასუხისმგებლობის დაზღვევისა. თუმცა, ამ შემთხვევაში არ

<sup>116</sup> *Jerry/ Richmond*, Understanding Insurance Law, Fourth Edition, 2007, 45.

<sup>117</sup> იქვე.

<sup>118</sup> *ირემპშვილი ქ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ბოლო დამუშავება: 16.03.2016, მუხ. 839, 1.

ხელმისაწვდომია: <http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/03/Artikel-836.pdf>

<sup>119</sup> იქვე.

<sup>120</sup> <https://www.simmonsandfletcher.com/blog/difference-first-party-insurance-vs-third-party-insurance/>.

<sup>121</sup> იქვე.

<sup>122</sup> იქვე.

<sup>123</sup> *Jerry/ Richmond*, Understanding Insurance Law, Fourth Edition, 2007, p.45.

მიიჩნევა, რომ ეს მესამე-მხარის დაზღვევა, ვინაიდან ზიანი მიაღება დაზღვეულს, ანუ მას ვინც გარდაიცვალა და არა მესამე პირს.<sup>124</sup> ამ შემთხვევაში წინაპირობაა არა სადაზღვევო ბენეფიტების მიღება მესამე პირის მიერ, არამედ მისთვის ზიანის მიყენება, რაც დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე წარმოშობს მის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ვალდებულებას. ყოველივე ზემოაღნიშნული მსჯელობის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პასუხისმგებლობის დაზღვევა სწორედ იმ ნიშნით განსხვავდება სხვა სადაზღვევო პოლისებისგან, რომ ის ორმაგი გარანტია ერთის მხრივ დამზღვევისთვის და მეორეს მხრივ მესამე პირისთვის. თუ დამზღვევი სარგებლობს პასუხისმგებლობის სადაზღვევო პოლისით, ეს ერთგვარი პრივილეგიაა, ვინაიდან ამ შემთხვევაში მესამე პირები აცნობიერებენ, რომ მაშინაც კი თუ არასასურველი შედეგი დადგა, რესტიტუციისთვის მათ აქვთ ერთ-ერთი, ყველაზე საჭირო ბერკეტი – ფინანსური გარანტია.

### 3.2 პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულების დაფარვის ფარგლები

პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა ითვალისწინებს კონკრეტული პროფესიის მქონე პირების დაცვას იმ პრეტენზიებისგან, რომლებიც შეიძლება არსებობდეს მათ წინააღმდეგ და აუცილებლად დაკავშირებული უნდა იყოს იმ ზიანთან, რომელიც კლიენტს მიაღება პროფესიული მოვალეობების შესრულებისას. ზემოაღნიშნული დაზღვევის სადაზღვევო პოლისი საშუალებას იძლევა, ერთის მხრივ, დაიცვას მესამე მხარის ქონებრივი ინტერესები, მეორე მხრივ კი - იცავს დაზღვეულის ქონებას.<sup>125</sup> ეს გულისხმობს იმას, რომ სადაზღვევო კომპანიის მიერ დაფარვა ხდება მაშინ, როდესაც სადაზღვევო პოლისის ძალაში ყოფნის დროს დამზღვევმა მიაყენა მესამე პირის ზიანი, რომელმაც ასევე პოლისის ძალაში ყოფნის დროს წარადგინა სარჩელი. ასეთ დროს აუცილებელია გავითვალისწინოთ მიზეზ-შედეგობრივი კავშირის მნიშვნელობა. სადაზღვევო პოლისებში განწერილი სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ითვალისწინებენ სადაზღვევო კომპანიის პასუხისმგებლობას, მოითხოვენ ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის კაუზალური კავშირის არსებობას.<sup>126</sup> დაზიანებული პირი მიიღებს

<sup>124</sup> იქვე.

<sup>125</sup> “Экономическое обоснование проведения добровольного страхования профессиональной ответственности медицинских работников“ <http://isfic.info/halfin/mensh17.htm>.

<sup>126</sup> <http://www.scandinavianlaw.se/pdf/38-15.pdf>.

სრულ კომპენსაციას იმ ზიანისთვის, რომელიც გამონვეული იყო დელიქტური ქმედებით.<sup>127</sup> ეს გულისხმობს იმას რომ დამზღვევის ქმედებასა და მესამე პირისთვის მიყენებულ ზიანს შორის უნდა არსებობდეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. თუმცა ამ დროს აუცილებელი მოთხოვნა არის ადექვატურობის პრინციპიც იქნეს დაკმაყოფილებული.<sup>128</sup>სასურველია ხელშეკრულებაში მიეთითოს მიზეზობრივი კავშირის განსაზღვრის კრიტერიუმზე. მაგალითად, ხელშეკრულებით განისაზღვროს, რომ მზღვეველი ანაზღაურებს მესამე პირის მიმართ დამდგარ ზიანს, რომელიც დამზღვევის ქმედების პირდაპირ შედეგს წარმოადგენს.<sup>129</sup>

ძირითადად პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევისას ხდება მესამე პირების მიერ მიღებული ეკონომიკური და ფინანსური ზიანის ანაზღაურება, რაც თავის მხრივ უგულებელყოფს სხეულისა და უძრავი ქონების ზიანს.<sup>130</sup> აქედან გამონაკლისია რამდენიმე პროფესია (მედიკიმები, არქიტექტორები და ინჟინრები).<sup>131</sup> პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისების უმრავლესობა მოიცავს წინაპირობას,<sup>132</sup> რომ დამზღვეულის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურება მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირველ რიგში იარსებებს მესამე პირის სარჩელი დამზღვევის მიმართ და ამავდროულად სადაზღვევო პოლისი იქნება ძალაში.<sup>133</sup> ეს არის ე.წ. claims-made პოლისი. დათარვის წინაპირობების თვალსაზრისით იგი კიდევ ორად იყოფა: 1. “Pure claims made “- პოლისი, რომელიც არ განსაზღვრავს შეტყობინების ვადებს და ამბობს, რომ შეტყობინება დამზღვევის წინაშე სარჩელის არსებობის შესახებ სადაზღვევო კომპანიისთვის უნდა მოხდეს შეძლებისთანავე. ამ შემთხვევაში არ არის მოთხოვნა, რომ შეტყობინება აუცილებლად პოლისის მოქმედების ვადაში უნდა მოხდეს.<sup>134</sup> 2. “Claims made and reported Policies” - იგი შედარებით მკაცრ მოთხოვნებს ითვალისწინებს, მათ შორის დამზღვევს აკისრებს შეტყობინების ვალდებულებას პოლისის მოქმედების პერიოდში. წინააღმდეგ შემთხვევაში არ მოხდება

<sup>127</sup> იქვე.320.

<sup>128</sup> იქვე.

<sup>129</sup> *ირემბუილი ქ.*, მუხ. 839, გვ.2.

<sup>130</sup> What is professional liability insurance coverage? What does Professional Liability Insurance Coverage Cover and exclude?, <https://www.alignedinsurance.com/what-is-professional-liability-insurance-coverage/>.

<sup>131</sup> იქვე.

<sup>132</sup> იქვე.

<sup>133</sup> <https://www.irmi.com/term/insurance-definitions/claims-made-coverage-trigger>.

<sup>134</sup> Bonner M., What’s the difference between Claims Made and Occurrence Policies?, Claim reporting requirements, ხელმისაწვდომია:

<https://www.thebalancesmb.com/claims-made-versus-occurrence-policies-462581>.

დათარვა.<sup>135</sup>

„Claims-made“

პოლისი თავისი შინაარსით განსხვავებულია „Occurrence basis“-პოლისისგან. ეს უკანასკნელი ანაზღაურების წინაპირობად განიხილავს სადაზღვევო შემთხვევისა და ზიანის დადგომას. ასეთ დროს უმთავრესია, რომ პოლისით განსაზღვრული სადაზღვევო შემთხვევა დადგეს, რომელსაც შედეგად მოჰყვება ზიანი- ქონების ან სხეულის დაზიანების სახით დადგეს სადაზღვევო პერიოდში.<sup>136</sup> მნიშვნელობა არ ენიჭება იმ ფაქტს, თუ რამდენი წლის შემდეგ ხდება შეტყობინება მესამე პირის მიერ დაზღვევის წინააღმდეგ სარჩელის არსებობის შესახებ. იგი სადაზღვევო შემთხვევისას დათარვას ითვალისწინებს მაშინ-თუ ქმედებით გამოწვეული ზიანი მიყენებული იქნა პოლისის ძალაში ყოფნის პერიოდში.<sup>137</sup> იგი claims- made პრინციპიდან განსხვავებით, ზიანის დათარვისთვის საკმარისად მიიჩნევს ზიანის დადგომას და არ მოითხოვს პოლისის ძალაში ყოფნის პერიოდში დაზარალებული მესამე პირის სასარჩელო მოთხოვნის არსებობას.<sup>138</sup> უმრავლესობა პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისებიდან უპირატესობას CLAIM-MADE პოლისის ანიჭებს, მათ შორის დირექტორების და ხელმძღვანელების პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა ყოველთვის ამ ტიპის პოლისით იზღვევა.<sup>139</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 839-ე მუხლის თანახმად: „სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებით, მზღვეველი მოვალეა გაათავისუფლოს დამზღვევი იმ ვალდებულებისგან, რომელიც მას ეკისრება მესამე პირის წინაშე, დაზღვევის პერიოდში წარმოშობილი პასუხისმგებლობის გამო.“ აღნიშნული მუხლი ცალსახად მიუთითებს, რომ დამზღვევის პასუხისმგებლობა წარმოშობილი უნდა იყოს მაშინ, როდესაც სადაზღვევო პოლისი იქნება აქტიური. ვინაიდან პროფესიულ პასუხისმგებლობის დაზღვევაზე შეგვიძლია გავავრცელოთ სამოქალაქო დაზღვევის წესები, შეგვიძლია ამ ჭრილში ვიმსჯელოთ აღნიშნულ მუხლზე და პოლისის დათარვის ფარგლებზე.

<sup>135</sup> იქვე.

<sup>136</sup> ირემბაშვილი ქ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, მუხ.839, გვ.4. ბოლო დამუშავება 16.03.2016, ხელმისაწვდომია: <http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/03/Artikel-839.pdf>

<sup>137</sup> Bonner M., What's the difference between Claims Made and Occurrence Policies?, <https://www.thebalancesmb.com/claims-made-versus-occurrence-policies-462581>.

<sup>138</sup> Claims made vs . Occurrence Form Professional Liability Policy, [https://www.americanprofessional.com/wp-content/uploads/Claims-Made-vs-Occurrence\\_AC.pdf](https://www.americanprofessional.com/wp-content/uploads/Claims-Made-vs-Occurrence_AC.pdf).

<sup>139</sup> იქვე.

პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისი განსხვავებით მაგალითად კომერციული ზოგადი პასუხისმგებლობის პოლისისგან, (რომელიც დამატებით, ლიმიტს ზემოთ ფარავს დაცვისთვის განეულ ხარჯებს) ითვალისწინებს „ლიმიტის შემცირებას“ განეული ხარჯების გამო.<sup>140</sup> რაც ამცირებს დაზღვევის პოლისში გათვალისწინებული სადაზღვევო თანხის ლიმიტს.<sup>141</sup> მაგალითად: თუ პირს აქვს სადაზღვევო ლიმიტი 1 მლნ. დოლარი, სარჩელის ოდენობა 800 000\$ და იურიდიული მომსახურების ხარჯები და ბაჟი 400 000\$, სადაზღვევო კომპანია დაფარავს მხოლოდ 1 მლნ. დოლარს.<sup>142</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 841-ე მუხლი, პროფესიული პასუხისმგებლობის დროს ითვალისწინებს სასამართლო და არასამართლო ხარჯებს და მას აკისრებს დაზღვევს ვინაიდან იგი ამბობს, რომ „დაზღვევა მოიცავს“-ეს კი ნიშნავს იმას, მზღვეველი ვალდებულია ანაზღაუროს ასეთი ხარჯები მაგალითად: ბაჟი, ადვოკატის მომსახურებისთვის განეული ხარჯები. სავარაუდოდ ამ შემთხვევაშიც მიმართავს ლიმიტის შემცირებას.

ძალიან ბევრი კომპანიის მიერ განსაზღვრული არის მოთხოვნა, რომ მხოლოდ მას შემდეგ მოხდება სადაზღვევო შემთხვევის დაფარვა, რაც სასამართლო დაზღვეულს დააკისრებს კომპენსაციის გადახდას. ანუ სასამართლო გადაწყვეტილება არის წინაპირობა. რაც ქმნის იმის ვარაუდს, რომ საქართველოში claim-made პოლისები არის უპირატესი.

სადაზღვევო კომპანიები აგრეთვე ითვალისწინებენ მთელ რიგ წინაპირობებს, თუ რა შემთხვევაში არ დაფარავენ, თუნდაც პროფესიული საქმიანობის განხორციელების დროს, მესამე პირისთვის მიყენებულ ზიანს. მაგალითად: მზღვეველის მიერ არც ერთ შემთხვევაში არ ანაზღაურდება პრეტენზია ან დაცვის ხარჯები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულ იქნა, ან რამენაირად უკავშირდება მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს. მაგალითა: ა) არაკეთილსინდისიერ, თალღითურ ან განზრახ ქმედებას<sup>143</sup> (რაც ლოგიკურია, ვინაიდან პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა მხოლოდ სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას ფარავს დაა რა სისხლის სამართლებრივს). ბ) ნარკოტიკული, ალკოჰოლური ან ტოქსიკური ნივთიერების

<sup>140</sup> What is professional liability insurance coverage? What does Professional Liability Insurance Coverage Cover and exclude?, <https://www.alignedinsurance.com/what-is-professional-liability-insurance-coverage/>.

<sup>141</sup> იქვე.

<sup>142</sup> How does Professional Liability Insurance work? <https://advisorsmith.com/professional-liability-insurance/>.

<sup>143</sup> ექიმთა პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა-საინფორმაციო ფურცელი. ხელმისაწვდომია: <https://igg.ge/>.

გემოქმედების ქვეშ ყოფნისას განუღებ პროფესიულ სამოედციინო მომსახურებას.<sup>144</sup> ის არ ფარავს განზრახი ქმედებით გამოწვეულ ზიანს, ტყუილ რეკლამირებას, აგრეთვე იმ ზიანს, რომელიც არ არის პროფესიულ საქმიანობასთან კავშირში.<sup>145</sup> აგრეთვე, ნებისმიერ პატენტს, სავაჭრო საიდუმლოების, ინტელექტუალური საკუთრებას, პირად იდენტიფიცირებად ინფორმაციას ან სხვა მსგავსი ტიპის საკუთრებას, რომელიც შეიძლება გაცხადდეს მაშინ, როდესაც პირი აღძრავს სარჩელს პროფესიონალის წინააღმდეგ.<sup>146</sup> ამასთან, მზღვეველი თავისუფალია დაფარვის ვალდებულებისგან ისეთ შემთვევებში, რომლებიც პირდაპირ გამორიცხული არის სადაზღვევო პოლისში. ასეთია მაგალითად, ომის შედეგად გამოწვეული ზიანი.<sup>147</sup>

მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ ვადები, ვინაიდან პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევისას ხშირია დროში სხვაობა. ეს კი გულისხმობს იმას, რომ შეიძლება პირმა შეცდომა დაუშვას, ხოლო ზიანი წარმოიშვას მოგვიანებით. იურიდიული დოქტრინის თანახმად ზიანის გამომწვევი ქმედება და დაზღვევის წინააღმდეგ მიმართული სარჩელი უნდა არსებობდეს მანამ, სანამ პირს აქვს პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისი.<sup>148</sup> თუმცა ზოგ შემთხვევაში შესაძლოა პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისს ჰქონდეს უკუძალა. ვინაიდან ამ ტიპის დაზღვევის შემთხვევების დროს ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, შეიძლება იყოს დიდი პერიოდი. ეს განაპირობებს იმას, რომ ხელშეკრულებით მხარეები თანხმდებიან იმაზე, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგადაც შეძლოს დაზღვეულმა სადაზღვევო პოლისით სარგებლობა, მიუხედავად იმისა ხელშეკრულება ძალაში იქნება თუ არა. ამისთვის კი ხშირია პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისებში რეტროაქტიული (ნამდვილი) უკუძალის გამოყენება. რომელიც დოქტრინაში და უზენაესი სასამართლოს განმარტებით, გულისხმობს იმას, რომ კანონი ეხება უკვე წარსულში მომხდარ და წარსულშივე დასრულებულ ფაქტობრივ ურთიერთობებს.<sup>149</sup> ძალიან ხშირად

<sup>144</sup> იქვე.

<sup>145</sup> 7 things Professional Liability Insurance doesn't cover, <https://www.insureon.com/products/professional-liability/things-not-covered>.

<sup>146</sup> Harris Insurance Services, What does insurance services cover, 2017, <https://hisnv.com/what-does-professional-liability-insurance-cover/>.

<sup>147</sup> 317, <http://www.scandinavianlaw.se/pdf/38-15.pdf>.

<sup>148</sup> Kagan J., Professional Liability Insurance, How Professional Liability Insurance Works, updated: 23.02.2018, <https://www.investopedia.com/terms/p/professional-liability-insurance.asp>.

<sup>149</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nბს-21-21(კ-07), ქ. თბილისი, 21.06.2007. ხელმისაწვდომია: <http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>

რეტროაქტიული თარიღი ემთხვევა პოლისის დაწყების თარიღს.<sup>150</sup> ასეთ შემთხვევაში მხოლოდ ის ზიანი დაიფარება, რომლის გამომწვევი ქმედებაც განხორციელდა მას შემდეგ, რაც სადაზღვევო პოლისი შევიდა ძალაში.<sup>151</sup> ერთ - ერთ საქმეზე სწორედ ზემოაღნიშნული მიზეზის გამო, სასამართლომ claim-made პოლისი მიიჩნია occurrence based-პოლისად.<sup>152</sup> სასამართლოს არგუმენტი იყო ის, რომ მოცემულ პოლისში რეტროაქტიული თარიღი ემთხვეოდა პოლისის ძალაში შესვლის თარიღს.<sup>153</sup> სასამართლოს მოსაზრებით, სხვაგვარი დასკვნით, პოლისი განიმარტებოდა დამზღვევის ინტერესის საზიანოდ, რადგან შუალედი რეტროაქტიულ თარიღსა და სადაზღვევო პერიოდის დასაწყისს შორის, იყო შესაბამოდ „ვირწო“.<sup>154</sup>

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ასეთ შემთხვევაში პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პრემია ბევრად მაღალია ვიდრე ჩვეულებრივი სადაზღვევო პოლისების, სადაზღვევო დაფარვის გახანგრძლივებული ვადისა და არბითი რისკის გამო, რომ დაზღვეულს შეიძლება დაეკისროს ვალდებულება მაშინ, როდესაც ხელშეკრულება აღარ იქნება ძალაში.<sup>155</sup>

#### **4. სავალდებულო და ნებაყოფლობითი პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის მნიშვნელობა. მათი დადებითი და უარყოფითი ასპექტები:**

დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, დაზღვევა ხორციელდება ნებაყოფლობითი და სავალდებულო ფორმებით. იმავე მუხლშია განსაზღვრული აღნიშნული ფორმების შინაარსიც. ნებაყოფლობითი დაზღვევის აუცილებელი წინაპირობაა სადაზღვევო ხელშეკრულების არსებობა, რომელიც ინიცირებული იქნება დამზღვევის თავისუფალი ნებით. იგი ცალსახად იცავს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს. ამ დროს პირს აქვს უფლება სადაზღვევო კომპანიასთან შეთანხმებით, თავისი ნებით განსაზღვროს დაზღვევის ობიექტი, ტარიფი და ა.შ. ნებაყოფლობითი დაზღვევის სახეობები, პირობები და განხორციელების წესი

<sup>150</sup> What is the significance of the retroactive date for a claims-made insurance policy?, <http://www.insuranceqna.com/commercial-and-business-insurance/retroactive-date-and-claims-made-insurance-policy.html>

<sup>151</sup> იქვე.

<sup>152</sup> Jerry/Richmond, Understanding Insurance Law, Fourth Edition, 2007, p. 510 ციტ: *ირემაშვილი ქ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, მუხ. 839, 6. ბოლო დამუშავება

<sup>153</sup> იქვე.

<sup>154</sup> იქვე.

<sup>155</sup> იქვე.



დგინდება მზღვეველსა და დამზღვევეს შორის დადებული ხელშეკრულებით და ფორმდება ნებისმიერ სადაზღვევო კომპანიაში.<sup>156</sup>

რაც შეეხება სავალდებულო დაზღვევას, კონცეფცია ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში შეიქმნა გერმანიაში, როდესაც ხანძრისგან დაზღვევა გახდა სავალდებულო. მსოფლიო პრაქტიკამ დანერგა სავალდებულო დაზღვევის შემოღებისთვის საკმაოდ მკაფიო კრიტერიუმები.<sup>157</sup> თუ გარკვეული ჯგუფის რისკის არ არის მიღებული მზღვეველთა მიერ კომერციულ საფუძველზე, არარენტაბელურობის გამო, ან კომერციული სადაზღვევო ღირებულება არის ძალიან მაღალი დაზღვეულისთვის, ან მზღვეველი ვერ აფასებს საფრთხეებს მაგრამ, საზოგადოებისთვის არსებობს ასეთი დაზღვევის არსებობის საჭიროება- ასეთი რისკებისთვის, სახელმწიფოს შემოაქვს სავალდებულო დაზღვევა.<sup>158</sup> სავალდებულო დაზღვევის წარმოშობის საფუძველია კანონი, რომელიც ავალდებულებს ცალკეულ პირებს, ბიზნესებსა თუ სხვა ორგანიზაციებს, ჰქონდეთ შესაბამისი ტიპის, აქტიური პოლისი. მიზანი არის დაზღვეულის ფინანსური განადგურების პრევენცია, მსხვერპლის კომენსაციის უზრუნველყოფა ან ორივე ერთად.<sup>159</sup>

ზოგადად, პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის მიზანი არის დაიცვას მსხვერპლი ინციდენტების რისკებიდან, რომლებიც არის ხშირი და სერიოზული.<sup>160</sup> აგრევე დაიცვას იმ პირის ქონება, რომელმაც გაუფრთხილებლობით ზიანი მიაყენა მესამე პირს.<sup>161</sup> მათ, ვისაც მოეთხოვებათ ჰქონდეთ სავალდებულო პასუხისმგებლობის დაზღვევა, და არ გაითვალისწინებენ აღნიშნულს, დაეკისრებათ ჯარიმები.<sup>162</sup> სავალდებულო

<sup>156</sup> <https://geolaw.wordpress.com/2011/06/20/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%96%E1%83%A6%E1%83%95%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90-%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98/>

<sup>157</sup> Жилкина М.С., Обязательное страхованиеж зарубежная практика , "Страховое ревью", № 3, 2000 , 35-36.

<sup>158</sup> იქვე.

<sup>159</sup> Compulsory Insurance, Definition-what Does Compulsory Insurance means?, <https://www.insuranceopedia.com/definition/1302/compulsory-insurance>.

<sup>160</sup> Fontaine M., De Rode H., *Compulsory Insurance in OECD Countries Information and Recommendation for the Baltic States*, Policy Issues in Insurance, Insurance in a Baltic Countries, 194. [https://books.google.ge/books?id=xmsXL3H\\_LJsC&pg=PA191&lpg=PA191&dq=compulsory+insurance+advantage+and+disadvantage&source=bl&ots=0nODSqlnOZ&sig=ACfU3U1rLCirX970tP7p0dTdRDjRbWdNmg&hl=en&sa=X&ved=2ahUKEwj7jrf\\_9JPjAhVDpYsKHYd5B\\_sQ6AEwD3oECAkQAQ#v=onepage&q=compulsory&f=also](https://books.google.ge/books?id=xmsXL3H_LJsC&pg=PA191&lpg=PA191&dq=compulsory+insurance+advantage+and+disadvantage&source=bl&ots=0nODSqlnOZ&sig=ACfU3U1rLCirX970tP7p0dTdRDjRbWdNmg&hl=en&sa=X&ved=2ahUKEwj7jrf_9JPjAhVDpYsKHYd5B_sQ6AEwD3oECAkQAQ#v=onepage&q=compulsory&f=also).

<sup>161</sup> იქვე.

<sup>162</sup> იქვე.

დაზღვევას ბევრი მონინააღმდეგე ჰყავს იმ მოტივით, რომ იგი ეწინააღმდეგება ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს. კანონმდებელი კი ყოველთვის იქედან ამოდის, რომ სავალდებულო დაზღვევა, სულ მცირე დაზარალებულის ინტერესების დაცვას უნდა ემსახურებოდეს. იურისტები ხშირად უსვამენ ხაზს იმ ფაქტს, რომ პირი აუცილებლად უნდა იყოს დაცული გადახდისუნარობისგან, პოტენციური დაზარალებულის წინაშე.<sup>163</sup> უფრო მეტიც, არსებობს მოსაზრება, რომ სავალდებულო დაზღვევის განვითარება დაკავშირებულია პასუხისმგებლობის დაზღვევასთან.<sup>164</sup> სამართლებრივი და ფინანსური პროფესიები, აგრეთვე ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პროფესიები იყო ასეთი განვითარების მიზეზი.<sup>165</sup> საინტერესოა კანონით განსაზღვრული ვალდებულება არის თუ არა აუცილებელი იმისთვის, რომ რისკების დაზღვევა იყოს გარანტირებული.<sup>166</sup> ორივე ტიპის დაზღვევას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. სავალდებულო დაზღვევა- სოლიდარულობიდან გამომდინარეობს, იცავს მსხვერპლს კომპენსაციის გაღებვისთვის, აქვს პრემიების ერთგვაროვანი განაკვეთი, ზიანის სრულად დათარვა დამოკიდებულია საფუძვლიან სარჩელსა და მასში წარმოდგენილ მონაცემებზე, დიდი სადაზღვევო ბიუჯეტი უზრუნველყოფს ფინანსურ მდგრადობას, რათა შემდგომში მოხდეს პოტენციური ზიანის დათარვა და საზოგადოებისთვის დაბალი პრემიების შეთავაზება.<sup>167</sup> რაც შეეხება უარყოფით მხარეს-ხელს უშლის რისკების მართვის კულტურის განვითარებას, დამზღვევებს აკისრებს ადმინისტრაციულ ტვირთს მოახდინონ ზედამხედველობა და ამით უზრდის მათ სამუშაოს, კომპენსაციის დაგვიანება ხდება, ლიმიტირებულია სახელშეკრულებო მოქნილობა: ზიანის დათარვა არ არის ყოველთვის გამჭვირვალე პროცესი და როგორც წესი საკმაოდ

<sup>163</sup> Faure G M., Economic Criteria for Compulsory Insurance, The Geneva Papers on Risk and Insurance – Issues and Practice, First published: 12.01.2006, <https://link.springer.com/article/10.1057/palgrave.gpp.2510063>.

<sup>164</sup> Fontaine M., De Rode H., Compulsory Insurance in OECD Countries Information and Recommendation for the Baltic States, Policy Issues in Insurance, Insurance in a Baltic Countries, pg.192.

[https://books.google.ge/books?id=xmsXL3H\\_LjSc&pg=PA191&lpg=PA191&dq=compulsory+insurance+advantage+and+disadvantage&source=bl&ots=0nODSqlnOZ&sig=ACfU3U1rLCirX970tP7p0dTdRDjRbWdNmg&hl=en&sa=X&ved=2ahUKewj7jrf\\_9JPjAhVDpYsKHYd5B\\_sQ6AEwD3oECAkQAQ#v=onepage&q=compulsory&f=alse](https://books.google.ge/books?id=xmsXL3H_LjSc&pg=PA191&lpg=PA191&dq=compulsory+insurance+advantage+and+disadvantage&source=bl&ots=0nODSqlnOZ&sig=ACfU3U1rLCirX970tP7p0dTdRDjRbWdNmg&hl=en&sa=X&ved=2ahUKewj7jrf_9JPjAhVDpYsKHYd5B_sQ6AEwD3oECAkQAQ#v=onepage&q=compulsory&f=alse)

<sup>165</sup> იქვე.

<sup>166</sup> Wagner G., Tort and Insurance Law, Capacity as Insurability problem, 40,251,2005, [https://books.google.ge/books?id=rzIWNCCCvQ0C&pg=PA353&lpg=PA353&dq=compulsory+liability+insurance+for+auditors+IN+UNITED+STATE+OF+AMERICA&source=bl&ots=oV\\_UNDP5Nj&sig=ACfU3U0wNDVe744pIMteqTJ3LQ5Nn5JTog&hl=en&sa=X&ved=2ahUKewiF54\\_z0aDjAhXBKIaKHaUZC4sQ6AEwAnoECAkQAQ#v=onepage&q=voluntary%20%20insurance&f=false](https://books.google.ge/books?id=rzIWNCCCvQ0C&pg=PA353&lpg=PA353&dq=compulsory+liability+insurance+for+auditors+IN+UNITED+STATE+OF+AMERICA&source=bl&ots=oV_UNDP5Nj&sig=ACfU3U0wNDVe744pIMteqTJ3LQ5Nn5JTog&hl=en&sa=X&ved=2ahUKewiF54_z0aDjAhXBKIaKHaUZC4sQ6AEwAnoECAkQAQ#v=onepage&q=voluntary%20%20insurance&f=false).

<sup>167</sup> Papanicolaou M., Compulsory vs Optional Disaster Insurance, 28.04.2015, 13, <https://eiopa.europa.eu/Publications/Meetings/IRSG%20presentation%20on%20compulsory%20versus%20optional%20disaster%20insurance.pdf>.

რაც შეეხება ნებაყოფლობით დაზღვევას, მისი დადებითი მხარეებია- არჩევანის თავისუფლება, უფრო მეტი აქცენტი კეთდება რისკების მენეჯმენტსა და შემცირებაზე, უსაფრთხოებასა და ბიზნესის გახანგრძლივებაზე, თვასები დამოკიდებულია რისკის მენეჯმენტის ხარისხზე, დანაკარგების სტატისტიკურ მონაცემებზე, ადგილმდებარეობაზე და ინტენსიურობაზე.<sup>169</sup> ხელშეკრულება ითვალისწინებს დაფარვის ყველა დეტალს კონკრეტულად, თავისუფალი არჩევანია ფრანშიზასა თუ სადაზღვევო ლიმიტების განსაზღვრაზე.<sup>170</sup> რაც შეეხება უარყოფით მხარეს- თავისუფალი არჩევანი იწვევს იმას, რომ პირი რომელიც აუცილებლად უნდა დაეზღვიოს, გადანწყვეტს რომ არ სჭირდება სადაზღვევო პოლისი.<sup>171</sup> აგრეთვე პირი დამოკიდებულია დაზღვევის ხელმისაწვდომობაზე.<sup>172</sup>

რუსეთის ფედერაციის 1992 წლის სადაზღვევო აქტის პირველი მუხლი განმარტავს, რომ ნებაყოფლობითი აქტი დამოკიდებულია დამზღვევისა და დაზღვეულის ხელშეკრულებაზე.<sup>173</sup> სავალდებულო დაზღვევა კი გულისხმობს იმას, რომ მისი ტიპი, მდგომარეობა და პროცედურები განსაზღვრულია ფედერაციის კანონმდებლობის მიხედვით.<sup>174</sup> ზოგადად, პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის მიზანი არის დაიცვას მსხვერპლი ინციდენტების რისკებიდან, რომლებიც არის ხშირი და სერიოზული და აგრეთვე დაიცვას იმ პირის ქონება, რომელმაც გაუფრთხილებლობით ზიანი მიაყენა მესამე პირს.<sup>175</sup> სწორედ ამ მიზნით, დღეს საქართველოში განიხილება კანონი, რომლის თანახმადაც ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელები ვალდებული იქნებიან დააზღვიონ თავიანთი სამოქალაქო პასუხისმგებლობა. ეს კანონი პარლამენტს 2018 წლის ბოლოს წარედგინა. კანონპროექტის ინიციატორია დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური. აღნიშნული ნორმა ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელებს ავტოსაგზაო შემთხვევის

<sup>168</sup> იქვე.

<sup>169</sup> იქვე.

<sup>170</sup> იქვე.

<sup>171</sup> იქვე.

<sup>172</sup> იქვე, 12.

<sup>173</sup> Fontaine M., De Rode H., *Compulsory Insurance in OECD Countries Information and Recommendation for the Baltic States*, Policy Issues in Insurance, Insurance in a Baltic Countries, pg.212

[https://books.google.ge/books?id=xmsXL3H\\_LjC&pg=PA191&lpg=PA191&dq=compulsory+insurance+advantage+and+disadvantage&source=bl&ots=0nODSqlnOZ&sig=ACfU3U1rLCirX970tP7p0dTdRDjRbWdNmG&hl=en&sa=X&ved=2ahUKewj7jrf\\_9JPjAhVDpYsKHYd5B\\_sQ6AEwD3oECAkQAQ#v=onepage&q=compulsory&f=false](https://books.google.ge/books?id=xmsXL3H_LjC&pg=PA191&lpg=PA191&dq=compulsory+insurance+advantage+and+disadvantage&source=bl&ots=0nODSqlnOZ&sig=ACfU3U1rLCirX970tP7p0dTdRDjRbWdNmG&hl=en&sa=X&ved=2ahUKewj7jrf_9JPjAhVDpYsKHYd5B_sQ6AEwD3oECAkQAQ#v=onepage&q=compulsory&f=false)

<sup>174</sup> იქვე.

<sup>175</sup> იხ. სქ. 173.

შედეგად მესამე პირისთვის ქონების, სიცოცხლისა და ჯანრმთელობის დაზიანების დაზღვევას ავალდებულებს.<sup>176</sup> ვინაიდან ეს სავალდებულო დაზღვევაა, აღნიშნული პოლისის არქონა პირების დაჯარიმებას გამოიწვევს.<sup>177</sup>

#### **4.1 სავალდებულო და ნებაყოფლობითი პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა საქართველოში და საზღვარგარეთ.**

სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული მიდგომა არსებობს პროფესიული პასუხისმგებლობის სადაზღვევო პოლისისადმი. ქვეყნები, სადაც არის მაღალი სადაზღვევო კულტურა, გამოყოფენ პროფესიებს, რომლებიც შედარებით მაღალი რისკის მატარებელია და კანონის ძალით ავალდებულებენ საქმიანობის განმხორციელებელ პირს, დააზღვიოს საკუთარი პროფესიული პარუსიხმსგებლობა. ზოგიერთი ქვეყნის რეგულაციით განსაზღვრულია ამ ტიპის პოლისის სავალდებულობა, გარკვეული პროფესიებისთვის. მათ შორის ადვოკატების, ფინანსური მრჩეველების, ბუღალტრებისა და არქიტექტორებისთვის.<sup>178</sup> ბევრ ქვეყანაში პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისით სარგებლობა არის კერძო პრაქტიკაში ლიცენზიის მოპოვების წინაპირობა.<sup>179</sup> რაც თავის მხრივ ავალდებულებს პირს დაეზღვიოს, თუნდაც მას სურვილი არ ჰქონდეს.

კონტინენტური ეროპის ქვეყნებისთვის სავალდებულო პროფესიული დაზღვევის სისტემა არის ისეთივე ჩვეულებრივი, როგორც სავალდებულო ავტომფლობელთა პასუხისმგებლობის დაზღვევა.<sup>180</sup> მაგალითად გერმანიაში, მსოფლიო სადაზღვევო ბაზარზე ასეთ პრესტიჟულ ქვეყანაში, 1934 წლიდან დღემდე ფუნქციონირებს ფედერალური სავალდებულო მონადირეთა პასუხისმგებლობის დაზღვევა მესამე პირთა მიმართ.<sup>181</sup> ასევე აღნიშნული

<sup>176</sup> რას ნიშნავს სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა, 11.02.2019, <https://imednews.ge/ge/theme/324/ivlisidan-mdzgolebs-mesame-piris-dazgvevas-kanoni-daavaldebulebs-es-kargia-tu-tsudi>.

<sup>177</sup> <https://reginfo.ge/people/item/12312-manganis-mplobeli-valdebuli-iqneba%2C-sakutari-samogalago-pasuxismgebloba-daaazgvios-%E2%80%93-kanonproeqti>.

<sup>178</sup> Is Professional Indemnity Insurance Compulsory?, <https://www.simplybusiness.co.uk/insurance/faq/is-professional-indemnity-insurance-compulsory-by-law/>.

<sup>179</sup> Страхование профессиональной ответственности врачей. Страховой ликбез <http://smile-center.com.ua/ru/articles/straxovanie-professionalnoi-otvetsvet-vrachey-straxovoi-likbez>.

<sup>180</sup> Жилкина М. С., Обязательное страхование из зарубежная практика, "Страховое ревю", № 3, 2000, 35-36.

<sup>181</sup> იქვე.

მოთხოვნა ვრცელდება შემდეგ პროფესიებზე: ნოტარიუსები, აუდიტორები, საგადასახადო კონსულტანტები, მანქანის ექსპერტები, მშენებლები, არქიტექტორები და დიზაინერები).<sup>182</sup> იგი მოიცავს ძირითადად ისეთ სფეროებს, სადაც დასაქმებულ პირთა მიერ საქმიანობამაც შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს კლენტის ქონებას.<sup>183</sup> მათ რიცხვში არიან ადვოკატებიც, ისინი სავალდებულო სახით ახორციელებენ თავისი პროფესიონალური პასუხისმგებლობის დაზღვევას.<sup>184</sup>

დიდ ბრიტანეთში, სავალდებულო დაზღვევის ჩამონათვალში დომინირებს პასუხისმგებლობის დაზღვევა, მათ შორის ბირთვული ელექტროსადგურების და დანადგარების ექსპლუატაციის, პროფესიული (იურისტების, სერტიფიცირებული ბუღალტერების და სხვა).<sup>185</sup> გარდა ამისა, დიდ ბრიტანეთში სავალდებულოა სადაზღვევო ბროკერების პასუხისმგებლობის დაზღვევა.<sup>186</sup> საბროკეროდ დარეგისტრირებისას სადაზღვევო პოლისი შედის საჭირო დოკუმენტაციის ნუსხაში. ბროკერს უნდა ჰქონდეს ფინანსური გარანტიები მათი პროფესიული საქმიანობის დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით.<sup>187</sup>

არსებობს მოსაზრება, რომ სავალდებულო დაზღვევა, რომელიც კანონით არის გათვალისწინებული, საუკეთესო გზაა პრობლემის გადასაჭრელად. იტალიაში აქტუალურია ავტომობილის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა.<sup>188</sup> ANIA-ს (იტალიური სადაზღვევო ასოციაცია) მონაცემებით აღნიშნული დაზღვევის პოლისის თანხა წლიურად შეადგენს სავალდებულო პასუხისმგებლობის პოლისების შემოსავლის 85%-ს.<sup>189</sup> სამართლებრივი მოთხოვნა, რომ პროფესიული პასუხისმგებლობის სადაზღვევო პოლისი, რეგულირდება და კონტროლდება პროფესიული ასოციაციების მიერ.<sup>190</sup> ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა ტურისტული აგენტებსაც ავალდებულებს

<sup>182</sup> იხ. სქ. 180

<sup>183</sup> Фрунез Ю., Укрепление Системы Страхования Гражданской Ответственности в Республике Молдова и Зарубежный Опыт, С.39, <http://www.legeasiviata.in.ua/archive/2014/3/07.pdf>.

<sup>184</sup> იქვე.

<sup>185</sup> იხ. სქ. 180.

<sup>186</sup> იქვე.

<sup>187</sup> იქვე.

<sup>188</sup> Wagner G., Tort and Insurance Law, Capacity as Insurability problem, 40.127, 2005, [https://books.google.ge/books?id=rzIWNCCCvQ0C&pg=PA353&lpg=PA353&dq=compulsory+liability+insurance+for+auditors+IN+UNITED+STATE+OF+AMERICA&source=bl&ots=oV\\_UNDP5Nj&sig=ACfU3U0wNDVe744plMteqTJ3LQ5Nn5JTog&hl=en&sa=X&ved=2ahUKEwiF54\\_z0aDjAhXBKIAKH aUZC4sQ6AEwAnoECAkQAQ#v=onepage&q=voluntary%20%20insurance&f=false](https://books.google.ge/books?id=rzIWNCCCvQ0C&pg=PA353&lpg=PA353&dq=compulsory+liability+insurance+for+auditors+IN+UNITED+STATE+OF+AMERICA&source=bl&ots=oV_UNDP5Nj&sig=ACfU3U0wNDVe744plMteqTJ3LQ5Nn5JTog&hl=en&sa=X&ved=2ahUKEwiF54_z0aDjAhXBKIAKH aUZC4sQ6AEwAnoECAkQAQ#v=onepage&q=voluntary%20%20insurance&f=false).

<sup>189</sup> იქვე.

<sup>190</sup> იქვე.

დააზღვიონ საკუთარი პროფესიული პასუხისმგებლობა. მაგალითად: ბელგია, ჩეხეთი, საფრანგეთი, ისლანდია, ნორვეგია, პორტუგალია, სლოვაკეთი და ესპანეთი.<sup>191</sup> ზოგიერთი სავალდებულო ტიპის დაზღვევა აჩენს კითხვას იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა დაზღვევის საჭიროება. მაგალითად, საფრანგეთში პასუხისმგებლობის დაზღვევა ცეკვის სკოლისთვის სავალდებულოა.<sup>192</sup> ფრანგი სადაზღვევო ექსპერტები იძლევიან რეკომენდაციას, რომ ასეთი მოთხოვნა გაუქმებული იყოს.<sup>193</sup> ასევეა დანიაში დაქირავებული სატრანსპორტო საშუალებების ზიანისგან დაზღვევა.<sup>194</sup>

ნიდერლანდებში კანონმდებლობით არ არის სავალდებულოდ დადგენილი პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა.<sup>195</sup> ნაცვლად ამისა, გარკვეული პროფესიული ორგანოები იღებენ კანონმდებლურ ძალაუფლებას და თავად წვეტენ მოსთხოვონ თუ არა მათ წევრებს, სავალდებულოდ ჰქონდეთ სადაზღვევო პოლისი.<sup>196</sup>

ჰოლანდიელ ადვოკატებს მოეთხოვებათ ჰქონდეთ პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისი, ფინანსური ჩანაწერებისა და ფინანსური ერთიანობის რეგულაციის თანახმად - რაც გამოცემულია ჰოლანდიის იურისტთა ასოციაციის მიერ.<sup>197</sup> მინიმალური სადაზღვევო თანხა არის 500 000 ევრო თითოეულ შემთხვევაში და მთლიანობაში სულ მცირე 1 მილიონი ევრო.<sup>198</sup> თუ მოხდება შესაბამისი სადაზღვევო პოლისის გაუქმება ისჯება, როგორც პროფესიული დისციპლინის დარღვევა.<sup>199</sup> ბაზარზე სულ რამდენიმე მზღვეველია, რომელიც სთავაზობს ამ ტიპის დაზღვევას.<sup>200</sup> ჰოლანდიელი სამოქალაქო სამართლის ნოტარიუსი ვალდებულია დააზღვიოს თავისი პროფესიული პასუხისმგებობა 2004 წლის პროფესიული პასუხისმგებლობის რეგულაციების თანახმად, რომელიც მიღებულია ნოტარიატთა სახელმწიფო საზოგადოების მიერ.<sup>201</sup> სავალდებულო დასაფარი ოდენობა არის 1 მილიონი ევრო თითოეულ

<sup>191</sup> იქვე.

<sup>192</sup> იქვე.

<sup>193</sup> იქვე, 214.

<sup>194</sup> იქვე, pg. 198.

<sup>195</sup> *Burua H.*, Mandatory Insurance in the Netherlands, Mandatory insurance for job-related risks, 2010, 4.40, 14.

<sup>196</sup> იქვე.

<sup>197</sup> იქვე, 4.42, pg. 15.

<sup>198</sup> იქვე.

<sup>199</sup> იქვე.

<sup>200</sup> იქვე.

<sup>201</sup> იქვე.

პირზე თითოეულ შემთხვევაში და სულ რამდენიმე პროვაიდერია ბაზარზე, ვინც სთავაზობს მათ დაზღვევას.<sup>202</sup>

პოლანდიელ არქიტექტორებს და ინჟინრებს, თუ ისინი არიან არქიტექტორები და ინჟინრების ასოციაციის წევრები (მგ: BNA/BNI, ONRI), სავალდებულოდ განესაზღვრებათ პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა.<sup>203</sup> მართალია ამ ორგანიზაციების წევრობა ნებაყოფლობითია, თუმცა უმრავლესობა ასოციაციის წევრია.<sup>204</sup> რაც გულისხმობს იმას რომ ამ ტიპის დაზღვევა ასეთ შემთხვევებში შეგვიძლია მივიჩნიოთ დე ფაქტო სავალდებულოდ.<sup>205</sup>

სადაზღვევო ბროკერებსა და ფინანსური სერვისების მომწოდებლებს, აგრეთვე ბუღალტრული ფირმები ნიდერლანდებში, ვალდებულნი არიან ჰქონდეთ პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა.<sup>206</sup> ამერიკაშიც არსებობს სავალდებულო დაზღვევა, რაც ეხება სხვადასხვა კატეგორიის პოლისს. მათ შორის არის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა. მგ: ექიმთა საზოგადოებისთვის სავალდებულოა ჰქონდეს პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა.<sup>207</sup>

რაც შეეხება დაზღვევას საქართველოში, ნებაყოფლობითი დაზღვევა თანდათან აქტუალური ხდება, ვინაიდან იზრდება რისკების გაცნობიერების თვითშეგნება. ხშირია სადაზღვევო კომპანიების აგენტების მხრიდან სადაზღვევო პოლისებისა და განსხვავებული პირობების შემოთავაზებები. შესაბამისად, დაზღვევს შეუძლია თავისუფლად აირჩიოს მისთვის სასურველი პირობების მქონე კომპანია და დადოს დაზღვევის ხელშეკრულება. 2019 წლის 31 მარტის მონაცემებით საქართველოში, კერძო სამედიცინო დაზღვევით, მოსახლეობის 15 % სარგებლობს რაც აღემატება 2018 წლის სტატისტიკას.<sup>208</sup> აგრეთვე წინა წლის პროცენტულ მაჩვენებელს აღემატება ქონებისა და ავტომობილის სადაზღვევო პოლისთა ოდენობაც.<sup>209</sup>

სავალდებულო დაზღვევას საქართველოში მხოლოდ რამდენიმე დაზღვევის

<sup>202</sup> იქვე.

<sup>203</sup> იქვე.

<sup>204</sup> იქვე.

<sup>205</sup> იქვე.

<sup>206</sup> იქვე.

<sup>207</sup> Rice M. M., MD, JD, FACEP and members of ACEPs Medical Legal Committee, Medical Professional Liability Insurance, April 2004, <https://www.acep.org/globalassets/uploads/uploaded-files/acep/clinical-and-practice-management/resources/medical-legal/mplipaperapril04.pdf>.

<sup>208</sup> <https://commerciant.ge/ge/post/saqartveloshi-kerdzo-samedicino-dazgvevit-mosaxleobis-15-procenti-sargeblobs>

<sup>209</sup> იქვე.

ტიპზე ვრცელდება. ერთ-ერთი არის ნოტარიუსთა სავალდებულო პროფესიული დაზღვევა.<sup>210</sup> აღნიშნული პოლისით ითვარება ნოტარიუსთა სამოქალაქო პასუხისმგებლობა, რომელიც პროფესიული საქმიანობის განხორციელების შედეგად მიყენებული ზიანს ფარავს. მიიჩნევა, რომ ნოტარიუსის სავალდებულო პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა ხელს უწყობს ნოტარიატის, როგორც უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი ინსტიტუტის ნდობის გაზრდას და იმიჯის ამაღლებას.<sup>211</sup>

2016 წლის 17 ოქტომბრის ბრძანების თანახმად, (ბრძანება N12)<sup>212</sup> რომელიც გამოსცა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა, სავალდებულოდ აწესებს პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევას ბუღალტრებისთვის და აუდიტორებისთვის. დაზღვევის ობიექტს წარმოადგენს აუდიტორული თუ ბუღალტრული მომსახურების განწვევის შედეგად მესამე პირისთვის მიყენებული მატერიალური ზიანი. ბრძანების გამოცემის წინაპირობაა ის, რომ აღნიშნული პროფესიები მაღალი ფინანსური რისკის მატარებელია. მაგალითად: როდესაც ბუღალტერის პროფესიული რჩევის საფუძველზე იღებს ბიზნესის მფლობელი გადაწყვეტილებას, რაც მას ზიანს მოუტანს, არსებობს დიდი რისკი იმისა, რომ ბუღალტრის წინააღმდეგ შეიტანოს სარჩელი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.<sup>213</sup> საქართველოს მსგავსად ბევრი ქვეყანა ითავლისწინებს აუდიტორთა და ბუღალტრების სავალდებულო დაზღვევას კანონმდებლობით. მათ შორის მემობელი აზერბაიჯანიც.<sup>214</sup>

საქართველოში სავალდებულო დაზღვევას ექვემდებარება აგრეთვე, კერძო აღმასრულებლის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 29 იანვრის ბრძანებით, სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ კანონის 113-ე მუხლის მე-12 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განისაზღვრა კერძო აღმასრულებლის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა. დაზღვევის ობიექტია კერძო

<sup>210</sup> ნოტარიუსთა სავალდებულო პროფესიული დაზღვევის არსებითი პირობებისა და სადაზღვევო თანხის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება 2010 წლის 17 მარტი.

<sup>211</sup> საქართველოს ნოტარიატის განვითარების სტრატეგია 2014 წლისთვის, სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატა, 7, [https://www.notary.ge/res/docs/strategia/notariatis\\_ganvitarebis\\_strategia.pdf](https://www.notary.ge/res/docs/strategia/notariatis_ganvitarebis_strategia.pdf).

<sup>212</sup> „აუდიტორის/აუდიტორული (აუდიტური) ფირმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის არსებითი პირობების და სადაზღვევო თანხის განსაზღვრის წესი“.

<sup>213</sup> <https://www.einsurance.com/business-insurance/professional-liability-insurance/accountants-bookkeepers-tax-preparers-insurance/accountants-liability-liability/>.

<sup>214</sup> [http://www.aiic.az/compulsory\\_insurance,479/lang,en/](http://www.aiic.az/compulsory_insurance,479/lang,en/).



აღმასრულებლის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა, თავისი პროფესიული საქმიანობის განსხორციელებისას მესამე პირისთვის მიყენებული ზიანისთვის.<sup>215</sup> აღნიშნული საქმიანობის განმახორციელებელი პირების სავალდებულო დაზღვევა გამონვეულია იმით, რომ მათ შეცდომას შესაძლოა მოჰყვეს დიდი ფინანსური ზარალი, რომლის დაფარვის ვალდებულებაც წარმოეშობათ თავად კერძო აღმასრულებელს არ შეუძლია რეესტრში რეგისტრაცია სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის გარეშე.<sup>216</sup>

ამრიგად საქართველოში სადაზღვევო საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტებით დადგენილია სავალდებულო დაზღვევა, რომლის საფუძველზე დაზღვევისათვის დაზღვევის ხელშეკრულების მოვალეობის დაკისრება საჯარო-სამართლებრივ ხასიათზე მიუთითებს.<sup>217</sup> ყველა სხვა შემთხვევაში, დაზღვევა არის ნებაყოფლობითი, რის საფუძველზეც გაფორმებული ხელშეკრულებები არის კერძო სამართლებრივი.<sup>218</sup> ამასთან ერთად, ფიზიკურ და იურიდიულ პირს, ამ შემთხვევაში კი დაზღვევს, უფლება აქვს ერთი და იმავე დაზღვევის ობიექტი დააზღვიოს, როგორც სავალდებულო დაზღვევით, ისე ნებაყოფლობით ფორმითაც.<sup>219</sup>

IV. პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის გამიჯვნა (სამენარმეო) იურიდიული პირის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევისგან.

**1. საწარმოო პასუხისმგებლობის დაზღვევის შინაარსი**  
საწარმოს სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა გამოიყენება ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც. გერმანიის კანონი დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ არეგულირებს ამ ტიპის სადაზღვევო ურთიერთობებს, მაგრამ არ აწესებს სავალდებულო ფორმას.<sup>220</sup> გერმანულ კანონმდებლობაში

<sup>215</sup> 2009 წლის 29 ივნისის საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N118, „კერძო აღმასრულებლის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“.

<sup>216</sup> <http://justice.gov.ge/News/Detail?newsId=2923>.

<sup>217</sup> *წულაძე ი., ყურაშუბაძე ც.*, დაზღვევის ზოგადი საფუძვლები, მათი სამართლებრივი რეგულირება, 2.2, 2011, 34.

<sup>218</sup> იქვე.

<sup>219</sup> იქვე.

<sup>220</sup> Berufshaftpflichtversicherungen, BT-Drucks.16/3945, S.85 zu § 102 VVG.

არსებობდა დავა თავად სადაზღვევო პოლისის სახელთან დაკავშირებით. ვინაიდან დაზღვევის შესახებ კანონში გამოყენებული იყო ტერმინი-„საწარმო“, („Unternehmen“) რაც იმით აიხსნებოდა, რომ ეს ტერმინი სავაჭრო კოდექსიდან იქნა აღებული ხოლო სახელმწიფოს ფედერალურ კანონმდებლობაში იხმარებოდა სიტყვა-„კომპანია“ („Betrieb“).<sup>221</sup> ეს ორი ტერმინი თითქოს ერთი და იგივეა, თუმცა მათ შორის რამდენიმე განსხვავება არსებობს. მაგალითად ის, რომ საწარმო („Unternehmen“) შეიძლება რამდენიმე კომპანიისგან („Betrieb“) შედგებოდეს.<sup>222</sup>

საქართველოში ჩვეულებრივ საწარმოო პასუხისმგებლობის დაზღვევა გამოიყენება და აღნიშნულის არევა სხვა რომელიმე ტერმინთან არ ხდება. თუმცა იგი თავისი შინაარსით ძალიან გავს პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევას, რის გამოც ხშირად შეცდომით აიგივებენ ერთმანეთთან.

იურიდიული პირების სამოქალაქო პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ მათი საქმიანობა გამოიწვევს მესამე პირების ფიზიკურ ან ეკონომიკურ ზიანს. პასუხისმგებლობის დაზღვევა მნიშვნელოვანი არის ნებისმიერი კომპანიისთვის. ვინაიდან სადაზღვევო შემთხვევა შეიძლება მოხდეს ნებისმიერ დროს, რომელიც გამოიწვევს ფინანსურ ან ჯანმრთელობის დაზიანებას. ხოლო სარჩელები, რომელსაც დაზარალებული პირი შეიტანს სასამართლოში კომპანიის საწინააღმდეგოდ, გარკვეულ რისკებს მოიცავს და ეჭვ ეყვება აყენებს კომპანიის საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობას.<sup>223</sup> ბიზნესი უნდა აცნობიერებდეს, რომ მესამე პირის სარჩელის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია და შეიძლება შედეგად გაბანკროტებაც კი გამოიწვიოს. რასაკვირველია სამეწარმეო დაზღვევის დადებითი მხარე არის ის, რომ მეწარმის კომპანია იქნება დაცული. იმისთვის რომ წარმოიშვას საწარმოს სამოქალაქო პასუხისმგებლობა, აუცილებელია მის ადგილსამყოფელთან ან მის საქმიანობასთან იყოს დაკავშირებული წარმოშობილი ზიანი. საწარმოს პასუხისმგებლობის დაზღვევა იცავს კომპანიას და იხდის მისი სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფასურს, მაგალითად სამედიცინო ხარჯებს, რომელის დასჭირდა იმ პირს, რომელმაც მიიღო ზიანი კომპანიის ტერიტორიაზე.<sup>224</sup> ამ ტიპის

<sup>221</sup> იქვე.

<sup>222</sup> *Sajetski J.*, Unterschied zwischen Betrieb und Unternehmen –alle infos, 23.10.2018, [https://praxistipps.focus.de/unterschied-zwischen-betrieb-und-unternehmen-alle-infos\\_105629?fbclid=IwAR0tqQoJq7ssqDGBvGfYovgpoisZ\\_5Dp9Z9j83GY6sHODLa0kb29hdj\\_jJU](https://praxistipps.focus.de/unterschied-zwischen-betrieb-und-unternehmen-alle-infos_105629?fbclid=IwAR0tqQoJq7ssqDGBvGfYovgpoisZ_5Dp9Z9j83GY6sHODLa0kb29hdj_jJU).

<sup>223</sup> <https://www.hdi.global/jp/en/insurance/liability>.

<sup>224</sup> *Kagan J.*, Business Liability Insurance, 08.03.2018, <https://www.investopedia.com/terms/b/business-liability-insurance.asp>.

დაზღვევა სთავაზობს აგრეთვე დამზღვევ კომპანიებს იმ ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას, რომელიც მიადგათ მესამე პირებს კომპანიის ან მისი დასაქმებულების ქმედებით.<sup>225</sup> სამენარმეო პასუხისმგებლობის დაზღვევით, ბიზნესის სასარგებლოდ, სადაზღვევო კომპანია დათვარავს არამხოლოდ ზიანს არამედ სასამართლო დაცვისა და სხვა ხარჯებს.<sup>226</sup> რაც შეეხება სადაზღვევო თანხის ლიმიტს, იგი განისაზღვრება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში და დამოკიდებულია იურიდიული პირის საქმიანობაზე და სავარაუდო რისკებზე.<sup>227</sup> აგრეთვე ითვალისწინებენ იურიდიული პირის საქმიანობის ადგილსაც. მაგალითად, ზოგ ქვეყანაში უფრო მეტ კომპენსაციას ანიჭებს მოსარჩელეს სასამართლო, ვიდრე სხვაგან.<sup>228</sup> ეს კი სადაზღვევო ხელშეკრულებაში, სადაზღვევო თანხისა და პრემიის განსაზღვრისას, მნიშვნელოვანი ფაქტორია. განსაკუთრებით, იურიდიული პირის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დროს.

## **2. საწარმოო და პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის საერთო და განმასხვავებელი ნიშნების გამოყოფა.**

ხშირად ხდება პროფესიული პასუხისმგებლობისა და (სამენარმეო) იურიდიული პირის სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაიგივება ერთმანეთთან. მათ შორის დამსაქმებლებსაც კი ერევათ აღნიშნული ორი ტიპის დაზღვევა ერთმანეთში. ამის მიზეზი ის არის, რომ ორივე დაკავშირებულია შრომითსამართლებრივ ურთიერთობასთან. თუ პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევისას, დამზღვევის მოქმედების სფეროა საკუთარი პროფესია, იურიდიული პირის სამენარმეო საქმიანობის განხორციელებისას, ზიანის პიდაპირ კავშირში უნდა იყოს იურიდიული პირის საქმიანობასთან. ანუ, რომ არა ეს საწარმო ან ეს იურიდიული პირი, მისი ქმედება თუ უმოქმედობა, მისი ადგილსამყოფელი, აღნიშნული შემთხვევა არ მოხდებოდა. ამ ორს შორის გამიჯვნა შეიძლება იმ მხივაც, რომ პროფესიული პასუხისმგებლობისას ზიანი შეიძლება გამოწვეული

<sup>225</sup> იქვე.

<sup>226</sup> იქვე.

<sup>227</sup> იქვე.

<sup>228</sup> იქვე.

იყოს პირის ქმედებით ან უმოქმედობით, მეორე შემთხვევაში კი შეიძლება ზიანი დადგეს საწარმოსგან დამოუკიდებელი მიზეზებით, თუმცა საწარმოს სამოქალაქო პასუხისმგებლობა მაინც წარმოეშვას. მაგალითად: ადვოკატი უცოდინრობის გამო კლიენტს არ ეუბნება მნიშვნელოვან დეტალს კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში სახეზე გვექნება კანონით გამსაზღვრული პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხი და შესაბამისად პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა. მეორე შემთხვევა, საადვოკატო ბიუროში კლიენტს ფეხი უსრიალდება ახლადმონტებულ მარმარილოს იატაკზე და ადგება ზიანი. თანახმად, ამ შემთხვევაშიც იქნება ადვოკატი პასუხისმგებელი კლიენტის წინაშე. მაგრამ აქ იქნება საწარმოო პასუხისმგებლობა. საქართველოს 1997 წლის კანონი ითვალისწინებდა საწარმოს სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევას, ოღონდ აღნიშნული ვრცელდებოდა მხოლოდ ვინრო წრეზე, საშიშ საწარმოებზე.<sup>229</sup> აღნიშნული კანონი 2010 წელს გამოცხადდა ძალადაკარგულად. მიუხედავად იმისა, რომ საწარმოს სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა სავალდებულო აღარ არის, საწარმოს ხელმძღვანელს შეუძლია ნებაყოფლობით დააზღვიოს სამოქალაქო პასუხისმგებლობა. მაგალითად, სადაზღვევო კომპანია ირაო სთავაზობს პირებს აღნიშნულ დაზღვევას და დათვარავს ზიანს იმ შემთხვევაში, თუ დაზღვევის მოქმედების პერიოდში იქნება მომხდარი და გაცხადებული შემთხვევა, რომელიც იწვევს მესამე პირის ქონების ან სხეულის დაზიანებას და რომლის ანაზღაურებაზეც სამართლებრივად პასუხისმგებელი არის დამზღვევი.<sup>230</sup> წლიურ სადაზღვევო თანხის ლიმიტად განსაზღვრავს 10 000 ლარს.<sup>231</sup>

## V. ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის არსი და მისი წარმოშობის ისტორია

ექიმი რომელსაც აქვს პასუხისმგებლობა პაციენტის მიმართ, რომელმაც დაარღვია გავრცელებული „მკურნალობის სტანდარტი“ პასუხისმგებელია სამოქალაქო კანონმდებლობით ნებისმიერი მიყენებული ზიანისთვის.<sup>232</sup> ჯერ კიდევ ადრეულ მეთორმეტე საუკუნეში სამედიცინო საზოგადოებებმა დაიწყეს თავიანთი

<sup>229</sup> საქართველოს კანონი საშიში საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ, თავი VI, მუხლი 20.

<sup>230</sup> კეკუტია ს., ბიზნესის დაზღვევა, 15.03.2018, <https://www.iraog.ge/index.php/2013-02-02-12-03-44/bus>.

<sup>231</sup> იქვე.

<sup>232</sup> Sage M. W., The Forgotten Third: Liability Insurance and Medical Malpractice Crisis, <https://www.healthaffairs.org/doi/full/10.1377/hlthaff.23.4.10>.

წევრების დაცვა პაციენტთა სარჩელებისგან.<sup>233</sup> სამედიცინო სფეროში პასოფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევას საფუძველი მეოცე საუკუნის დასაწყისში ჩაეყარა. იგი ანიჭებს ექიმს სადაზღვევო დაცვას, სამედიცინო საქმიანობის დროს დაშვებული შეცდომიდან გამომდინარე პასუხისმგებლობისთვის.<sup>234</sup> ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა აღმოცენდა ამერიკის შეერთებულ შტატებში და შემდგომში განვითარდა და გავრცელდა სხვადასხვა ქვეყნებში.<sup>235</sup> ზოგიერთ ქვეყანაში კი აღნიშნულმა დაზღვევამ სავალდებულო ფორმა მიიღო.<sup>236</sup> 1960-იანი წლების ბოლომდე ექიმთა პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისი ჰქონდათ მხოლოდ გენერალურ სადაზღვევო კომპანიებს თუმცა, შემდეგ გაჩნდა სპეციალიზირებული კომპანიები, რომლებიც მხოლოდ ექიმთა პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისებს სთავაზობდნენ კლიენტებს. მგ: Converium Ltd.<sup>237</sup> მათთან ერთად ფართოდ გავრცელებული იყო ექიმთა ურთიერთდაზღვევის საზოგადოებები.<sup>238</sup> რომლებიც თავის წევრებს უწევდნენ იურიდიულ კონსულტაციას და სასამართლოში უჭერდნენ მხარს.<sup>239</sup> ასევე უზრუნველყოფნენ კომპენსაციის გადახდას იმ ზიანისთვის, რომელიც ექიმის მიერ მიაღება პაციენტს.<sup>240</sup> მგ: ექიმთა დაცვის კავშირი-რომელიც წარმოიშვა ბრიტანეთში 1885 წელს, ექიმთა დაცვის საზოგადოება-შეიქმნა 1892 წელს. იგი ღირს შედგება 200 000 წევრისგან, მსოფლიოს 40 ქვეყანაში.<sup>241</sup>

1970-იან წლებში პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა მომხმარებლებს სთავაზობდა „occurrence“ პოლისს.<sup>242</sup> რომლის თანახმადაც კომპანია დაფარავდა იმ სარჩელებს რომლებიც იყო პოლისის ძალაში ყოფნის დროს ექიმის მიერ განხორციელებული ქმედების შედეგი, მიუხედავად იმისა თუ როდის იქნა

<sup>233</sup> იქვე.

<sup>234</sup> Laufs A., Cleman Th., Uhlenbruck Wilhelm, "Handbuch des Arztes", Arzt und Berufshaftpflichtversicherung, Rn.1-13., 2010.

<sup>235</sup> Finnacord, "Risks in underwriting professional indemnity insurance: a European overview" 2014. ციტი: დანგაძე ბ., სოფრომაძე ლ. „ექიმთა პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა საქართველოში“.

<sup>236</sup> იქვე.

<sup>237</sup> 'Зарубежный опыт страхования профессиональной ответственности врачей', ხელმისაწვდომია: <http://isfic.info/halfin/mensh16.htm>.

<sup>238</sup> იქვე.

<sup>239</sup> იქვე.

<sup>240</sup> იქვე.

<sup>241</sup> იქვე.

<sup>242</sup> Rice M. M., MD, JD, FACEP and members of ACEPs Medical Legal Committee, Medical Professional Liability Insurance, April 2004, <https://www.acep.org/globalassets/uploads/uploaded-files/acep/clinical-and-practice-management/resources/medical-legal/mplipaperapril04.pdf>.

სარჩელის შესახებ სადაზღვევო კომპანიისთვის ცნობილი.<sup>243</sup> თუმცა პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის დღევანდელი პოლისები ძირითადად ითვალისწინებს „claim made“ პრინციპს, რომლითაა არ ხდება „ძველი ქმედების“ დათარვა.<sup>244</sup> ეს გულისხმობს იმას, რომ ზიანის გამომწვევი ქმედება და მის საფუძველზე აღძრული სასარჩელო მოთხოვნა უნდა განხორციელდეს პოლისის ძალაში ყოფნის პერიოდში.<sup>245</sup> ეს თავის მხრივ ეხმარება სადაზღვევო კომპანიას ზუსტად განსაზღვროს სადაზღვევო პრემიის ოდენობა.<sup>246</sup>

საფრანგეთში ექიმის პასუხისმგებლობის სადაზღვევო პოლისი 1825 წელს განოჩნდა, გერმანიაში - 1871 წელს, ინგლისში 1880 წელს.<sup>247</sup> რუსეთში, ექიმების პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა უფრო გავრცელებულია ვიდრე უკრაინაში.<sup>248</sup> 1970-იან წლებში შვედეთში შეიქმნა სოციალური დაზღვევის სქემა, პროფესიული საქიანობის შესრულებისას, არასასურველი შედეგის დადგომისთვის.<sup>249</sup> იგი ანაზღაურებდა სამედიცინო ხარჯებს, დაკარგულ ხელფასს და სხვა ზარალს.<sup>250</sup> პირველი სოციალური დაზღვევა, ე.წ. უსაფრთხოების დაზღვევა შეიქმნა 1974 წელს, რომლის შემდეგაც დაიწყო მოლაპარაკებები კომპლექსური სისტემების დანერგვისთვის, რაც ეხებოდა სამედიცინო საქმიანობიდან გამომწვეულ ზიანს. ამის შედეგად 1975 წელს შეიქმნა პაციენტების დაზღვევა, ხოლო 1978 წელს ფარმაცევტული დაზღვევა-აღნიშნული პოლისი აზღვევდა პაციენტებს, როდესაც ისინი მიიღებდნენ რაიმე სახით ზიანს მკურნალობის ან მედიკამენტების მიღების შედეგად.<sup>251</sup>

**1. ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა, მისი მიზნები და ამოცანები**  
თანამედროვე სამყაროში ყოველი ადამიანი მიმართავს დახმარებისთვის ექიმებს და ელოდება დადებით შედეგს მათი კონსულტაციიდან და მკურნალობიდან

<sup>243</sup> იქვე.

<sup>244</sup> იქვე.

<sup>245</sup> იქვე.

<sup>246</sup> იქვე.

<sup>247</sup> Страхование профессиональной ответственности врачей. Страховой ликбез <http://smile-center.com.ua/ru/articles/straxovanie-professionalnoi-otvetsvet-vrachei-straxovoi-likbez>.

<sup>248</sup> იქვე.

<sup>249</sup> Зарубежный опыт страхования профессиональной ответственности врачей”, ხელმისაწვდომია: <http://isfic.info/halfin/mensh16.htm>.

<sup>250</sup> იქვე.

<sup>251</sup> იქვე.

მაგრამ, ხშირად პირიქით ხდება.<sup>252</sup> როგორც პრაქტიკა გვაჩვენებს, ყველაზე გამოცდილმა, კვალიფიციურმა და კომპეტენტურმა სპეციალისტმაც კი შეიძლება დაუშვას გაუთვალისწინებელი შეცდომა, რომლის ფასია- პაციენტის ჯანმრთელობა და სიცოცხლეც კი.<sup>253</sup> აგრეთვე, კონკრეტული ექიმის ან დანესებულების რეპუტაცია.<sup>254</sup>

ექიმი ვალდებულია დაიცვას კლინიკაში არსებული სტანდარტები და აგრეთვე სამედიცინო მეცნიერების წესები, ვინაიდან ისინი მუდამ იცვლება და უმჯობესდება.<sup>255</sup> ყოველი ექიმი ვალდებულია აიმაღლოს კვალიფიკაცია და მისი ცოდნა შეესაბამებოდეს სამედიცინო სტანდარტებს.<sup>256</sup> ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის სადაზღვევო პოლისი არის საიმედო და ცივილიზებული მექანიზმი ზიანის ანაზღაურებისთვის.<sup>257</sup> იგი პაციენტებისთვის დამატებით გარანტიებს, ხოლო თავად სამედიცინო დანესებულებისთვის უპირატესობას და ბიზნესის სწორად მართვის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს.<sup>258</sup> დაზღვევის ობიექტს წარმოადგენს სამედიცინო მუშაკების პასუხისმგებლობა პაციენტების მიმართ, რომელთა ჯანმრთელობას და სიცოცხლეს შეიძლება ზიანი მიადგეს არასწორი დიაგნოზის ან სამედიცინო მომსახურების შესრულების ქმედებებისას.<sup>259</sup> ექიმები დებენ ხელშეკრულებას სადაზღვევი კომპანიასთან, რომლითაც მზღვეველი კისრულობს ფინანსურ პასუხისმგებლობას, რომ დაიცვას პოლისის მფლობელი სარჩილებისგან იმ ლიმიტის ფარგლებში, რომელიც გათვალისწინებულია სადაზღვევო ხელშეკრულებით.<sup>260</sup> სადაზღვევო თანხის რაოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.<sup>261</sup> ამრიგად, ჯანდაცვის მუშაკების პროფესიული პასუხისმგებლობის შესახებ შეთანხმების გაფორმებისას მზღვეველმა უნდა შეათვას სამედიცინო მუშაკის შეცდომის რისკის დონე და შესაძლო ზიანის მოცულობა.<sup>262</sup> ამისათვის, მზღვეველი მოითხოვს დაზღვეული პირის კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტაციას ან დაზღვეული იურიდიული პირის თანამშრომელთა კვალიფიკაციას, სპეციალობით მუშაობის

<sup>252</sup> Тетервак Я., “Страхования профессиональной ответственности врачей. Опыт Зарубежный стран.” <https://sibac.info/studconf/econom/x/32491>.

<sup>253</sup> Heyers Johannes, “Einführung in das Arzthaftungsrecht -unter Berücksichtigung des Patienten”, S. 137.

<sup>254</sup> იქვე.

<sup>255</sup> იქვე.

<sup>256</sup> იქვე.

<sup>257</sup> Тетервак Я., “Страхования профессиональной ответственности врачей. Опыт Зарубежный стран.” <https://sibac.info/studconf/econom/x/32491>.

<sup>258</sup> იქვე.

<sup>259</sup> იქვე.

<sup>260</sup> იქვე.

<sup>261</sup> იქვე.

<sup>262</sup> Heyers J., “Einführung in das Arzthaftungsrecht -unter Berücksichtigung des Patienten”, 137.

გამოცდილებას.<sup>263</sup>

როდესაც ექიმი იძენს პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისის იგი „გადასცემს რისკს“ სადაზღვევო კომპანიას.<sup>264</sup> პოლისი აგრეთვე ითვალისწინებს ექიმის ქმედებებს, რომელთა შემთხვევაშიც არ გავრცელდება პოლისით ზიანის დაფარვა. ასეთია მაგალითად: განზრახ შეცდომა.<sup>265</sup> არაგანზრახ ექიმის შეცდომაა, რომელიც მოხდა მისი პროფესიული უმაობის პროცესში, ამ დროს გამოირიცხება ექიმის გულგრილობის და არაკეთილსინდისიერების ფაქტი, იგი წარმოადგენს სამედიცინო შეცდომას.<sup>266</sup> რაც შეეხება პრემიის ოდენობას, იგი დამოკიდებულია უამრავ დეტალზე, მათ შორის ექიმის სპეციალიზაციაზე, პრაქტიკაზე, წარსულ სასარჩელო ისტორიასა და გეოგრაფიულ ადგილმდებარეობაზე.<sup>267</sup> პრემია გამოითვლება კომპლექსური ფორმულარების გამოყენებით რომელიც განსაზღვრავს თუ რამდენი უნდა გადაიხადონ დამზღვევებმა ზიანისთვის.

სამედიცინო პერსონალის სადაზღვევო პოლისის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა ხორციელდება ეფექტური სასამართლოს გადანყვეტილებით.<sup>268</sup> თუმცა, შესაძლოა მხარეთა შეთანხმებით დავის მოგვარება სასამართლომდე ნებაყოფლობით.<sup>269</sup> თუ ექიმის ბრალდება უსაფუძვლოა, სადაზღვევო კომპანიამ ექიმის ინტერესების დაცვის მიზნით შეიძლება მონაწილეობა მიიღოს პაციენტთა პრეტენზიებთან დაკავშირებულ ყველა გარემოების გამორკვევაში და საჭიროების შემთხვევაში, მონაწილეობა მიიღოს იმ სასამართლო პროცესში, სადაც განხილული იქნება დაზღვეული ექიმის პასუხისმგებლობის საკითხი დაზარალებული მესამე პირის მიმართ.<sup>270</sup>

<sup>263</sup> იქვე.

<sup>264</sup> Rice M. M., MD, JD, FACEP and members of ACEP's Medical Legal Committee, Medical Professional Liability Insurance, April 2004, <https://www.acep.org/globalassets/uploads/uploaded-files/acep/clinical-and-practice-management/resources/medical-legal/mplipaperapril04.pdf>.

<sup>265</sup> იქვე.

<sup>266</sup> Тетервак Я., “Страхования профессиональной ответственности врачей. Опыт Зарубежный стран.” <https://sibac.info/studconf/econom/x/32491>.

<sup>267</sup> Rice M. M., MD, JD, FACEP and members of ACEP's Medical Legal Committee, Medical Professional Liability Insurance, April 2004, <https://www.acep.org/globalassets/uploads/uploaded-files/acep/clinical-and-practice-management/resources/medical-legal/mplipaperapril04.pdf>.

<sup>268</sup> Экономическое обоснование проведения добровольного страхования профессиональной ответственности медицинских работников. <http://isfic.info/halfin/mensh17.htm>.

<sup>269</sup> იქვე.

<sup>270</sup> Страхование профессиональной ответственности врачей. Страховой ликбез <http://smile-center.com.ua/ru/articles/straxovanie-professionalnoi-otvetsvet-vrachey-straxovoi-likbez>.



## 2.ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისით ზიანის დატარვის სამართლებრივი საფუძვლები

პირველ რიგში უნდა განისაზღვროს თუ რას ეფუძნება ექიმის სამოქალაქო პასუხისმგებლობა. ეს შეიძლება იყოს პაციენტისათვის ხელშეკრულებით ან კანონის ძალით ანაზღაურების ვალდებულება-სხვაგვარი მოქმედება სამართლის შესაბამისად დაუშვებელია.<sup>271</sup> გერმანიის ფედერალურ კანონთა კრებულის 823მუხლში განსაზღვრულია მესამე პირის მიერ საჩივრის წარდგენის საფუძვლები.რომლის თანახმად, მკურნალობის დროს არასწორი ჩარევა გამოიწვევს დელიქტურ ვალდებულებას მაშინ, როდესაც ექიმის მკურნალობის შედეგად დაზიანდა პაციენტი და ამით მას მიადგა როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური ზიანი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.<sup>272</sup> ხშირად პაციენტები უკმაყოფილონი არიან მკურნალობის შედეგებით და ადანაშაულებენ ექიმებს, რომლებიც მათი აზრით არასწორად მოქმედებდნენ. პაციენტების პრეტენზიები ყოველთვის არ არის საფუძვლიანი-შესაძლებელია, რომ ყველაზე კეთილსინდისიერმა ექიმმაც ვერ შეძლოს დახმარება, მიუხედავად იმისა, რომ დიაგნოზი სწორია, მკურნალობა ადექვატურია და ყველა საჭირო იარაღი, მედიკამენტები და დიაგნოსტიკური საშუალებები მის განკარგულებაშია.<sup>273</sup> მაგრამ არსებობს სხვა შემთხვევა, როდესაც ექიმმა ნამდვილად არ გაითვალისწინა, არ გამოიყენა ყველა შესაძლებლობა ან პირიქით, პაციენტს დაუნიშნა ზედმეტი მედიკამენტები და პროცედურები.<sup>274</sup> აგრეთვე, აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული პაციენტის თანხმობა, რაც ერთგვარი პრევენციის და თავდაცვის საშუალებას წარმოადგენს ექიმისთვის.<sup>275</sup> მაგრამ მხოლოდ თანხმობა არ არის საკმარისი, რათა მკურნალობა იქნეს წარმატებული.<sup>276</sup> სავსებით დაუსაბუთებელი ან უიმედო ჩარევა არ ექვემდებარება მხოლოდ პაციენტის სურვილს.<sup>277</sup> მაგალითად, კიდურების ამპუტაცია არ არის მიზანშეწონილი

<sup>271</sup> Heyers J., "Einführung in das Arzthaftungsrecht -unter Berücksichtigung des Patienten", S. 136.

<sup>272</sup> იქვე.

<sup>273</sup> Страхование профессиональной ответственности врачей. Страховой ликбез <http://smile-center.com.ua/ru/articles/straxovanie-professionalnoi-otvetsvet-vrachej-straxovoi-likbez>.

<sup>274</sup> იქვე.

<sup>275</sup> Heyers J., "Einführung in das Arzthaftungsrecht -unter Berücksichtigung des Patienten", S. 136.

<sup>276</sup> იქვე.

<sup>277</sup> იქვე.

მხოლოდ იმიტომ, რომ პაციენტი დაუინებით ითხოვს ამ ოპერაციის ჩატარებას.<sup>278</sup> შესაბამისად, მკურნალობა ჯერ უნდა იყოს გამოკვლეული, მეორემხრივ უნდა არსებობდეს პაციენტის თანხმობა.<sup>279</sup> რაც უფრო გადაუდებელია ოპერაცია, მით უფრო მნიშვნელოვანი მოთხოვნები არის თანხმობისთვის დასაადგენი, რომელიც შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს საეჭვო შემთხვევაში.<sup>280</sup> აგრეთვე, რაც უფრო ნაკლებად გადაუდებელია სამედიცინო ღონისძიება, მით უფრო მნიშვნელოვანია თანხმობა. ამის მაგალითია პლასტიკური ოპერაცია.<sup>281</sup> მკურნალობის შეცდომა-ცნება წარმოადგენს ექიმის პასუხისმგებლობის პრაქტიკულ საფუძველსა და საზღვარს. <sup>282</sup>ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონის მე-3 მუხლი, განსაზღვრავს მცდარ სამედიცინო ქმედებას შემდეგნაირად: “ექიმის მიერ უნებლიედ პაციენტის მდგომარეობისათვის შეუსაბამო სადიაგნოზო და/ან სამკურნალო ღონისძიებების ჩატარება, რაც მიყენებული ზიანის უშუალო მიზეზი გახდა.” ექიმის არსებითი ვალდებულებაა პაციენტი მედიცინის წესებით-lege artis-კეთილსინდისიერად განკურნოს და იზრუნოს. იმიტომ ექიმმა უნდა შეინარჩუნოს სამედიცინო სტანდარტი. სასამართლო პრაქტიკამ ფართოდ განსაზღვრა შეცდომის ცნება. იგი გამოიხატება როგორც ქმედებით, ასევე მოქმედებისგან თავის შეკავებით.<sup>283</sup> აგრეთვე ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა ავალდებულებს ექიმს, რომ მკურნალობა პაციენტისთვის ახსნა-განმარტების გარეშე არ არის მიზანშეწონილი. აღნიშნული გათვალისწინებულია გერმანიის ფედერალურ კანონთა კრებულის პარ.630-ის პირველ აბზაცში.<sup>284</sup> ექიმის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედებით ზიანის გამოწვევის ფაქტის დასამტკიცებლად ამ შემთხვევაშიც, ისე როგორც სხვა პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს, აუცილებელია მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობა. სამართლებრივ დოქტრინაში გამოყოფილია სამი ფაქტორი, რომელიც ადგენს ექიმის მიერ პაციენტისთვის ზიანის მიყენებას და შესაბამისად სამოქალაქო პასუხისმგებლობის სადაზღვევო პოლისის ამოქმედების საფუძველებს:

1. უნდა არსებობდეს პირდაპირი კავშირი ჯანმრთელობის დაცვასა და ჯანმრთელობის დაზიანებას შორის, რომლის დროსაც ზიანი უნდა იქნეს

<sup>278</sup> იქვე.

<sup>279</sup> იქვე.

<sup>280</sup> იქვე.

<sup>281</sup> იქვე.

<sup>282</sup> იქვე.

<sup>283</sup> იქვე.

<sup>284</sup> იქვე, S.135.

გამონწეული სამედიცინო მკურნალობის მიმდინარეობისას. აღნიშნული უნდა მოხდეს საავადმყოფოში და მკურნალობა უნდა ხდებოდეს ექიმის ან საავადმყოფოს სხვა თანამშრომლის მიერ. ეს წინაპირობა ასევე ვრცელდება ლიცენზირებულ კერძო ექიმებზე, სტომატოლოგებზე და აშ.<sup>285</sup>

2. მკურნალობა უნდა იყოს სამედიცინო თვალსაზრისით უსაფუძვლო.<sup>286</sup>

3. ზიანი შესაძლოა ყოფილიყო თავიდან აცილებული თუ პაციენტს უმკურნალებდნენ უფრო ეფექტური საშუალებებით.<sup>287</sup>

აგრეთვე გერმანული სასამართლოს მიერ განისაზღვრა ის კრიტერიუმები, რომელიც უნდა შემოწმდეს იმის გამოსარკვევად, იქცეოდა თუ არა ექიმი სწორად მკურნალობის პერიოდში. ეს ერთგვარი რეკომენდაციაც შეიძლება იყოს ექიმებისთვის, რათა მესამე პირებს არ მიაღვეს ზიანი და მათ არ წარმოეშვათ სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა:

1. ექიმს უნდა გააჩნდეს სპეციალური უნარები ოპერაციის ჩატარებისას და მისი კლინიკა უნდა ფლობდეს საჭირო აპარატურასა და ინვენტარს.<sup>288</sup>

2. ექიმს უნდა შეეძლოს ზუსტი დიაგნოზის დასმა, შემდგომი სწორი თერაპიისთვის.<sup>289</sup>

3. სამედიცინო მუშაკი უნდა იყენებდეს ნაცნობ, გამართლებულ უსაფრთხოების ზომებს, რომელიც შესაძლებლობის ფარგლებში წარმატებულ მკურნალობას უზრუნველყოფს.<sup>290</sup>

4. თუ მკურნალობას მოჰყვება გართულებები, ექიმმა უნდა განახორციელოს დამატებითი მკურნალობა და შეწყვიტოს იგი, როცა მისი პროფესიული და აპარატურული შესაძლებლობა არ იქნება საკმარისი.<sup>291</sup>

5. მან სწორად უნდა მოახდინოს რეაბილიტაციის ორგანიზება და ჩატარება.<sup>292</sup>

ის ფაქტი, რომ პაციენტს ზიანი მიაღვა, არ არის საკმარისი იმისთვის, რომ სადაზღვევო კომპანიამ დათაროს იგი. კომპენსაციის გადახდის ვალდებულება კომპანიას არ წარმოეშობა გარდაუვალი ზიანისას ან თუ ზიანი არის რისკის

<sup>285</sup> Зарубежный опыт страхования профессиональной ответственности врачей”, ხელმისაწვდომია: <http://isfic.info/halfin/mensh16.htm>.

<sup>286</sup> იქვე.

<sup>287</sup> Зарубежный опыт страхования профессиональной ответственности врачей”, ხელმისაწვდომია: <http://isfic.info/halfin/mensh16.htm>.

<sup>288</sup> Heyers Johannes, ”Einführung in das Arzthaftungsrecht”, S. 138.

<sup>289</sup> იქვე.

<sup>290</sup> იქვე.

<sup>291</sup> იქვე.

<sup>292</sup> იქვე.

შედეგი, რომელიც გამონვეულია სიცოცხლისთვის რისკის შემცველი პირობის თავიდან აცილებისთვის.<sup>293</sup> აგრეთვე ზიანი, რომელიც გამონვეული იქნება მკურნალობის შემდეგ, ჩვეულებრივ არ ექვემდებარება კომპენსაციას.<sup>294</sup>

იურიდიულ დოქტრინაში აგრეთვე განსაზღვრულია ზიანის ტიპები, რომლებიც ექვემდებარება კომპენსაციას:

1. ფაქტიური მკურნალობით გამონვეული ზიანი,<sup>295</sup>
2. ზიანი, რომელიც გამონვეულია დიაგნოსტიკური ზემოქმედებით,<sup>296</sup>
3. ზიანი, რომელიც გამონვეულია არასწორი დიაგნოზირებით,<sup>297</sup>
4. შემთხვევითი ზიანი,<sup>298</sup>
5. ინფექციური ზიანი,<sup>299</sup>
6. პაციენტის არადროული გამონერა სტაციონარიდან და ბიულეტენის დახურვა.<sup>300</sup>
7. დაშვებული შეცდომები რეცეპტის გამონერისას, მედიკამენტოზური პრეპარატების მიღებისთვის.<sup>301</sup>

ჯანმრთელობის დაზღვევის პროფესიული პასუხისმგებლობის უზრუნველყოფისას სადაზღვევო დათარვა შეიძლება მოიცავდეს როგორც მატერიალურ, ასევე მორალურ ზიანსაც. მატერიალური ზიანი გამოიხატება შემოსავლის ნაწილობრივ ან მთლიანად დაკარგვით, აგრეთვე დამატებითი ხარჯების განვიით (მედიკამენტები, მოვლა, პროტეზი და ა.შ).<sup>302</sup> პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევით აგრეთვე შეიძლება დაითაროს შემდეგი ხარჯები:

1. დაზარალებულის სიკვდილის შედეგად ზიანის ანაზღაურების საფასური კერძოდ, გარდაცვლილზე დამოკიდებული ან მის კმაყოფაზე მყოფი შრომიუუნარო პირებს ავთ უფლება მოითხოვონ ზიანის მიმყენებლი პირისგან სარჩო.

<sup>293</sup> Зарубежный опыт страхования профессиональной ответственности врачей”, ხელმისაწვდომია: <http://isfic.info/halfin/mensh16.htm>.

<sup>294</sup> იქვე.

<sup>295</sup> იქვე.

<sup>296</sup> იქვე.

<sup>297</sup> იქვე.

<sup>298</sup> იქვე.

<sup>299</sup> იქვე.

<sup>300</sup> Тетервак Я., “ Страхования профессиональной ответственности врачей. Опыт Зарубежный стран.” <https://sibac.info/studconf/econom/x/32491>.

<sup>301</sup> იქვე.

<sup>302</sup> Экономическое обоснование проведения добровольного страхования профессиональной ответственности медицинских работников. <http://isfic.info/halfin/mensh17.htm>.

- 2. დაკრძალვის ხარჯები;
- 3. ზარალის შემცირების მიზნით, ხარჯები, მათ შორის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ხარჯები;
- 4. დაზღვეული ღონისძიების გარმოებების გამოძიების ღირებულება;
- 5. სასამართლო ხარჯები.<sup>303</sup>

კომპენსაცია სამედიცინო ზიანისთვის განისაზღვრება იმის შემდეგ, რაც გამოვლინდება სხვა დახმარებები, რომელსაც პაციენტი იღებს სხვა სადაზღვევო სისტემებისგან. მკ:სამედიცინო არჯები, რომელიც გადახდილია პაციენტის ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემით და დაანგარიშდება ამ სისტემის კომპენსაციის საერთო ხარჯებიდან. ეკონომიკური ზარალი ძირითადად სრულად კომპენსირდება. არაეკონომიკური კი განისაზღვრება პაციენტის ასაკის და ზიანის მოცულობის მიხედვით.<sup>304</sup>

სამედიცინო პერონალის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის წესები შეიძლება ითვალისწინებდეს ისეთ შემთხვევებს, როდესაც სადაზღვევო კომპანია არ აანაზღაურებს პაციენტის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისთვის მიყენებულ ზიანს. მაგალითად, თუ ზიანი გამოწვეულია;

- 1. ერთჯერადი შპრიცის არაერთხელ გამოყენებით,<sup>305</sup>
- 2. თუ არსებობს გარემოებები, რომლებიც არსებობდა ან ზეგავლენა ჰქონდა ზიანის მიყენებამდეც, ეს გარემოებები ცნობილი იყო დამზღვევისთვის ან მისი თანამშრომლებისთვის;<sup>306</sup>
- 3. დამზღვევის ან მისი სამედიცინო პერსონალის მიერ განხორციელებული იქნა ქმედება, რომელიც არ შეესაბამება ოფიციალურ მოვალეობებს, კვალიფიკაციებს ან ლიცენზიაში არ არის ჩამოთვლილი;<sup>307</sup>
- 4. მზღვეველის ან მისი თანამშრომლის მიერ საომარი მოქმედების, მანევრების ან სხვა სამხედრო ქმედებებისა და მათი შედეგების, ტერორიზმის, ტერორისტული აქტის გამო, ექსტრემალურ პირობებში სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა;<sup>308</sup>
- 5. გათბობის, წყალმომარაგებისა და ელექტროენერგიით მომარაგების სისტემების

---

<sup>303</sup> იქვე.  
<sup>304</sup> Зарубежный опыт страхования профессиональной ответственности врачей”, ხელმისაწვდომია: <http://isfic.info/halfin/mensh16.htm>.  
<sup>305</sup> Экономическое обоснование проведения добровольного страхования профессиональной ответственности медицинских работников. <http://isfic.info/halfin/mensh17.htm>.  
<sup>306</sup> იქვე.  
<sup>307</sup> იქვე.  
<sup>308</sup> იქვე.

მუშაობის შეწყვეტის გამო, პოლისის მფლობელის ან მისი თანამშრომლებისგან დამოუკიდებელი მიზნებიდან გამომდინარე;<sup>309</sup>  
6. მოქმედი კანონმდებლობისა და სხვა მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების, აგრეთვე ინსტრუქციების, წესების, რეგულაციების და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების შეუსრულებლობის სამედიცინო საქმიანობის განხორციელების წესის დარღვევები.<sup>310</sup>

რაც შეეხება ტარიფებს, პროფესიული პასუხისმგებლობის სადაზღვევო პოლისისთვის- ორგანიზაციებში დგინდება საშუალო შემოსავლიდან და რისკის დონიდან გამომდინარე.<sup>311</sup> არსებობს იმ სპეციალობების ჩამონათვალი, რომელიც როგორც წესი დაკავშირებულია დიდ რისკთან: მენ-გინეკოლოგი, ქირურგი, ოჯახის ექიმი. მცირე რისკს კი უკავშირებენ ფსიქიატრებს.<sup>312</sup> სტატისტიკის თანახმად, ისინი, ვინც მუშაობს ისეთ რისკის შემცველ სფეროში, როგორცაა ქირურგია და გინეკოლოგია, აქვთ სასამართლო დავა საშუალოდ 6 წელიწადში 1-ჯერ.<sup>313</sup> პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევაში ქირურგები წლიურად ხარჯავენ 30 ათასიდან 200 ათას დოლარამდე, ხოლო ნეიროქირურგები და გინეკოლოგები უფრო მეტს.<sup>314</sup>

ზემოთ განხილული საკითხებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისით დაფარვა ხდება მხოლოდ კანონითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში. თუ არსებობს ზემოთჩამოთვლილი გამონაკლისი შემთხვევები, ექიმის ბრალეული ქმედება ან მიზეზ - შედეგობრივი კავშირი სახეზე არ არის, ასეთ შემთხვევებში ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისით ვერ ისარგებლებს დაზღვეული და მესამე პირს სადაზღვევო კომპანიის მიერ არ აუნაზღაურდება ზიანი.

**3. ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა საზღვარგარეთის ქვეყნებში**  
ქვეყნებში, სადაც პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევით დიდი ხანია სარგებლობენ, გამოყოფენ რამდენიმე პროფესიას, რომელთა პასუხისმგებლობის

<sup>309</sup> იქვე.

<sup>310</sup> Экономическое обоснование проведения добровольного страхования профессиональной ответственности медицинских работников. <http://isfic.info/halfin/mensh17.htm>.

<sup>311</sup> Зарубежный опыт страхования профессиональной ответственности врачей”, ხელმისაწვდომია: <http://isfic.info/halfin/mensh16.htm>.

<sup>312</sup> იქვე.

<sup>313</sup> იქვე.

<sup>314</sup> იქვე.

დაზღვევა განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს.მათ შორის ერთ-ერთი არის ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა. რომლის საჭიროება მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში დგას, მათ შორის ისეთში სადაც მედიცინა მაღალ დონეზე არის განვითარებული.მგ: აშშ- სადაც იმდენად ხშირია სამედიცინო შეცდომები, რომ Trial Lawyer of America-აერთიანებს ადვოკატებს,რომლებიც მხოლოდ ექიმების შეცდომით დაზარალებულთა საქმეებზე მუშაობენ.<sup>315</sup> აშშ-ში ექიმებმა ჯერ კიდევ ათეული წლის წინ დაიწყეს სადაზღვევო პოლისის შექმნა, იმ სასამართლო დავების თავიდან ასარიდებლად, რომელიც არაკეთილსინდისიერი მკურნალობით(ექიმის უხეში შეცდომა,უყურადღებობა) იყო გამოწვეული.<sup>316</sup> სტატისტიკის მიხედვით, აშშ-ში სამედიცინო შეცდომის გამო კვდება 44 000-დან 98 000მდე ადამიანი.<sup>317</sup> ყოფილ პაციენტებს კი სარჩელი შეაქვთ ყოველი მეათე ექიმის წინააღმდეგ.<sup>318</sup> შეტანილია სარჩელი სარჩელების მატებასთან ერთად იმატებდა სადაზღვევო პოლისის ფასი.<sup>319</sup>ქირურგებისთვის,რომლებიც მაღალ რისკს ატარებდნენ, ის აღწევდა 100 000\$-ს წლიურად.<sup>320</sup> 25 წელიწადში ფასი 100\$ დან გაიზარდა 1000-ჯერ.<sup>321</sup> რაც შეეხება სასამართლოს მიერ აღნიშული ზიანისთვის დაწესებულ კომპენსაციას, 2004 წელს მინესოტას შტატის სასამართლომ 850 000\$ დააკისრა მოპასუხეს.<sup>322</sup> ნიუ-იორკის მოსამართლეებმა 94.5 მლნ\$ დააწესა ქალისთვის, რომელმაც ნაადრევად იმშობიარა და ბავშვს ჰქონდა ტვინის დაზიანება, რაც გამოწვეული იყო ექიმების მიერ ქალისთვის კორტიკოსტეროიდების დაგვიანებით გაკეთებამ.<sup>323</sup> აგრეთვე აშშ-ში მოსამართლემ კომპენსაციის თანხა-32.02 მლნ.დოლარი დააკისრა ქალს, მკერდის კიბოს არადროული დიაგნოსტიკისთვის.<sup>324</sup>კომპენსაციის უდიდესი ნაწილით იფარება მორალური ზიანი. აშშ-ში 20.2 მლნ.დოლარი დააკისრა სასამართლომ ექიმს, რომლის არასწორი დიაგნოზის გამო პაციენტს აჭირდა ორივე ფეხის ამპუტაცია.<sup>325</sup>აგრეთვე 8.1 მლნ.დოლარის კომპენსაცია მისცეს

<sup>315</sup> Зарубежный опыт страхования профессиональной ответственности врачей”, ხელმისაწვდომია: <http://isfic.info/halfin/mensh16.htm>.

<sup>316</sup> იქვე.  
<sup>317</sup> იქვე.  
<sup>318</sup> იქვე.  
<sup>319</sup> იქვე.  
<sup>320</sup> იქვე.  
<sup>321</sup> იქვე.  
<sup>322</sup> იქვე.  
<sup>323</sup> იქვე.  
<sup>324</sup> იქვე.  
<sup>325</sup> იქვე.

პაციენტს, რომელსაც გაუკეთეს გულის შულტირების ოპერაცია, მაშინ როდესაც მას  
ეს არ სჭირდებოდა.<sup>326</sup>  
რაც შეეხება რუსეთს, დღეს იქ იზრდება როგორც ექიმების შეცდომები, ასევე  
სიტუაციები როცა, სამედიცინო დანესებულების თანამშრომლებმა პაციენტს  
აღმოუჩინეს არაკომპეტენტური და არადროული დახმარება.<sup>327</sup> რუსეთში პაციენტთა  
ოდენობა, ლეტალური დასასრულით, წელიწადში დაახლოებით 50 000-ს  
აღწევს.<sup>328</sup> როგორც თავად მედ-პერსონალი აღიარებს, ყოველი მე-3 დიაგნოზი  
მცდარია და ამავდროულად რთულია იმის მტკიცება, რომ ფატალური შედეგი  
ექიმის ქმედებით იქნა გამოწვეული.<sup>329</sup> რუსეთის ფედერაციის ამჟამინდელი  
კანონმდებლობის შესაბამისად, სამედიცინო პერსონალის პროფესიული  
პასუხისმგებლობის დაზღვევა ნებაყოფლობითია და სადაზღვევო პრემიის  
გადახდა ხდება კომერციული სამედიცინო დანესებულების მოგებიდან ან კერძო  
პრაქტიკოსი ექიმის პირადი შემოსავლიდან.<sup>330</sup> რუსეთში არსებული სადაზღვევო  
კომპანიები სთავაზობენ მედიცინის მუშაკებს ექიმის პროფესიული  
პასუხისმგებლობის დაზღვევას, სადაზღვევო თანხა მერყეობს 300 000 დან 1.5  
მილიონ რუბლამდე.<sup>331</sup>

უკრაინის კანონმდებლობის თანახმად-უკრაინის სამოქალაქო კოდექსი  
ითვალისწინებს დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანის სრულად  
კომპენსაციას. კერძო პრაქტიკის ექიმი თავად არის პასუხისმგებელი  
სამოქალაქოსამართლებრივი ზიანისთვის, ხოლო კლინიკის ექიმის შემთხვევაში  
ზიანს ანაზღაურებს თავად სამედიცინო დანესებულება რომელსაც, რეგრესის  
წესით, აქვს უფლება ამ თანამშრომლიდან მოითხოვოს მის მიერ ზიანის  
დასათვარად გაწეული ხარჯი.<sup>332</sup> უკრაინაშიც, სხვა ქვეყნების მსგავსად, ექიმების მიერ  
უხარისხო მკურნალობის გამო აღძრული სარჩელების ოდენობა საკმაოდ  
ბევრია. მიაჩნიათ, რომ ეს განპირობებულია სამართლებრივი კულტურის დონის  
ყოველდღიური ზრდით.<sup>333</sup> ზიანმა შეიძლება მიაღწიოს 300 000 გრივნას.<sup>334</sup> უკრაინა

<sup>326</sup> იქვე.

<sup>327</sup> Тетервак Я., “Страхования профессиональной ответственности врачей. Опыт Зарубежный стран.” <https://sibac.info/studconf/econom/x/32491>.

<sup>328</sup> იქვე.

<sup>329</sup> იქვე.

<sup>330</sup> Экономическое обоснование проведения добровольного страхования профессиональной ответственности медицинских работников. <http://isfic.info/halfin/mensh17.htm>.

<sup>331</sup> Тетервак Я., “Страхования профессиональной ответственности врачей. Опыт Зарубежный стран.” <https://sibac.info/studconf/econom/x/32491>.

<sup>332</sup> Страхование профессиональной ответственности врачей. Страховой ликбез <http://smile-center.com.ua/ru/articles/straxovanie-professionalnoi-otvetsvet-vrachey-straxovoi-likbez>.

<sup>333</sup> იქვე.



იქამდე მიდის, რომ აუცილებელი გახადოს პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა.<sup>335</sup>

სხვა ქვეყნების მსგავსად, გერმანიის კანონმდებლობაც ითვალისწინებს ექიმის პასუხისმგებლობას. აღნიშნული საკითხი რეგულირებულია გსკ-ში. სახელმძღვანელო სამართალთან ერთად აგრეთვე არსებობს რეგულაციები, რომლებიც ითვალისწინებს დელიქტურ სამართალურთიერთობას, რაც წარმოადგენს ექიმის პასუხისმგებლობის სამოქალაქო სამართლებრივ საფუძველს.<sup>336</sup> სპეციალური ნორმები, რომლებიც ეხება ექიმის მიერ მკურნალბის საკითხებს 2013 წლის 26 თებერვლიდან გათვალისწინებულია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 630-ე პარაგრაფში a-დან h-მდე.<sup>337</sup> ფედერალურ კანონთა კრებულში გათვალისწინებულია ექიმის ვალდებულებები-სიცოცხლის მიღბა, ჯანმრთელობის დაცვა, პაციენტის გამოჯანმრთელება და ტანჯვა-ტკივილის შემსუბუქება.<sup>338</sup> ყოველ პრაქტიკოსი მედიცინის მუშაკი ვალდებულია ჰქონდეს შესაბამისი პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა. თუ ის პენსიაზე გავა ან დატოვებს სამსახურს, თავისთავად ეს პასუხისმგებლობა გაუქმდება.<sup>339</sup> პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის აუცილებლობა იმითაც გამოიხატება, რომ ბოლო დროს შეინიშნება აღნიშნული პროფესიის წარმომადგენლების მზარდი ლეგალიზაცია. გერმანიაში, ყოველწლიურად, 30-40 000 მოთხოვნა წარმოიშობა, რომელიც ეხება პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევას და მიმართულია მზღვეველის წინააღმდეგ.<sup>340</sup> აგრეთვე ყოველ წელიწადს დაახლოებით 10-15000 სასარჩელო მოთხოვნა შედის სასამართლოში, რომელიც ეფუძნება პროფესიული პასუხისმგებლობიდან გამომდინარე დარღვევებს.<sup>341</sup> მოთხოვნათა 50-60% არ დაკმაყოფილდა, ხოლო 10-30% პირიქით.<sup>342</sup> სასამართლოში შეტანილ სარჩელთა ნახევარს უარი ეთქვა.<sup>343</sup> რაც შეეხება პროფესიული პასუხისმგებლობის სადაზღვევო პრემიას გერმანიაში, იგი

---

<sup>334</sup> იქვე.

<sup>335</sup> იქვე.

<sup>336</sup> *Neu Johann*, "Schlichtungsstelle für Arzthaftpflichtfragen der norddeutschen Ärztekammern", S.11.2013.

<sup>337</sup> იქვე.

<sup>338</sup> *Heyers J.*, "Einführung in das Arzthaftungsrecht", S. 136.

<sup>339</sup> Nachhaftungsversicherung für Ärzte: Beruhigt in Rente gehen, 13.09.2017, ხელმისაწვდომი:

<https://www.arzt-wirtschaft.de/nachhaftungsversicherung-fuer-aerzte-beruhigt-in-rente-gehen/>.

<sup>340</sup> *Laufs A., Clemen Th., Uhlenbruck Wilhelm*, "Handbuch des Arztrechts", 21 Arzt und Berufschafpflichtversicherung, Rn.1-13.

<sup>341</sup> იქვე.

<sup>342</sup> იქვე.

<sup>343</sup> იქვე.

განსხვავებულია პროფესიის და პოზიციიდან გამომდინარე.<sup>344</sup> ასისტენტ ექიმი იხდის თვეში დაახლოებით 500 ევროს ხოლო მეან-გინეკოლოგიის განყოფილების უფროსი ექიმი 20 000 ევროზე მეტს.<sup>345</sup> ამჟამად პასუხისმგებლობის დაზღვევის ლიმიტი შეადგენს 5 მლნ.ევროს.<sup>346</sup> პასუხისმგებლობის დაზღვევისას დიფერენცირებულია ექიმის პროფილის მიხედვით სადაზღვევო ლიმიტები. მგ: გინეკოლოგებსა და მეანებს ჭირდებათ მაღალი სადაზღვევო ლიმიტი, რადგან სტერილიზაციის ნორმების დარღვევის ან მშობიარობის შეწყვეტის შემთხვევაში დადგება ექიმის ბრალეულობის საკითხი.<sup>347</sup> ექიმის საქმიანობიდან გამომდინარე, შეცდომების და ზიანის რიცხვი შეიძლება სწრაფად გაიზარდოს. ამ მიზეზით, 17 გერმანული სამედიცინო ასოციაცია ამტკიცებს მხოლოდ ვალდებულებას, რომ დააზღვიოს თავისი წევრები პასუხისმგებლობის დაზღვევით.<sup>348</sup> ამასთანავე, 2013 წელს პაციენტის უფლებების კანონპროექტის წარდგენასთან ერთად, ფედერალურმა კანონმდებელმა რეაგირება მოახდინა და ახლა აგრეთვე განსაზღვრა ექიმის პასუხისმგებლობის დაზღვევის სავალდებულო დასკვნა.<sup>349</sup>

პროფესიული პასუხისმგებლობით დაზღვევა შეუძლია როგორც კლინიკაში დასაქმებულ ექიმს, აგრეთვე თვით დასაქმებულ ლიცენზირებულ სამედიცინო მუშაკს. თვითდასაქმებული ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულების პირობები ვრცელდება არა მხოლოდ მკურნალობის პერიოდში მის საკუთარ შეცდომებზე, არამედ მისი ასისტენტის, დამხმარეს, სტუდენტ-პრაქტიკანტის და კონსულტაციით გამონვეულ ზიანზე.<sup>350</sup> თუ ექიმს რაიმე დამატებითი რისკების დაზღვევა სურს, ეს უნდა გაითვალისწინოს ხელშეკრულებით.<sup>351</sup> კოსმეტიკური ოპერაციების, თუ კი საერთოდ შეიძლება მათი დაზღვევა, სადაზღვევო ხელშეკრულებასთან ერთად დამატებით შეთანხმებას მოითხოვს.<sup>352</sup> ინგლისშიც ხშირია ექიმის მიერ პაციენტისთვის ზიანის მიყენების შემთხვევები. მგ: უგენესმა სასამართლომ 3.4 მლნ. ფუნტი გამოუყო ბიჭს, რომელიც დაიბადა

<sup>344</sup> იქვე.

<sup>345</sup> იქვე.

<sup>346</sup> იქვე.

<sup>347</sup> *Laufs A., Clemen Th., Uhlenbruck W., "Handbuch des Artzrechts", II Die Pflicht des Artztes zum Abschluss einer Berufschaftpflichtversicherung, 21 Artzt und Berufschaftpflichtversicherung, Rn.1.*

<sup>348</sup> *Engel H., Grundlagen: Berufschaftpflichtversicherung für Ärzte", 22.08.2017.*

<sup>349</sup> იქვე.

<sup>350</sup> იხ. სქ. 347.

<sup>351</sup> იქვე.

<sup>352</sup> იქვე.

უძლურ მდგომარეობაში, არასწორი საკეისრო კვეთის გამო.<sup>353</sup> British Medical Journal-ში გამოქვეყნდა სტატისტიკა, რომლის თანახმადაც ექიმების მიერ დაშვებული შეცდომის შედეგად წლიურად საშუალოდ 70 000 ადამიანი კვდება.<sup>354</sup> იაპონიაში-სამედიცინო პასუხისმგებლობის სადაზღვევო სისტემა 1961 წლიდან არსებობს და მას შემდეგ მნიშვნელოვანი წინსვლა განიცადა.<sup>355</sup> ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია 1972 წელს განხორციელებული რეფორმები. კერძოდ, ჩამოყალიბდა იაპონიის სამედიცინო ასოციაცია (JMA), რომლის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა ექიმების ინტერესების დაცვა.<sup>356</sup> შემუშავდა მექანიზმები, რომელთა მეშვეობით სამედიცინო შეცდომების შეფასება შესაძლებელი გახდა სასამართლოს გარეშე, პროფესიული პასუხისმგებლობის საბჭოს კოოპერაციის მეშვეობით სადაზღვევო კომპანიებთან და ლოკალურ სამედიცინო ასოციაციებთან.<sup>357</sup> იაპონიის უზენაესი სასამართლოს სტატისტიკის თანახმად, ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობიდან გამომწვეული სარჩელების ოდენობა 1992 წელს-200 შეადგენდა, ყოველწლიურად იმატებდა და ათ წელიწადში 215%-ით გაიზარდა.<sup>358</sup> თუმცა იაპონიის სამედიცინო ასოციაციამ აიღო გარკვეული პასუხისმგებლობა სამედიცინო მომსახურების უსაფრთხოების კუთხით და აღნიშნულ მისიას დღესაც აგრძელებს.<sup>359</sup>

#### 4. ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის გავრცელების ფარგლები საქართველოში

<sup>353</sup> Зарубежный опыт страхования профессиональной ответственности врачей”, ხელმისაწვდომია: <http://isfic.info/halfin/mensh16.htm>.

<sup>354</sup> Зарубежный опыт страхования профессиональной ответственности врачей”, ხელმისაწვდომია: <http://isfic.info/halfin/mensh16.htm>.

<sup>355</sup> Kinoshita K., ” Professional Liability Insurance Program of the Japan Medical Association”, JMAJ50(5):390-396, 2007. ციტ: დანგაძე ბ., სოფრომაძე ლ., “ჯანდაცვის პოლიტიკა და დაზღვევა“ N2, გვ. 169. ხელმისაწვდომია: <http://eprints.iliauni.edu.ge/4740/1/%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%93%E1%83%90%E1%83%96%E1%83%A6%E1%83%95%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90%202016.PDF>.

<sup>356</sup> იქვე.

<sup>357</sup> Miyasaka Y., “JMA Professional Medical Liability Insurance Program”, 2002, .408 [http://www.med.or.jp/english/pdf/2002\\_10/407\\_415.pdf](http://www.med.or.jp/english/pdf/2002_10/407_415.pdf).

<sup>358</sup> იქვე.

<sup>359</sup> იქვე.

საქართველოში, როგორც ზოგადად პასუხისმგებლობის დაზღვევა, მათ შორის ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა ჯერ კიდევ ნაკლებად არის ათვისებული მოსახლეობის მიერ. თუმცა, ყოველწლიურად, ექიმის მიერ გამოწვეული შეცდომების რიცხვი საკმაოდ მაღალია და ქვეყანაში საკითხი საკმაოდ აქტუალურია. რასაც ადასტურებს სტატისტიკაც. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაცემების მიხედვით 2006-2012 წლებში დასმული იქნა 3232-მდე ექიმის პასუხისმგებლობის საკითხი.<sup>360</sup> აქედან: 2214 ექიმს მიეცა წერილობითი გაფრთხილება; 532 ექიმს შეუჩერდა სერტიფიკატი, ხოლო 9 ექიმს კი ჩამოერთვა სერტიფიკატი.<sup>361</sup> 2013 წელს წლის 6 თვის (ივლისი-დეკემბერი) განმავლობაში დადგა 200-ზე მეტი ექიმის პასუხისმგებლობის საკითხი.<sup>362</sup> 2017 წელს პროფესიული პასუხისმგებლობა 157 ექიმს დაეკისრა.<sup>363</sup> აქედან სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედება სხვადასხვა ვადით 67 ექიმს შეუჩერდა.<sup>364</sup> რაც შეეხება წინა წლის სტატისტიკას, 2018 წელს 342 ექიმს პროფესიული პასუხისმგებლობა დაეკისრა.<sup>365</sup> ამის შესახებ სამედიცინო საქმიანობის საელმწიფო რეგულირების სააგენტომ 2018 წლის მუშაობის ანგარიშში დაწერა.<sup>366</sup> რომლის თანახმადაც, პროფესიული განვითარების საბჭომ პაციენტებისთვის განუწყო სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული 162 საკითხი (სულ-348 ექიმი) განიხილა და აქედან 342 ექიმს პროფესიული პასუხისმგებლობა დაეკისრა.<sup>367</sup> მაგთგან 235-ს „წერილობითი გაფრთხილება“ მიეცა; 105 ექიმს კი სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედება შეუჩერდა.<sup>368</sup>

ბოლო პერიოდში, მედია საშუალებები ხშირად გადმოსცემენ ინფორმაციას

<sup>360</sup> ექიმების და სამედიცინო პერსონალის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პროგრამა, საქართველოს დაზღვეულ მედიკოსთა სააგენტო, 2014, <http://gima.ge/admin/ckeditor/ckfinder/userfiles/files/Offer%20Liability%20Insurance.pdf>.

ციტ:ვიორგობიანი ხ., ყაზახაშვილი ნ., ფიცხელაური ნ., ლორია ლ., ჩიხლაძე ნ., „ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის განვითარება საქართველოში: ბარიერები და შესაძლებლობები.“ 119-120. ხელმისაწვდომია: <https://ojs.iliauni.edu.ge/index.php/health/article/view/328/218>.

<sup>361</sup> იქვე.

<sup>362</sup> იქვე.

<sup>363</sup> 05.09. 2017. <https://www.kvirispalitra.ge/public/37401-sagangasho-statistika-2017-tsels-profesiuli-pasukhismgebloba-157-eqims-daekisra-mathgan-serthifikatis-moqmedeba-67-s-sheucherda.html?add=1>.

<sup>364</sup> იქვე.

<sup>365</sup> სტატისტიკა, 05.02.2019, ხელმისაწვდომია: <https://imedinews.ge/ge/saqartvelo/95556/2018-tsels-propesiuli-pasukhismgebloba-342-eqims-daekisra-statistika>.

<sup>366</sup> იქვე.

<sup>367</sup> იქვე.

<sup>368</sup> იქვე.

პაციენტთა დაზიანების შესახებ, რაც გამოწვეულია ექიმის დაუდევრობით.<sup>369</sup> 2013 წელს საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო დაინტერესდა სამედიცინო პერსონალის შეცდომებით და ამ საკითხთან დაკავშირებით 2015 წლის მონაცემებით, საქართველოში მოქმედი 14 სადაზღვევო კომპანიიდან 6 მათგანი სთავაზობს ექიმებს პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევას, ესენია: „ჯი-პი-აი ჰოლდინგი“, „არდი ჯგუფი“, „უნისონი“, „სტანდარტ დაზღვევა საქართველო“, „ალდაგი ბი სი აი“ და „აი სი ჯგუფი“.<sup>370</sup> 2014 წლის მონაცემებით სადაზღვევო კომპანია „არდი ჯგუფი“ ლიდერია ქართულ სადაზღვევო ბაზარზე ექიმთა პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის სფეროში და იგი ფლობს ბაზრის თითქმის 70%-ს.<sup>371</sup> ქართული სადაზღვევო კომპანიები, ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევისას ანაზღაურებენ შემდეგ ხარჯებს: პაციენტის გარდაცვალების შემთხვევაში- კომპენსაციის გაცემის ხარჯები, პაციენტის მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებული ხარჯები, პაციენტისთვის მიყენებული მატერიალური ზიანი(ხარჯები), იურიდიული ხარჯები და საქმიანობის ლიცენზიის შეჩერების ან გაუქმების შემთხვევაში ხელფასის გარკვეული ოდენობის ხარჯები.<sup>372</sup> მიუხედავად იმისა, რომ ექიმთა უმრავლესობა გარკვეული მიზნების გამო თავს იკავებს აღნიშნული დაზღვევით სარგებლობისაგან, გაირკვა, რომ პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა ყველაზე მოთხოვნადია ქირურგებისა და გინეკოლოგების მიერ.<sup>373</sup> ხოლო ამ მიმართულებით პოპულარული სადაზღვევო კომპანიებია: „არდი ჯგუფი“ და „ჯი-პი-აი ჰოლდინგი“.<sup>374</sup>

## 5. შეჯამება

ზემოაღნიშნული სტატისტიკური მონაცემებიდან და ყოველდღიური რეალობიდან გამომდინარე ცალსახაა, რომ ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის სავალდებულოდ დანესების საჭიროება ნამდვილად არის ჩვენს

<sup>369</sup> დანგაძე ბ., სოფრომძაძე ლ., ც. „ჯანდაცვის პოლიტიკა და დაზღვევა“ N2, 2016, გვ. 170.

<sup>370</sup> იქვე.

<sup>371</sup> ბარბაქაძე ს., „ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა საქართველოში“, 2014. ციტი: დანგაძე ბ., სოფრომძაძე ლ., ც. „ჯანდაცვის პოლიტიკა და დაზღვევა.“

<sup>372</sup> ექიმების და სამედიცინო პერსონალის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პროგრამა, საქართველოს დაზრვეულ მედიკოსთა სააგენტო, 2014. ციტი: დანგაძე ბ., სოფრომძაძე ლ., ც. „ჯანდაცვის პოლიტიკა და დაზღვევა.“

<sup>373</sup> ბარბაქაძე ს., „ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა საქართველოში“, 2014, 2-3.

ხელმისაწვდომია: <http://eprints.iliauni.edu.ge/2518/1/%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%99%E1%83%9D%20%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94.pdf>.

<sup>374</sup> იქვე.

ქვეყანაში. აგრეთვე აუცილებელია ხანგრძლივი ისტორიისა და პრაქტიკის მქონე ქვეყნებიდან გამოცდილების მიღება. აღნიშნული მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც საქმე ეხება ადამიანისთვის ყველაზე ძვირფასს და ძვირადღირებულ სიკეთეებს-ჯანმრთელობას და სიცოცხლეს.რასაკვირველია, მაქსიმალურად უნდა ეცადოს სამედიცინო დაწესებულება და მისი თანამშრომლები, თავიდან აირიდონ ზიანი,მაგრამ უკვე ბევრჯერ აღვნიშნეთ, რომ შეცდომა შეიძლება ნებისმიერ მომენტში მოხდეს.ამიტომ პაციენტი იმ მხრივ მაინც უნდა იყოს დაცული, რომ მის მიერ მიღებული მატერიალური,ფიზიკური თუ მორალური ზიანი ანაზღაურდება და ამისთვის იარსებებს შესაბამისი სამართლებრივი და მატერიალური ბერკეტები სწორედ ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის სახით.

## VI.დასკვნა

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, მარტივი ხდება იმის მტკიცება, რომ დაზღვევის ინსტიტუტის განვითარების აუცილებლობის საკითხი დგას დღეს ჩვენს ქვეყანაში. სადაზღვევო ბიზნესის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი, ისევე როგორც თავად სადაზღვევო კომპანიების მცდელობა, განავითარონ სადაზღვევო ბაზარი,იმუშაონ მოსახლეობის სადაზღვევო კულტურის ამაღლებაზე, გააცნონ და შესთავაზონ სადაზღვევო პროდუქტები ხელმისაწვდომ ფასად,ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით.რაც შეეხება ზოგადად პასუხისმგებლობის დაზღვევას,ამ მხრივ ჩვენს ქვეყანაში ბოლო დროს შეიმჩნევა წინ გადადგმული ნაბიჯები,რისი მაგალითიც არის ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის სავალდებულო წესით შემოღება. პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევას რაც შეეხება,ზემოაღნიშნული მსჯელობით ცალსახა ხდება მისი საჭიროება, და საფუძველსმოკლებულია იმის მტკიცება, რომ აღნიშნული სადაზღვევო პოლისი დამზღვევთა დაცვის ნაცვად, მათ უბიძგებს მიაყენონ მესამე პირებს ზიანი. ჯერ კიდევ ბევრი დრო და მუშაობა არის საჭირო, რომ პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა ისევე აქტუალური გახდეს როგორც მაგალითად ჯანმრთელობის დაზღვევა. სტატისტიკა აჩვენებს, რომ ჩვენს ქვეყანაში ხშირია პროფესიული შეცდომების რაოდენობა, ეს კი პირდაპირპროპორციული უნდა იყოს სადაზღვევო პოლისთა ოდენობასთან. მაგრამ,სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ არის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ფარგლები გაფართოებული, ინფორმირებულობის დონეც დაბალია. სადაზღვევო კომპანიების მხრინდან,აღნიშნული სადაზღვევო პოლისის რეკლამირება, გარკვეულწილად ხელს შეუწყობს პროფესიული

პასუხისმგებლობის სადაზღვევო პოლისით დაინტერესებას და დაანახებს მოსახლეობას მის საჭიროებას. აუცილებელია განვითარდეს სამართლებრივი დოქტრინაც, რაც სასამართლო პრაქტიკის გამდიდრების წინაპირობაა. ყოველივე ეს შექმნის საფუძველს, რომ საქართველოსთვის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა არ იყოს ნოვაცია და იყოს ისევე აქტუალური, როგორც მაგალითად ამერიკაში ან გერმანიაშია.

## ბიბლიოგრაფია

### ქართულ ენაზე

*ავლობაშვილი ა.*, პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა.

*გიორგობიანი ხ., ყაზახაშვილი ნ., ფიცხელაური ნ., ლორია ლ., ჩიხლაძე ნ., ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის განვითარება საქართველოში: ბარიერები და შესაძლებლობები.* 119-125.

*დანვაძე ბ., სოფრომაძე ლ.,* ექიმთა პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა საქართველოში, ჟანდაცვი პოლიტიკა და დაზღვევა N2, 2016. 168-174.

*ვერულავა თ.,* დაზღვევის ისტორია, 2013, 1-29.

*ირემაშვილი ქ.,* დაზღვევის კლასიფიკაცია დაზღვეული პირის მიხედვით, ბოლო დამუშავება: 16.03.2016, მუხ. 836, 1-8.

*ირემაშვილი ქ.,* მხარეთა უფლებრივი თანათარღობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 112-119.

*კაპანაძე თ.,* „ახალგაზრდა ადვოკატები“ სამეცნიერო ჟურნალი, ქ. თბილისი, დეკემბერი N6, 2016, 10.

*კეკუტია ს.,* ბიზნესის დაზღვევა, 15.03.2018.

*მონონელიძე.,* სუბროგაცია, როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება, მერიდიანი, თბილისი, 2016. თავი VI, ნაწილი 3.2, 131-132.

ქეცბაია ე., დაზღვევის სამართალურთიერთობის სუბიექტები და ობიექტი, სამართლის უუნალი “მართლმსაჯულება და კანონი“ N4.43,92.

წულაძე ი., ყურშუბაძე ც., დაზღვევის ზოგადი საფუძვლები, მათი სამართლებრივი რეგულირება, 2.2, 2011, 34.

ჯანელიძე დ., დაზღვევის ფორმირების და მართვის სრულყოფის მიმართულებები საერთაშორისო ბიზნესში, 2018, 8-23.

### უცხოურ

### ენებზე

*Beckmann/Matusche-Beckmann/Johannsen, Meixner/Steinbeck, §24 Rdnr.3.*

*Heyers J., Einführung in das Arzthaftungsrecht -unter Berücksichtigung des Patienten.*

*Laufs A., Cleman Th., Uhlenbruck Wilhelm, "Handbuch des Arztes", Arzt und Berufshaftpflichtversicherung, Rn.1-13, 2010.*

*Meixner/Steinbeck, Das neue Vericherungsvertragsrecht, 1. Auflage 2008. Rn.2.2.*

*Meixner/Steinbeck, Das neue Versicherungsvertragsrecht, §3. Haftpflichtversicherung Rn.2.*

*Neu J., "Schlichtungsstelle für Arzthaftpflichtfragen der norddeutschen Ärztekammern", 2013.*

*Sajetski J., Unterschied zwischen Betrieb und Unternehmen –alle infos, 23.10.2018.*

*Гауст В.Я., страхования профессиональной ответственности.*

*Жилкина М.С., Обязательное страхованиеж зарубежная практика , "Страховое ревью", № 3, 2000.*

*Фрунез Ю., Укрепление Системы Страхования Гражданской Ответственности в Республике Молдова и Зарубежный Опыт.*

*Тетервак Я., Страхования профессиональной ответственности врачей. Опыт Зарубежный*



*Anderson R.E., Stanzler S. J., Masters S. L., insurance coverage litigation*,1-3.

*Bonner M., What does cyber liability policy cover?*, updated: 22.10.2018

*Burua H., Mandatory Insurance in the Netherlands, Mandatory insurance for job-related risks,* 2010,4.40,14.

*Eugene R.A. Jordan S. Stanzler, Lorels S. Masters, insurance coverage litigation*,1-3.

Faure G Michael, *Economic Criteri for Compulsory Insurance, The Geneva Papers on Risk and Insurance –Issues and Practice,* First published: 12.01.2006

*Fontaine M., De Rode H., Compulsory Insurance in OECD Countries Information and Recommendation for the Baltic States, Policy Issues in Insurance, Insurance in a Baltic Countries,*pg.194.

*Ginders K., Insurance Law and the principle of Indemnity in Light of Ridgecrest NZ LTD v IAG New Zeland LTD,*74.

*Jay. J. Price, Proffesional Liability Insurance: The Doctors Dilemma* 1976,465.

*Jerry/ Richmond, Understanding Insurance Law, Fourth Edition,*2007,45.

*Keeton E. Robert, Liability insurance and Responsibility for settlement, Harward Law Reviwev,* Vol.67, No 7,(May 1954),1136.

*Lotha G., Enciclopedia Britannica,* 13.10.2016

*Marrinson Th., Professional Liability Insunrace,*

*Miyasaka Y., “JMA Professional Medical Liability Insurance Program”,*2002.

*Michaelides N., Hooker N., Laurin P., Lockyer J., Maher G., Tomlison D., General Insurance Study Group Report Of the Liability Insurance Working Party to the 1989 Conference,* brighton, 3.7.

*Papanicolaou M., Compulsory vs Optional Disaster Insurance,*28.04.2015.

*Kagan J., Profesional Liability Insurance,* updated: 23.02.2018.

*Rice M. M., MD, JD, FACEP and members of ACEPs Medical Legal Committee, Medical Professional Liability Insurance,* April 2004.

Robertson J., How umbrella policies started Part 1.,Earli liability coverage, March 2000.

Sage M. W., The Forgotten Third: Liability Insurance and Medical Malpractice Crisis.

Sheehan f. Thomas, the history of lawyers' professional liability insurance.

Van der sluijs J.,Moral Hazards within Liability Insurance- A Problem Inventory.

Wagner G., Tort and Insurance Law, Capacity as Insurability problem,2005.

### სხვადასხვა

ექიმთა პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა-საინფორმაციო ფურცელი.ხელმისაწვდომია:<https://igg.ge/>.

რას ნიშნავს სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა,11.02.2019,<https://imedinews.ge/ge/theme/324/ivlisidan-mdzgolebs-mesame-piris-dazgvevas-kanoni-daavaldebulebs-es-kargia-tu-tsudi>.

სტატისტიკა,05.02.2019,ხელმისაწვდომია:  
<https://imedinews.ge/ge/sagartvelo/95556/2018-tsels-propesiuli-pasukhismgebloba-342-eqims-daekisra-statistika>. <http://justice.gov.ge/News/Detail?newsId=2923>.

სადაზღვევო კომპანიების რეიტინგი და ბაზრის კვლევის შედეგები:  
<https://daezgvie.wordpress.com/2011/02/28/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%96%E1%83%A6%E1%83%95%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9D-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A0/>.

სადაზღვევო ბაზრის მიმოხილვა 2017წ.  
<http://insurance.gov.ge/getattachment/Statistics/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%96%E1%83%A6%E1%83%95%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9D-%E1%83%91%E1%83%90%E1%83%96%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%95%E1%83%90-2017.pdf.aspx>.

სადაზღვევო კომპანიების რეიტინგი და ბაზრის კვლევის შედეგები:  
<https://daezgvie.wordpress.com/2011/02/28/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%96%E1%83%A6%E1%83%95%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9D-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A0/>.

სადაზღვევო ბაზრის მიმოხილვა 2018 წლის II კვარტალი,  
[http://insurance.gov.ge/getattachment/Statistics/Sadazgvevo Bazris Mimoxilva 2018 II Q.pdf.aspx](http://insurance.gov.ge/getattachment/Statistics/Sadazgvevo%20Bazris%20Mimoxilva%202018%20II%20Q.pdf.aspx).

საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაცია, სადაზღვევო ტერმინთა განმარტება, ხელმისაწვდომია:  
<http://www.insurance.org.ge/index.php?a=main&pid=238&lang=geo>.

საქართველოს ნოტარიატის განვითარების სტრატეგია 2014 წლისთვის, სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატა, .7.  
[https://www.notary.ge/res/docs/strategia/notariatis ganvitarebis strategia.pdf](https://www.notary.ge/res/docs/strategia/notariatis_ganvitarebis_strategia.pdf).

2009 წლის 29 ივნისის საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N118, „კერძო აღმასრულებლის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“.

საქართველოს კანონი საშიში საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ, თავი VI, მუხლი 20.  
<https://reginfo.ge/people/item/12312-manqanis-mplobeli-valdebuli-iqneba%2C-sakutari-samoqalaqo-pasuxismgebloba-daazgvios-%E2%80%93-kanonproeqti>.

<https://geolaw.wordpress.com/2011/06/20/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%96%E1%83%A6%E1%83%95%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90-%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98/>.

Страхование профессиональной ответственности врачей. Страховой ликбез

<http://smile-center.com.ua/ru/articles/straxovanie-professionalnoi-otvetsvet-vrachey-straxovoi-likbez>

Экономическое обоснование проведения добровольного страхования профессиональной ответственности медицинских работников“ <http://isfic.info/halfin/mensh17.htm>

"Зарубежный опыт страхования профессиональной ответственности врачей" <http://isfic.info/halfin/mensh16.htm>.

*American Insstitute of Certified Public Accountants.* Audit and Accounting Guide: Property and Liability Insurance Entities, 01.09.2018..

Claims made vs . Occurrence Form Professional Liability Policy, [https://www.americanprofessional.com/wp-content/uploads/Claims-Made-vs-Occurrence\\_AC.pdf](https://www.americanprofessional.com/wp-content/uploads/Claims-Made-vs-Occurrence_AC.pdf).

What is professional liability insurance coverage? What does Professional Liability Insurance Coverage Cover and exclude?, <https://www.alignedinsurance.com/what-is-professional-liability-insurance-coverage/>.

Johncom Insurance explores Professional Indemnity Insurance, 22.02.2017., <https://www.johncom.co.za/johncom-insurance-explores-professional-indemnity-insurance/>.

Professional Indemnity Insurance, objects of Insurance, <https://www.aig.ru/en/business/products/liability/professional-indemnity>

Guide to professional liability., 8, <http://www.professionalsaustralia.org.au/contractors-consultants/wp-content/uploads/sites/42/2014/07/Guide-to-Professional-Liability-27-9-2017.pdf>.

Know what is insurance liability policy? Types of liability insurance, 13.09.2018, <https://insurancerooms.com/know-what-is-liability-insurance-policy-types-of-liability-insurance/>

Sigma, published by Swiss Re LTD, Economic research and Consulting, No4/2014., [https://media.swissre.com/documents/sigma4\\_2014\\_en.pdf](https://media.swissre.com/documents/sigma4_2014_en.pdf).

What are the different types of liability insurance?, <https://securenow.in/insuropedia/different-types-liability-insurance/>.

How does Professional Liability Insurance work? <https://advisorsmith.com/professional-liability-insurance/>.

Is Professional Indemnity Insurance Compulsory?,

<https://www.simplybusiness.co.uk/insurance/faq/is-professional-indemnity-insurance-compulsory-by-law/>.

7things Professional Liability Insurance doesn't cover,<https://www.insureon.com/products/professional-liability/things-not-covered>.

Harris Insurance Services, What does insurance services cover, 2017,<https://hisnv.com/what-does-professional-liability-insurance-cover/>.

What is the significance of the retroactive date for a claims-made insurance policy?,<http://www.insuranceqna.com/commercial-and-business-insurance/retroactive-date-and-claims-made-insurance-policy.html>.

Compulsory Insurance, Definition-what Does Compulsory Insurance means?,<https://www.insurancepedia.com/definition/1302/compulsory-insurance>.

<http://www.scandinavianlaw.se/pdf/38-15.pdf>.

<https://commerciant.ge/ge/post/saqartveloshi-kerdzo-samedicino-dazgvevit-mosaxleobis-15-procenti-sargeblobs>.

<https://tort.laws.com/liability-insurance/>.

<https://www.nationwide.com/what-is-personal-liability-insurance.jsp>.

<https://www.irmi.com/term/insurance-definitions/claims-made-coverage-trigger>.

